ფიზიკური პირის მომსახურების პირობები

შინაარსი

ნაწილი I 4
1. შესავალი დებულებები 4
2. ტერმინთა განმარტება 7
3. განცხადებები და გარანტიები 14
4. საბანკო მომსახურების ტარიფები 16
5. დავალების მიღებისა და შესრულების ვადები 18
6. მხარეთა პასუხისმგებლობა 19
7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა 19
8. გადასახადები 21
9. ხელშეკრულების ცვლილება 21
10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა 22
11. ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხებიდან გააქტიურებულ საბანკო პროდუქტებზე კლიენტის მიერ უარის თქმის უფლება 23
12. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა 24
13. კომუნიკაცია 25
14. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება 27
ნაწილი II 35
15. საბანკო ანგარიშით მომსახურება 35
15.1. *ანგარიშის გახსნა და ანგარიშით სარგებლობა* 35
15.2. *მულტისავალუტო ანგარიში* 40
16. ბარათი 41
16.1. ბარათით სარგებლობის ზოგადი პირობები 41
16.2. ბარათით სარგებლობის ძირითადი პირობები 45
16.3. ციფრული ბარათი 46
16.4. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი 47
18. დისტანციური საბანკო მომსახურება 49
18.1. უსაფრთხოების პირობები დისტანციური მომსახურებისას 49
18.2. ციფრული ბანკი/Silk App 54
18.3. სმს ბანკი 55
18.4. ციფრული ბანკით განხორციელებული საბარათე გადარიცხვები 55
19. ელექტრონული საფულით მომსახურება 56
19.1. ელექტრონული საფულით სარგებლობის ზოგადი პირობები 56
19.2. მონაცემთა შეგროვება ელექტრონული საფულით სარგებლობისას 57
19.3. მოწყობილობაში ბარათის დამატების პირობები 57

19.4. უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა ... 58
19.5. ხარჯები და საფასური ... 59
19.6. ელექტრონული საფულით სარგებლობის შეჩერება ან შეწყვეტა ... 59
20. მუდმივი საგადახდო დავალება ... 60
21. ავტომატური გადახდები ... 61
22. წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები ... 61
23. ლოიალობის/წამახალისებელი პროგრამა ... 62
24. ვალუტის გაცვლა ... 65
25. ფულადი გზავნილი ... 65
26. სმს ხელმოწერით ოპერაციების წარმოება ... 67
27. მომსახურება დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით ... 67
ნაწილი III ... 71
28. დასკვნითი დებულებები ... 71

ნაწილი I

1. შესავალი დებულებები

1.1. წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს გენერალურ ხელშეკრულებას ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების და საბანკო პროდუქტების მომსახურების პირობების შესახებ (შემდგომში - "პირობები"), რომელიც განსაზღვრავს საბანკო პროდუქტების და საბანკო მომსახურების აღწერილობას და მხარეთა უფლება-მოვალეობებს აღნიშნული პროდუქტების და მომსახურების სარგებლობის პროცესში.

1.2. წინამდებარე პირობები ბანკის სხვადასხვა დოკუმენტაციაში შესაძლებელია ასევე მოხსენიებული იყოს როგორც „ფიზიკური პირების მომსახურების პირობები" ან/და „ფიზიკური პირის გენერალური ხელშეკრულება" ან/და „გენერალური ხელშეკრულება ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების და საბანკო პროდუქტებით მომსახურების პირობების შესახებ".

1.3. ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობები რეგულირდება ხელშეკრულებით (შემდგომში "ხელშეკრულება"), რომელიც შედგება:

1.3.1. განაცხად(ებ)ისაგან, რომელიც შევსებულია კლიენტის მიერ, ხელმოწერილია მხარეთა მიერ ან/და კლიენტი დათანხმებულია ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით;

1.3.2. წინამდებარე პირობებისაგან;

1.3.3. ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებისაგან, მათ შორის პირობების დანართში მოცემული ტარიფებისგან (შემდგომში "ტარიფები");

1.3.4. SilkApp-ით სარგებლობის წესებისა და პირობებისგან, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge (https://silkbank.ge/silkapp-terms-and-conditions/)

1.3.5. საბანკო ბარათის ზოგადი პირობების და უსაფრთხოების წესებისაგან, მასში პერიოდულად განხორციელებული ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის ჩათვლით, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge;

1.3.6. ბანკის კონფიდენციალობის პოლიტიკისგან რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge; (https://silkbank.ge/privacy-policy/)

1.3.7. ნებისმიერი დამატებითი პირობებისაგან, დანართისაგან ან/და განაცხად(ებ)ისაგან (ასეთის არსებობის შემთხვევაში), რომელიც შეეხება არსებულ ან/და ბანკის მიერ მომავალში შეთავაზებულ საცალო საბანკო მომსახურებასა თუ პროდუქტს (შემდგომში - "პროდუქტები" ან „პროდუქტი" ან „მომსახურება") და რომელიც საჭირო იქნება კლიენტის მიერ დამატებითი და/ან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საბანკო მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისათვის;

1.4. წინამდებარე პირობებსა და ხელშეკრულების რომელიმე დანართსა და/ან მასთან (ხელშეკრულებასთან) დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობებს შორის წინააღმდეგობის ან შეუსაბამობის არსებობისას, ამგვარი დანართის და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტის პირობებს მიენიჭება უპირატესობა იმ საკითხებთან მიმართებაში, რომელთა დასარეგულირებლადაც დადებულია ამგვარი დანართი და/ან მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტი;

1.5. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების მიღების მიზნით კლიენტი ვალდებულია:

1.5.1. ყველა სახის მომსახურებისა და პროდუქტის გამოყენებისათვის გაეცნოს წინამდებარე პირობებს;

1.5.2. სრულად შეავსოს და ხელი მოაწეროს/დაეთანხმოს (მათ შორის ელექტრონული ფორმით) სათანადო განაცხადს, რითაც იმავდროულად ადასტურებს, და გარანტიას იძლევა, რომ: (ა) განაცხადი შეავსებულია სრულად; (ბ) განაცხადში მითითებული ინფორმაცია არის სწორი და უტყუარი; (გ) განაცხადის ხელმოწერამდე ან/და სხვა ფორმით თანხმობის გამოხატვამდე სრულად გაეცნო წინამდებარე პირობებსა და ტარიფებს;

1.5.3. საკუთარი თავის იდენტიფიცირების მიზნით წარმოუდგინოს ბანკს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, რომლის მონაცემები იქნება შეყვანილი განაცხადში;

1.5.4. განახორციელოს კლიენტის იდენტიფიკაციისა და საბანკო პროდუქტის/მომსახურების მიწოდების მიზნით ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ქმედება;

1.6. ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებული პროდუქტების, მომსახურების ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების არხების ჩამონათვალი მოცემულია, მაგრამ არ შემოიფარგლება, შემდეგი პროდუქტებით/მომსახურებით:

1.6.1. ანგარიშის გახსნა და საგადახდო მომსახურება;

1.6.2. ბარათი - VISA-ს საბანკო ბარათი;

1.6.3. სმს ბანკი;

1.6.4. დისტანციური საბანკო მომსახურება;

1.6.5. მუდმივი საგადახდო დავალება/ Standing Order;

1.6.6. ავტომატური გადახდები / Direct Debit;

1.6.7. მოთხოვნამდე ანაბარი;

1.6.8. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი;

1.6.9. ფულადი გზავნილები;

1.6.10. ვალუტის გაცვლა/კონვერტაცია;

1.6.11. საკრედიტო ბარათი

1.6.12. Me2Me სერვისი („შეავსე ევროპული ბანკიდან“)

1.7. კლიენტის მიერ 1.5 პუნქტში ჩამოთვლილი მომსახურება, პროდუქტ(ებ)ი ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების არხები შესაძლებელია მიღებულ იქნას სატარიფო პაკეტ(ებ)ში ბანკის მიერ დადგენილი კომბინაციებით ან/და პროდუქტებით სარგებლობა ან/და საბანკო მომსახურების მიღება კლიენტის მიერ შესაძლებელია მოხდეს დამოუკიდებლად, სატარიფო პაკეტით სარგებლობის გარეშე, ბანკის მიერ დადგენილი წესების და პირობებისა და ტარიფების შესაბამისად. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, სატარიფო პაკეტით სარგებლობის შემთხვევაში, პაკეტის შეძენა ავტომატურად არ გულისხმობს პაკეტში შემავალი ყველა პროდუქტ(ებ)ის/მომსახურებ(ებ)ის აქტივაციას. სატარიფო პაკეტის ფარგლებში ხელმისაწვდომი პროდუქტ(ებ)ით/მომსახურებ(ებ)ით სარგებლობისთვის საჭიროა შესაბამისი თანხმობის გამოხატვა ან/და პროდუქტის/სერვისის გააქტიურება ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად;

1.8. თუ კლიენტს არ გააჩნია ჩამოთვლილთაგან რომელიმე პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლება, მას არ შეეხება პირობებში ამ პროდუქტის/მომსახურების აღმწერი შესაბამისი პუნქტები. ეს პუნქტები კლიენტისათვის ამოქმედდება შესაბამისი პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლების მინიჭებისთანავე;

1.9. ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ან/და პროდუქტების რაოდენობა ან/და სახეები;

1.10. ბანკი იტოვებს უფლებას, უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე, თუ კლიენტმა სათანადო წესით არ შეავსო, ხელი არ მოაწერა/არ დაადასტურა ან ბანკს არ წარუდგინა ბანკის მიერ მოთხოვნილი რომელიმე დოკუმენტი ბანკისათვის მისაღები ფორმით და შინაარსით ან/და არ გაიარა იდენტიფიკაციის პროცესი ბანკის მიერ განსაზღვრული წესის შესაბამისად;

1.11. ბანკი დაიწყებს კლიენტის მომსახურებას კლიენტის მიერ შესაბამისი განაცხადის შევსებისა და ბანკის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან/და შესაბამისი პროდუქტის მისაღებად ბანკის მიერ დადგენილი პროცესის სრულად გავლის შემდეგ. ამასთან, თუ ბანკის რომელიმე პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობისათვის არ მოითხოვება შესაბამისი განაცხადი, კლიენტი უფლებამოსილია ისარგებლოს აღნიშნული პროდუქტით/მომსახურებით ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, რაზეც ავტომატურად გავრცელდება წინამდებარე პირობებით შესაბამისი პროდუქტისთვის/მომსახურებისთვის განსაზღვრული ნორმები. ამასთან, ბანკს უფლება აქვს, ერთპიროვნულად, საკუთარი შეხედულებისამებრ არ მიიღოს განაცხადი და უარი განუცხადოს კლიენტს მომსახურების გაწევაზე, მიზეზ(ებ)ის გაცხადების გარეშე;

1.12. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტს შესთავაზოს (როგორც დისტანციური საბანკო მომსახურების ასევე სხვა არხების საშუალებით), ხოლო კლიენტის მიერ სათანადო განაცხადის (ელექტრონული თანხმობის) ბანკისთვის წარდგენის შემთხვევაში განახორციელოს სხვადასხვა სახის საბანკო მომსახურება, მათ შორის ისეთი საბანკო მომსახურება, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე პირობებით;

1.13. იმ კლიენტებზე, რომლებიც ბანკს მიმართავენ იმგვარი ერთჯერადი ან მრავალჯერადი მომსახურებით სარგებლობის მიზნით, რომელიც პირდაპირ არ არის აღწერილი წინამდებარე პირობებით, გავრცელდება პირობებით დადგენილი ზოგადი ნორმები და შესაბამისი მომსახურებისთვის დადგენილი ტარიფები/ლიმიტები, ასევე ყველა ის ნორმა, რომელიც უშუალოდ არ არის დაკავშირებული პირობებში აღწერილ რომელიმე პროდუქტთან;

1.14. ბანკს უფლება აქვს შეამოწმოს კლიენტის მიერ მისთვის (ბანკისათვის) მიწოდებული ან/და კლიენტის შესახებ ნებისმიერი სხვა გზით მოპოვებული ინფორმაცია, რაზედაც კლიენტი აცხადებს ერთმნიშვნელოვან და უპირობო თანხმობას.

1.15. კლიენტის მიერ პირობებში აღწერილი რომელიმე პროდუქტის ან/და მომსახურების (ან მისი ნაწილის) ბანკის თანხმობით გამოყენება განიხილება როგორც კლიენტის თანხმობა იმ დროისთვის მოქმედი შესაბამისი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის პირობებზე;

1.16. ბანკის გადაწყვეტილებით კლიენტისთვის საბანკო ანგარიში შეიძლება გაიხსნას ბანკისთვის დისტანციურად მომართვისას ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების გავლის გზით. ამ შემთხვევაში საბანკო ანგარიშით სარგებლობა დასაშვებია კანონმდებლობითა და პირობებით განსაზღვრული შეზღუდვების გათვალისწინებით.

1.17. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, ცალმხრივად, კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე შეაჩეროს ან შეწყვიტოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული რომელიმე ან ყველა მომსახურების/პროდუქტის კლიენტისთვის შეთავაზება/მიწოდება. ბანკის მიერ აღნიშნული ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება მის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევად.

1.18. კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს ნებისმიერი პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტის თაობაზე ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია უარი განუცხადოს კლიენტს პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობის შეწყვეტაზე იმ შემთხვევაში, თუ მას (კლიენტს) ბანკის მიმართ გააჩნია რაიმე სახის შეუსრულებელი ვალდებულება ან/და კანონმდებლობასთან შესაბამისობის ან/და რეგულატორული მიზნებისათვის მიზანშეწონილია მომსახურების შეწყვეტაზე უარის თქმა .

1.19. ბანკი უფლებამოსილია შეუჩეროს/შეუწყვიტოს/უარი უთხრას კლიენტს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ან/და ნებისმიერი სხვა საბანკო მომსახურების/პროდუქტის მიწოდებაზე, მათ შორის დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ბანკის მომსახურების წერტილებში (მათ შორის მიმდებარე ტერიტორიაზე) ან/და დისტანციური მომსახურების არხებში, ბანკის თანამშრომლების, სხვა კლიენტ(ებ)ის ან/და მესამე პირ(ებ)ის მიმართ გამოხატავს აგრესიულ, შეურაცხმყოფელ, დამამცირებელ, ღირსების შემლახავ, დამცინავ, დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას ან/და კლიენტი აზიანებს ბანკის ან/და სხვა პირ(ებ)ის საკუთრებას/ინვენტარს, ავლენს მტრულ დამოკიდებულებას ან/და საბანკო სივრცესთან შეუსაბამო ქცევით (ვერბალური, ჟესტიკულაციური ან და ფიზიკური) ქმნის არასასურველ/დამაშინებელ/მტრულ გარემოს.

1.20. ბანკი იტოვებს უფლებას ნებისმიერ დროს ცალმხრივად შეცვალოს წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული წესები ან/და ხელშეკრულების სხვა შემადგენელ დოკუმენტებში მოყვანილი წესები, პირობები ან/და ტარიფები იმისათვის, რომ ისინი (პირობები) შესაბამისობაში მოვიდეს ბანკში დადგენილ ახალ წესებთან, შეცვლილ საბაზრო პირობებთან, საბანკო პრაქტიკასთან ან/და მარეგულირებელ კანონმდებლობასთან.

1.21. ხელშეკრულების და წინამდებარე პირობების განახლების/ცვლილებების შესახებ კლიენტს ეცნობება ბანკის მიერ განსაზღვრული წესით, ხოლო თუ ბანკი განახორციელებს დამატებითი პროდუქტის პირობების ჩამოყალიბებას/მომსახურების ჩართვას, აღნიშნული მომსახურებით სარგებლობა მოხდება შესაბამისი განაცხად(ებ)ის შევსების ან/და შესაბამისი დანართ(ებ)ის კლიენტისათვის მიწოდების საფუძველზე ან/და ბანკის მიერ დადგენილი სხვა წესით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, კლიენტის ელექტრონული თანხმობის საფუძველზე. იმ შემთხვევაში თუ ბანკი კლიენტს არ გადასცემს შესაბამის დანართს ან კლიენტი არ გაეცნობა განახლებულ პირობებს, მაგრამ კლიენტი განახორციელებს/გააგრძელებს ახალი ან განახლებული პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობას, იგულისხმება, რომ იგი აღნიშნული ქმედებით ეთანხმება იმ დროისათვის ბანკში არსებულ შესაბამისი მომსახურების პირობებს;

2. ტერმინთა განმარტება

თუ წინამდებარე პირობებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული ან/და მისი (პირობების) კონტექსტიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ქვემოთ მოცემულ ტერმინებს ენიჭებათ შემდეგი მნიშვნელობა:

2.1. **ავთენტიფიკაცია** - Google Pay-ს ან/და Apple Pay-ს მიერ შეთავაზებული დაცული აუთენტიფიკაცია, პასკოდის, თითის ანაბეჭდების (Touch ID), სახის ამოცნობის ან სხვა წვდომის კოდის გამოყენებით, რომელსაც სთავაზობს შესაბამისი ელექტრონული საფულის მიმწოდებელი;

2.2. **ავტორიზაცია** - პროცედურა, რომლის შესაბამისადაც ბანკი ადგენს კლიენტის ვინაობას/იდენტიფიკაციას წვდომის კოდის გამოყენებით და რომლის საფუძველზეც ბანკი გაუწევს კლიენტს საბანკო მომსახურებას.

2.3. **ამონაწერი** - ბანკში დადგენილი ფორმით შედგენილი ინფორმაცია, კლიენტის ანგარიშზე განხორციელებული ოპერაციებისა და ნაშთების შესახებ;

2.4. **ანგარიში** - ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ტიპის ანგარიში, მათ შორის:

2.4.1. **ერთვალუტიანი (მონოსავალუტო) ანგარიში** – ანგარიში, რომელზეც ფულადი თანხა აისახება ერთ კონკრეტულ ვალუტაში;

2.4.2. **მიმდინარე ანგარიში –**საბანკო ანგარიში რომელზეც აისახება კლიენტის ფულადი თანხა და რომელსაც კლიენტი გადახდების განსახორციელებლად ან სხვა მიზნით იყენებს;

2.4.3. **მოთხოვნამდე დეპოზიტის საანაბრე ანგარიში** - ანგარიში, რომელზეც განთავსებულ ფულად სახსრებს, ბანკი არიცხავს მხარეთა შორის შეთანხმებულ პროცენტს და რომელზეც თანხის შეტანა, ჩარიცხვა, გადარიცხვა და გატანა შესაძლებელია მოთხოვნისთანავე;

2.4.4. **მულტისავალუტო ანგარიში –** ანგარიში, რომელზეც ფულადი თანხა აისახება რამდენიმე ვალუტაში ცალ-ცალკე და რომელიც წარმოადგენს ერთ ანგარიშს;

2.4.5. **არასანქცირებული ლიმიტი/გადახარჯვა** ან **ოვერლიმიტი** - კლიენტის ანგარიშზე არსებული უარყოფითი ფულადი ნაშთი (ანგარიშის გამინუსება), რომელიც: (ა) წარმოშობილია ბანკის თანხმობის/ნებართვის გარეშე; ან/და (ბ) დაშვებულია ბანკის მიერ, კლიენტის შესაბამისი დავალიანების დასაფარად; ან/და (გ) წარმოშობილია კლიენტსა და ბანკს შორის შეთანხმებული ოვერდრაფტის ლიმიტის გადახარჯვის შედეგად. არასანაქცირებული ლიმიტის თანხის კლიენტის მიერ გადახდის პირობებს განსაზღვრავს ბანკი, ბანკში დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

2.5. **ანგარიშის ძირითადი ვალუტა** - მულტისავალუტო ანგარიშის უმაღლესი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშის ვალუტა;

2.6. **აფილირებული პირ(ებ)ი** - ბანკთან დაკავშირებული პირ(ებ)ი, რომ(ე)ლ(ებ)იც პირდაპირ ან არაპირდაპირ კონტროლდება ბანკის მიერ ან/და რომლის/რომელთა საშუალებითაც ბანკი ახორციელებს საბანკო მომსახურებას;

2.7. **აშშ დოლარი ან USD ან US$** - ამერიკის შეერთებული შტატების ოფიციალური ფულის ერთეული;

2.8. **ბანკი** - სააქციო საზოგადოება სილქ ბანკი, რომლის რეკვიზიტებია: (ა) საიდენტიფიკაციო ნომერი: 201955027; (ბ) საქართველოს ეროვნულ ბანკში რეგისტრაციის ფორმა: კომერციული ბანკი; (გ) რეგისტრაციის ნომერი:

2/5-98; (დ) სათავო ოფისის მისამართი: ზაარბრუკენის მოედანი #2, 0102 თბილისი, საქართველო; (ე) ვებ-გვერდის მისამართი: www.silkbank.ge; (ვ) ელექტრონული ფოსტის მისამართი: info@silkbank.ge; (ზ) საკონტაქტო ტელეფონის ნომერი: +995 32 2 242 242.

2.9. **ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი** - ბანკის მიერ ნაღდი და უნაღდო სავალუტო გაცვლითი ოპერაციებისათვის დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსი. სავალუტო გაცვლითი კურსი განსაზღვრავს შესაძენი სავალუტო ერთეულის ღირებულებას იმ სავალუტო ერთეულში, რომლითაც ხორციელდება შესაძენი ვალუტის ყიდვა. ბანკი განსაზღვრავს კომერციულ სავალუტო გაცვლით კურსს საკუთარი შეხედულებისამებრ ყოველ კალენდარულ დღეს ერთხელ ან მეტჯერ. ბანკის მიერ მოცემული კალენდარული თარიღის ნებისმიერ მომენტში განსაზღვრული კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი მერყეობს საერთაშორისო სავალუტო სისტემა Bloomberg-ზე იმ მომენტში დაფიქსირებული სავალუტო გაცვლითი კურსის +/- 20%-იან (ოცი პროცენტი) კორიდორში. ამასთან ბანკმა შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში დაადგინოს განსხვავებული კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსები სხვადასხვა სახის ოპერაციების განხორციელების მიზნით (მაგალითად კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსი უნაღდო და ნაღდი ანგარიშსწორებისათვის ან საბარათე ოპერაციების ასახვის მიზნით შესაძლებელია დროის ნებისმიერ მომენტში იყოს ერთმანეთისაგან განსხვავებული).

2.10. **ბანკომატი** - თვითმომსახურების პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომლის საშუალებითაც კლიენტს შეუძლია ნაღდი ფულის გამოტანა/შეტანა, სესხის/ოვერდრაფტის გააქტიურება, თანხის გადარიცხვა, ანგარიშზე არსებული ნაშთის შესახებ ინფორმაციის მიღება, გადახდების განხორციელება და ბანკის მიერ ამ არხისათვის დაშვებული სხვა ოპერაციების ჩატარება.

2.11. **ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტი** - ბანკომატიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში (24 საათი, ან/და ერთი კალენდარული კვირა) ნებადართული გასანაღდებელი თანხის მაქსიმალური ოდენობა;

2.12. **ბანკომატის მეშვეობით ანგარიშზე თანხის შეტანის ლიმიტი** - ბანკის შესაბამისი ფუნქციონალით აღჭურვილი ბანკომატის მეშვეობით გარკვეული პერიოდის განმავლობაში ნებადართული თანხის შეტანის მაქსიმალური ოდენობა;

2.13. **ბარათი ან საბანკო ბარათი** - ბანკის მიერ ემიტირებული ძირითადი ან/და დამატებითი, ლოკალური ან საერთაშორისო საბანკო ბარათი (VISA, ან სხვა საგადახდო სქემის ბარათი), საგადამხდელო საშუალება, რომელიც დაკავშირებულია კლიენტის ანგარიშთან და რომელსაც კლიენტი იყენებს წინამდებარე პირობებით ბანკში შესაბამისი დროისათვის მოქმედი ბარათების გამოყენების ზოგადი წესების მიხედვით;

2.14. **განაცხადი** - ბანკის მიერ მატერიალური დოკუმენტის, ელექტრონული, ოპტიკური ან სხვა მსგავსი საშუალებ(ებ)ის, მათ შორის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (ციფრული ბანკი, დისტანციური მომსახურების ცენტრი და სხვა), გამოყენებით შექმნილი და კლიენტისათვის მიწოდებული წერილობითი ან ციფრული ინფორმაცია, რომელსაც ეთანხმება კლიენტი ქმედებით (მაგ. ღილაკის დაჭერით, დოკუმენტის გაგზავნით, თანხის გადარიცხვით, ერთჯერადი კოდის ფიზიკური პირის მომსახურების პირობები რაც ადასტურებს მის (კლიენტის) ნებას და ითვლება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე თანხმობის გაცხადების/ნების გამოხატვის თანაბარი იურიდიული ძალის მქონედ. განაცხადი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

2.15. **გახარჯვის სქემა - ანგარიშიდან** თანხის გახარჯვის სქემა, თუ გადახდის შესრულებისათვის **კლიენტს** შესაბამისი ვალუტის მქონე ქვე-ანგარიშზე (რომელიც **მულტისავალუტო ანგარიშის** შემადგენელი ნაწილია) არ გააჩნია საკმარისი დადებითი ნაშთი, ამ ქვე-ანგარიშზე ხდება კონვერტაცი(ებ)ით **მულტისავალუტო ანგარიშში** შემავალი სხვა ქვე-ანგარიშ(ებ)იდან თანხის შეგროვება. თანხის შეგროვებისას გაითვალისწინება ქვეანგარიშების პრიორიტეტულობა, ანუ პირველ რიგში თანხის კონვერტაცია ხდება უფრო მაღალი პრიორიტეტის მქონე ქვე-ანგარიშიდან.

2.16. **გირვანქა სტერლინგი ან GBP** - დიდი ბრიტანეთის და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ოფიციალური ფულის ერთეული;

2.17. **დავალება** - კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული დავალება გადახდის ოპერაციის განხორციელების თაობაზე, რომელსაც კლიენტი აძლევს ბანკს უშუალოდ ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების არხების გამოყენებით, წინამდებარე პირობების შესაბამისად;

2.18. **დაკავშირებული ხელშეკრულება** - წინამდებარე პირობების მე-11 მუხლის მიზნებისთვის, დაკავშირებული ხელშეკრულება წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომელიც გაფორმდა კლიენტთან ისეთი პროდუქტით სარგებლობისათვის, რომლითაც კლიენტი ვერ ისარგებლებდა დამოუკიდებლად, იმ პროდუქტის გარეშე, რომლის მიმართაც იყენებს რეგულაციით დადგენილ უარის თქმის უფლებას;

2.19. **დამატებითი ბარათი** - ბარათი, რომელსაც ბანკი გასცემს კლიენტზე ან/და კლიენტის მიერ დასახელებულ სხვა პირზე (დამატებითი ბარათის მფლობელი); დამატებითი ბარათი, მიუხედავად თავისი მფლობელისა, არის დაკავშირებული კლიენტის ანგარიშთან და დამატებითი ბარათით შესრულებულ ნებისმიერ ოპერაციაზე პასუხს აგებს კლიენტი/ძირითადი ბარათის მფლობელი;

2.20. **დამატებით ბარათის მფლობელი** - პირი, რომლის სახელზეც, კლიენტის მოთხოვნით, არის გაცემული დამატებითი ბარათი;

2.21. **დანართი** - ბანკის მიერ განსაზღვრული, კლიენტის მიერ ხელმოწერილი (შესაბამისი თანხმობით დადასტურებული) ნებისმიერი დამატებითი დოკუმენტ(ებ)ი, რომელიც აზუსტებს, ცვლის ან/და წყვეტს ხელშეკრულებას ან/და მის პირობებს და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

2.22. **დისტანციური საბანკო მომსახურების არხი** - ბანკი მიერ განსაზღვრული მოწყობილობები, პროგრამული უზრუნველყოფები ან/და სხვადასხვა ელექტრონული არხები, რომლის გამოყენებითაც კლიენტს ეძლევა საშუალება დაეთანხმოს წინამდებარე პირობებს, მიიღოს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული პროდუქტ(ებ)ი/მომსახურება, აწარმოოს საბანკო ოპერაციები ან მიიღოს მის ანგარიშთან დაკავშირებული ინფორმაცია ან/და განახორციელოს ბანკის მიერ ნებადართული სხვა ქმედება;

2.23. **დებულება** - საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2020 წლის 21 ივლისის ბრძანება #142/04 სავალუტო ბაზრის მონაწილეთა საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ და მასში განხორციელებული ნებისმიერი და ყველა ცვლილება;

2.24. **ევრო** ან **Euro** ან **EUR** - ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყნის, აგრეთვე მონტენეგროს, ანდორას, მონაკოს, სან მარინოს, ვატიკანის და კოსოვოს ოფიციალური ფულის ერთეული;

2.25. **ელექტრონული საფულე** - Google Pay-ს ან/და Apple Pay-ს ციფრული გადახდის სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტ(ებ)ს შეასრულონ უკონტაქტო გადახდები შესაბამისი მოწყობილობ(ებ)ის გამოყენებით;

2.26. **ვალუტების პრიორიტეტულობა** - ვალუტის პრიორიტეტულობა განსაზღვრავს იმ რიგითობას, რომლის მიხედვითაც ბანკი (გახარჯვის სქემის გათვალისწინებით) მოახდენს კლიენტის მულტისავალუტო ანგარიშის საბანკო ანგარიშებიდან თანხების ჩამოწერას შესაბამისი ოპერაციის განსახორციელებლად;

2.27. **ვერიფიცირებული მეილი** - ბანკში დაფიქსირებული კლიენტის ელექტრონული ფოსტის მისამართი, რომელიც ვერიფიკაციას გადის ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად და ბანკის მიერ საკუთარი (ბანკის) შეხედულებისამებრ გამოიყენება კლიენტთან კომუნიკაციისთვის;, ან/და ოპერაციის, დავალების ან/და საბანკო პროდუქტით მომსახურების/საბანკო მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად;

2.28. **თოქენი** - **ბარათის** უნიკალური ციფრული იდენტიფიკატორი, რომელიც გენერირდება და ინახება გადახდის ფუნქციონალის მქონე ელექტრონულ მოწყობილობაში შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფის გამოყენებით ან ელ. კომერციის მერჩანტის პროგრამულ უზრუნველყოფაში (ვებ-გვერდი ან /და აპლიკაცია) და მისი საშუალებით შესაძლებელია საგადახდო ოპერაციების შესრულება. თოქენზე ვრცელდება კლიენტის ყველა ის უსაფრთხოების მოთხოვნა და ვალდებულება რაც დაკავშირებულია პლასტიკურ ბარათთან.

2.29. **კანონმდებლობა** - საქართველოს მოქმედი საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების, აგრეთვე საქართველოს ნორმატიულ აქტთა სისტემაში მოქცეული საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების ერთობლიობა;

2.30. **კლიენტი** - პირი, რომელიც სარგებლობს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურებით/პროდუქტებით ან/და მიმართავს ბანკს საბანკო პროდუქტ(ებ)ით/მომსახურებით სარგებლობის დაწყების ან/და საბანკო ოპერაციის განხორციელების მიზნით;

2.31. **კონფიდენციალური ინფორმაცია** - თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ხელშეკრულების ხელმოწერის (ან ნებისმიერი სხვა ფორმით თანხმობის გამოხატვის) ან/და მისი შესრულების შედეგად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორე მხარის შესახებ მიღებული, დამუშავებული, შექმნილი ან/და გაგზავნილი ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის ინფორმაცია/დოკუმენტაცია მხარის პერსონალური, წილობრივი, ფინანსური მონაცემების, მხარის მფლობელი/მმართველი/ურთიერთდაკავშირებული პირ(ებ)ის, მესამე პირ(ებ)თან არსებული გარიგებ(ებ)ის, მფლობელობაში არსებული მოძრავი ან/და უძრავი ობიექტ(ებ)ის, ბიზნეს პროცესის/პროცედურების, მარკეტინგული სტრატეგიის, პროექტ(ებ)ის ან/და სხვა სახის მონაცემების შესახებ) ან/და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

2.32. **ლიმიტი** - კლიენტის მიერ საბანკო მომსახურებით სარგებლობისას ან/და ოპერაციის განხორციელებისას, ბანკის მიერ დადგენილი ფინანსური, რაოდენობრივი ან სხვა სახის შეზღუდვა.

2.33. **ლოიალობის პროგრამა** - ბანკის მიერ კლიენტისთვის შეთავაზებული წამახალისებელი პროგრამა, მათ შორის, ფასდაკლება, Cashback ან/და ბანკის მიერ მომავალში შეთავაზებული შეღავათი/სარგებელი, რომელშიც კლიენტი ერთვება ბანკის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად;

2.34. **მიმღები** - პირი, რომლის სასარგებლოდაც სრულდება გადახდის ოპერაცია.

2.35. **მერჩანტი** - მესამე პირი, რომელიც საკუთარი პროდუქციის ან/და მომსახურების რეალიზაციის მიზნით სარგებლობს ბანკის საგადახდო მომსახურებით, კერძოდ საკუთარ კლიენტებთან ანგარიშსწორებას ახდენს მათ შორის და არამარტო პოს ტერმინალის მეშვეობით;

2.36. **მესამე პირ(ებ)ი** - ბანკის მშობელი ან/და შვილობილი საწარმო, მისი აფილირებული ან/და ჯგუფის წევრი პირები, ბანკის კონტრაქტორები, მიმწოდებლები, პროვაიდერები ან/და სხვა პირები, რომლებიც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ კანონის საფუძველზე ახორციელებენ ბანკისაგან მიღებული პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის დამუშავებას (ბანკის სახელითა და მიზნებისათვის, როგორც მისი უფლებამოსილი პირები, ასევე საკუთარი სახელითა და მიზნებისათვის - დამოუკიდებლად) ან/და ბანკისათვის მათი ან/და ბანკის კლიენტების შესახებ პერსონალური მონაცემებისა და სხვა ინფორმაციის მიწოდებას. მესამე პირ(ებ)ის კატეგორიები მოცემულია წინამდებარე პირობებში;

2.37. **მომსახურების წერტილები** - ბანკის ფილიალი, სერვის ცენტრი ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფიზიკური ობიექტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ბანკში მატერიალური განაცხადის წარდგენა, ხელშეკრულების დადება, საბანკო მომსახურებ(ებ)ით/პროდუქტ(ებ)ით ან/და ბანკის მიერ მიერ ნებადართული სხვა საბანკო ოპერაციებით სარგებლობა;

2.38. **მოწყობილობა** - ისეთი მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია ბარათის რეგისტრაცია ელექტრონულ საფულეში. Google Pay-ს შემთხვევაში ასეთი მოწყობილობა შეიძლება იყოს მობილური ტელეფონი ან ჭკვიანი საათი, რომელიც ფუნქციონირებს Android-ის ოპერატიული სისტემით, ხოლო Apple Pay-ს შემთხვევაში ისეთი მოწყობილობა როგორიცაა iPad, iPhone ან Apple watch, რომელიც იწარმოება Apple-ის მიერ;

2.39. **მხარე/მხარეები** - ბანკი ან/და კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი კონტექსტის შესაბამისად;

2.40. **ოვერდრაფტი** - დაბრუნების, ფასიანობის, უზრუნველყოფისა და ვადიანობის საწყისებზე კლიენტის ანგარიშზე ხელმისაწვდომი თანხა - საკრედიტო ლიმიტი, რომლითაც არაერთჯერადად, სრულად ან ნაწილობრივ სარგებლობს კლიენტი და რომელიც, თუ ბანკსა და კლიენტს შორის სხვა რამ არ არის შეთანხმებული, ავტომატურად დაიფარება კლიენტის ანგარიშზე თანხის ჩარიცხვისას/შეტანისას. ამასთან, კლიენტის მიერ ოვერდრაფტით სარგებლობის პირობები და ტარიფები განისაზღვრება შესაბამისი

ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელსაც ეთანხმება კლიენტი შესაბამისი განაცხადით ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით.

2.41. **ონლაინ იდენტიფიკაცია** - ბანკის პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით, ბანკის მიერ კლიენტის დისტანციურად იდენტიფიკაციის მეთოდი, რომლის ფარგლებშიც ბანკი ამუშავებს კლიენტის პერსონალურ მონაცემებს (მათ შორის, შეუზღუდავად, ბიომეტრიულ ფოტოს).

2.42. **ონლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტის ან შესაბამისი საბარათე სქემის მიერ ემიტენტის სახელით;

2.43. **ოფლაინ ოპერაცია** - ოპერაცია, რომელიც დადასტურებული ან უარყოფილია ემიტენტთან დაკავშირების გარეშე;

2.44. **ოპერაცია** ან **ტრანზაქცია** - ავტორიზაციის და შემდგომი ანგარიშსწორების ოპერაციათა ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ნებადართული ოპერაციების განხორციელებას ბანკის მომსახურების წერტილების, ბარათის ან/და ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხების გამოყენებით, მათ შორის ბარათის ნომრის, PIN-ის, წვდომის კოდების, ვერიფიცირებულ ნომერზე/ვერიფიცირებულ მეილზე მიღებული შესაბამისი ერთჯერადი კოდის ბანკისათვის მიწოდებით (ბანკის ოპერატორისათვის კარნახით, ბანკის შესაბამის სისტემებში შეყვანით ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით) ან სხვა საშუალებით;

2.45. **პერსონალური მონაცემები** - ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს უკავშირდება;

2.46. **პირგასამტეხლო** – კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ფინანსური ან/და სხვა ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შეუსრულებლობისათვის ბანკისათვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა და გადახდის პირობები განისაზღვრება ხელშეკრულებით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებით

2.47. **პირდაპირი მარკეტინგი** - ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა ელექტრონული საშუალებით ინფორმაციის პირდაპირი და უშუალო მიწოდება ფიზიკური პირის ან /და იურიდიული პირის, საქონლის, იდეის, მომსახურების, სამუშაოს ან /და წამოწყების, აგრეთვე საიმიჯო და სოციალური თემატიკისადმი ინტერესის ფორმირების, შენარჩუნების, რეალიზაციის ან /და მხარდაჭერის მიზნით;

2.48. **პირ(ებ)ი** - ფიზიკური პირ(ებ)ი, იურიდიული პირ(ებ)ი (მათ შორის საჯარო სამართლის იურიდიული პირ(ებ)ი), არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირ(ებ)ი ან/და **კანონმდებლობის** საფუძველზე შექმნილი სხვა ორგანიზაციული/არარეგისტრირებული წარმონაქმნ(ებ)ი;

2.49. **პირობები** - წინამდებარე ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობები, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: www.silkbank.ge;

2.50. **პროდუქტი** - ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით განსაზღვრული, კლიენტისათვის შეთავაზებული საცალო საბანკო პროდუქტი ან/და მომსახურება;

2.51. **პროფაილინგი** - მონაცემთა ავტომატური დამუშავების ნებისმიერი ფორმა, რომელიც გულისხმობს მონაცემების გამოყენებას ფიზიკურ პირთან დაკავშირებული გარკვეული პიროვნული მახასიათებლების შესაფასებლად, კერძოდ, იმ მახასიათებლების ანალიზსა და პროგნოზირებას, რომლებიც შეეხება ფიზიკური პირის მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხს, მის ეკონომიკურ მდგომარეობას, ჯანმრთელობას, პირად ინტერესებს, სანდოობას, ქცევას, ადგილსამყოფელს ან გადაადგილებას;

2.52. **პოს ტერმინალი** - ელექტრონული პროგრამულ–ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც განკუთვნილია ბარათის გამოყენებით საქონლის ან/და მომსახურების საფასურის გადახდისათვის ან ბარათის მფლობელის ანგარიშიდან ნაღდი ფულის მიღებისათვის/გატანისათვის. პოს ტერმინალი შესაძლებელია იყოს როგორც ფიზიკური (ე.წ. POS ტერმინალი) ასევე ვირტუალური ან/და ჰიბრიდული. როგორც წესი ფიზიკური ტერმინალი გამოიყენება ბანკებში, სავაჭრო და მომსახურების ობიექტებში და ყველა სხვა ადგილას, სადაც ადგილი აქვს ბარათის მფლობელსა და საქონლის/მომსახურების მომწოდებელს შორის ფიზიკურ კონტაქტს (მაგალითად ბანკი, მაღაზია, ბენზინგასამართი სადგური და ა.შ.). ვირტუალური ტერმინალი, როგორც წესი

გამოიყენება ინტერნეტით ანგარიშსწორების მიზნით - ანუ სიტუაციებში, როდესაც ბარათის მფლობელსა და საქონლის/მომსახურების მომწოდებელს შორის ფიზიკურ კონტაქტს ადგილი არ აქვს (მაგალითად ინტერნეტ მაღაზიები, კომუნალური და სხვა გადასახდელების გადახდისათვის განკუთვნილი ინტერნეტ გვერდები, ონლაინ კაზინოები და ტოტალიზატორები და ა.შ.);

2.53. **რეკურენტული გადახდები** - კლიენტის მიერ მერჩანტისათვის მიცემული წინასწარი თანხმობისა და ერთჯერადად მიწოდებული საბარათე მონაცემების საფუძველზე, მერჩანტის მოთხოვნის/პერმანენტული საგადახდო დავალების შესაბამისად კლიენტის საბარათე ანგარიშიდან, მერჩანტის მიერ მოთხოვნილი პერიოდულობითა და განსაზღვრული ვადით განხორციელებული გადახდები.

2.54. **სააგენტო ან დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო** - „დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - დეპოზიტების დაზღვევის სააგენტო;

2.55. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი ან 3D უსაფრთხოება** - მომსახურება, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA საერთაშორისო საგადახდო სქემაში ჩართული ბარათით ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება;

2.56. **საბანკო დღე** - დღე როდესაც საქართველოში კომერციული ბანკები ღიაა და წარმართავენ თავიანთ საქმიანობას, გარდა შაბათის, კვირის ან/და კანონმდებლობით კომერციული ბანკებისათვის განსაზღვრული ოფიციალური დასვენების დღეებისა

2.57. **საბანკო მომსახურება** - მომსახურება, რომელსაც საბანკო პროდუქტის ფარგლებში ბანკი უწევს ან/და სთავაზობს კლიენტს ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2.58. **სავაჭრო/მომსახურების ობიექტის კოდი** ან **MCC** – ISO 18245 სტანდარტით სავაჭრო/მომსახურების ობიექტის საქმიანობების ჭრილში დადგენილი ოთხნიშნა კოდი;

2.59. **საკრედიტო ბარათი -** ბანკის მიერ კლიენტისათვის დამზადებული საკრედიტო ბარათ(ებ)ი, რომელიც შესაძლებელია ბანკმა დრო და დრო გამოუშვას და შესთავაზოს კლიენტებს, რომელზეც დაიშვება ბანკის მიერ განსაზღვრული საკრედიტო ლიმიტი. საკრედიტო ბარათით სარგებლობის წესები, პირობები და ტარიფები განისაზღვრება „საკრედიტო ბარათის პირობებით“, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge შემდეგ ბმულზე - https://silkbank.ge/credit-card-terms/);

2.60. **საკომისიო** – კლიენტის მიერ საბანკო პროდუქტით სარგებლობისათვის ან საბანკო მომსახურების გაწევის სანაცვლოდ კლიენტის მიერ ბანკისთვის გადასახდელი თანხა, რომლის ოდენობა განისაზღვრება წინამდებარე პირობებით განსაზღვრული დებულებების შესაბამისად.

2.61. **სამუშაო დღე** - კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა **ბანკის** მიერ განსაზღვრული დასვენების ანდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა. ამასთან, ბანკში დადგენილი სამუშაო დღეების და საათების ხანგრძლივობა, როდესაც შესაძლებელია კლიენტის საგადახდო დავალების მიღება, მოცემულია პირობების დანართში N1;

2.62. **სანქციების დამდგენი ორგანო** - ნებისმიერი სახელმწიფოს ან/და სახელმწიფოთა გაერთიანების აღმასრულებელი/საკანონმდებლო/სასამართლო ხელისუფლება, ცენტრალური ბანკი, სახელმწიფო ორგანო, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, თვითმმართველი ორგანო, ზედამხედველი/მარეგულირებელი/მაკონტროლებელი ორგანო, (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ამერიკის შეერთებული შტატების უცხოური აქტივების კონტროლის სამსახური, გაერთიანებული სამეფოს ფინანსური სანქციების იმპლემენტაციის სამსახური, ევროპის კავშირის ან/და გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭო ან/და მათი ნებისმიერი სამართალმემკვიდრე), ასევე, ნებისმიერი საერთაშორისო/ზესახელმწიფო ორგანიზაცია, საერთაშორისო საგახდო სისტემა, ფინანსური ინსტიტუტი ან/და სხვა უფლებამოსილი ორგანო, რომელიც თავისი საქმიანობის ფარგლებში კლიენტზე/კლიენტთან დაკავშირებულ პირებზე, ვაჭრობის/მომსახურების ნებისმიერ დარგზე ან/და საქმიანობის სხვა სფეროზე გაავრცელებს რაიმე სახის ფინანსურ სანქცია(ებ)ს ან/და სხვა ტიპის შეზღუდვა(ებ)ს/აკრძალავა(ებ)ს/ემბარგო(ებ)ს.

2.63. **სატარიფო პაკეტი** - ბანკის მიერ დადგენილი პროდუქტების ერთობლიობა, რაც გულისხმობს ერთდროულად რამდენიმე საბანკო პროდუქტით ან/და მომსახურებით სარგებლობის უფლების მოპოვებას სატარიფო პაკეტით განსაზღვრული საკომისიოს (ასეთის არსებობისას) გადახდის სანაცვლოდ;

2.64. **მულტისავალუტო ანგარიში** - ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვე-ანგარიში, რომელზეც ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები და რომელიც საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიბმულია ერთ ძირითად საბანკო ბარათზე თუ ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით სხვა პირობა არ არის განსაზღვრული;

2.65. **უმოძრაო ანგარიში** - **წინამდებარე პირობებით განსაზღვრული საბანკო ანგარიში, რომელიც უკანასკნელი უწყვეტი 12 (თორმეტი) თვის განმავლობაში არ ყოფილა გამოყენებული კლიენტის მიერ (მათ შორის ანგარიშზე არ განხორციელებულა სადებეტო და საკრედიტო ოპერაციები);**

2.66. **უფლებამოსილი მფლობელი** - კლიენტი, დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ი ან/და მისი/მათი უფლებამოსილი წარმომადგენელ(ებ)ი;

2.67. **ფულადი გზავნილი** – საგადახდო მომსახურება, რომლის დროსაც გადამხდელი ფიზიკური პირის მიერ ფულადი სახსრების გადახდის ოპერაცია ხორციელდება გადამხდელისა და მიმღები ფიზიკური პირის სახელზე ანგარიშის გახსნის გარეშე და რომელიც არ არის დაკავშირებული ფულადი ვალდებულების შესრულებასთან, როდესაც ფულადი სახსრები გადაეცემა უშუალოდ მიმღებს ან მიმღების სახელით მოქმედ სხვა საგადახდო მომსახურების პროვაიდერს მიმღებისათვის გადაცემის მიზნით

2.68. **ვერიფიცირებული ნომერი** ან **ფინანსური ნომერი** ან **ფინანსური სერვისების მიღების სატელეფონო ნომერი** - ბანკში დაფიქსირებული კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერი, რომელიც ვერიფიკაციას გადის ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად და ბანკის მიერ საკუთარი (ბანკის) შეხედულებისამებრ გამოიყენება კლიენტთან კომუნიკაციისას ან/და ოპერაციის, დავალების ან/და საბანკო პროდუქტით მომსახურების/საბანკო მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) დასადასტურებლად;

2.69. **ქართული ლარი ან ლარი ან GEL** - საქართველოს ოფიციალური ფულის ერთეული;

2.70. **ციფრული ბანკი** - დისტანციური საბანკო მომსახურების ერთ-ერთი არხი, რომლის მეშვეობითაც კლიენტს შესაძლებლობა აქვს ბანკში გამოუცხადებლად, ბანკის ინტერნეტ გვერდის https://silkonline.ge/ ან/და მობილური აპლიკაციის საშუალებით, მიიღოს სხვადასხვა ინფორმაცია და აწარმოოს ამ არხისთვის ნებადართული საბანკო ოპერაციები;

2.71. **ციფრული ბარათი** - საბანკო ბარათის ციფრული ანალოგი, რომელიც არ არსებობს მატერიალური სახით და რომლის გამოყენებაც შესაძლებელია ბანკის დისტანციურ არხებში (ციფრული ბანკი), Apple Wallet, Google Pay ან/და ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული სხვა ციფრულ საფულეებში დამატების გზით საბარათე გადახდების შესასრულებლად ან/და შესაბამისი ფუნქციონალის მქონე ბანკომატებიდან თანხის გასანაღდებლად;

2.72. **ძირითადი ბარათი** - ბარათი, რომელსაც ბანკი გადასცემს უშუალოდ ანგარიშის მფლობელ პირს;

2.73. **წვდომის კოდები** - ბარათის PIN კოდები, პაროლები, მომხმარებლის სახელი, კოდური სიტყვა ან/და ნებისმიერი სხვა სახის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც შეიძლება კლიენტის მიერ გამოყენებული იქნას დისტანციური საბანკო მომსახურების არხებზე წვდომისთვის ან/და სხვადასხვა საბანკო მომსახურებით უსაფრთხო სარგებლობისათვის;

2.74. **ხარჯვის ლიმიტი** - ბარათიდან გარკვეული პერიოდის განმავლობაში თანხის ხარჯვის (რაც ასევე მოიცავს ბანკომატიდან თანხის განაღდების ლიმიტს) მაქსიმალური ოდენობა;

2.75. **Apple** - აშშ-ში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Apple, Apple Inc, რომლის მისამართია: 1 Infinite Loop, Cupertino, California 95014 USA;

2.76. **Apple Pay** - **Apple**-ის მიერ შექმნილი მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტ(ებ)ს განახორციელონ გადახდები Apple მოწყობილობის და Apple

მოწყობილობაში ჩართული/დამატებული ბარათების გამოყენებით. თავსებადი მოწყობილობების ჩამონათვალი მოცემულია ბმულზე https://support.apple.com/en-us/HT208531;

2.77. **Cashback** - ლოიალობის პროგრამის ფარგლებში კლიენტისთვის დაბრუნებული თანხის ოდენობა, რომლის გადახდის პირობები განისაზღვრება წინამდებარე პირობებით და ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად;

2.78. **Google** - ირლანდიაში რეგისტრირებული იურიდიული პირი - კომპანია Google Ireland Limited, რომლის მისამართია: Gordon House, Barrow Street, Dublin 4, Ireland;

2.79. **Google Pay** - Google-ის მიერ შექმნილი მობილური/ციფრული გადახდის სისტემა/სერვისი, რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტ(ებ)ს განახორციელონ გადახდები მოწყობილობის და მოწყობილობაში ჩართული/დამატებული ბარათების გამოყენებით;

2.80. **H2H** - პირდაპირი ჰოსტინგი, რომელიც გულისხმობს ორ საგადახდო პროვაიდერს შორის ანგარიშსწორების განხორციელებას, საერთაშორის საგადამხდელოს სისტემის ჩარევის გარეშე;

2.81. **ID ბარათი** - მაღალტექნოლოგიური და გაყალბებისგან მეტად დაცული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა;

2.82. **Me2Me სერვისი (აპლიკაციაში „შეავსე ევროპული ბანკიდან“)** – მომსახურება, რომლის ფარგლებშიც მომხმარებლის სახელზე სხვა იურისდიქციის ბანკში ან/და ფინანსურ ინსტიტუტში გახსნილი ანგარიში (გამგზავნი ანგარიში) გამოიყენება კლიენტის სახელზე სილქ ბანკში გახსნილ ანგარიშზე (დანიშნულების ანგარიში) ფულადი თანხის გადასარიცხად. სერვისს ბანკი უზრუნველყოფს საერთაშორისო საგადახდო მომსახურების პროვაიდერ **Thunes**-ის მეშვეობით. Me2Me სერვისი ბანკის აპლიკაციაში მოცემულია, როგორც - „შეავსე ევროპული ბანკიდან“.

2.83. **Thunes** – საერთაშორისო საგადახდო მომსახურების პროვაიდერი, რომელიც ოპერირებს გლობალურ საგადახდო ქსელში და Me2Me სერვისის ფარგლებში უზრუნველყოფს გადახდის ინსტრუქციის (დავალების) მიღება-გადაგზავნას, ტრანზაქციის მარშრუტიზაციასა და ანგარიშსწორების ორგანიზებას გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერსა და ბანკს შორის.

2.84. **Me2Me გადახდის ინსტრუქცია** (დავალება) – კლიენტის მიერ SilkApp-ის მეშვეობით, ბანკის მიერ დადგენილი წესით, ბანკისთვის წარდგენილი მოთხოვნა ან დავალება Me2Me სერვისის გამოყენებით თანხის გადარიცხვის მიზნით.

2.85. **Me2Me გამგზავნი ანგარიში** – კლიენტის სახელზე სხვა ბანკში ან ფინანსურ ინსტიტუტში (გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერი) გახსნილი ანგარიში, საიდანაც ჩამოიჭრება თანხა და გადაირიცხება კლიენტის სილქ ბანკში არსებულ დანიშნულების ანგარიშზე Me2Me გადარიცხვის განხორციელების მიზნით.

2.86. **Me2Me გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერი** – ის ბანკი ან ფინანსური ინსტიტუტი, რომელშიც გახსნილია კლიენტის გამგზავნი ანგარიში და საიდანაც ხდება თანხის ჩამოჭრა Me2Me გადარიცხვისგანხორციელების მიზნით.

2.87. **Me2Me დანიშნულების ანგარიში** – კლიენტის სახელზე სილქ ბანკში გახსნილი შესაბამისი ანგარიში, რომელიც გამოიყენება Me2Me სერვისის ფარგლებში თანხის მისაღებად.

3. განცხადებები და გარანტიები

3.1. კლიენტი წინამდებარე პირობებით გათვალისწინებულ განაცხად(ებ)ზე თანხმობის გამოხატვით ან/და პირობებით გათვალისწინებული მომსახურებით სარგებლობით აცხადებს თანხმობას, რომ:

3.1.1. კლიენტს აქვს სრული უფლებამოსილება (ან მიიღებს შესაბამის უფლებამოსილებას), იმისათვის, რომ ხელი მოაწეროს ან სხვა ფორმით დაეთანხმოს და შეასრულოს ამ ხელშეკრულებით ან ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ან/და განაცხადებით გათვალისწინებული ვალდებულებები;

3.1.2. კლიენტის მიერ ბანკისათვის განაცხადის სახით ან სხვა რაიმე ფორმით წარდგენილი ინფორმაცია ზუსტი, უტყუარი და სრულია;

3.1.3. წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ოპერაცი(ებ)ის შესრულებით არ დაირღვევა სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის პირობები ან კლიენტის სხვა ვალდებულებ(ებ)ი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან რაიმე სახის კანონი, დებულება, წესი, განკარგულება, სასამართლო გადაწყვეტილება, ბრძანება, მითითება, სასამართლო დადგენილება ან სახელმწიფოს, სახელმწიფო ან მარეგულირებელი ორგანოს, სასამართლო ან საარბიტრაჟო ორგანოს მიერ დაწესებული რაიმე შეზღუდვა, რომლის დაცვაზეც პასუხისმგებელია კლიენტი. ამ ხელშეკრულების პირობებით განსაზღვრული ოპერაციის შესრულება არ მოვა წინააღმდეგობაში ან არ დაარღვევს რაიმე სახის ხელშეკრულებას, კონტრაქტს, ლიცენზიას ან სხვა სახის შეთანხმებას, რომლის მხარესაც წარმოადგენს კლიენტი;

3.1.4. კლიენტი არ მონაწილეობს ან მას არ ემუქრება ისეთი სასამართლო პროცესი, რომელმაც შედეგად შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს მის ფინანსურ მდგომარეობასა ან საქმიანობაზე ან/და მის მიერ ხელშეკრულების ან/და ბანკთან დადებული სხვა ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

3.1.5. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და ბანკთან დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობამაც შესაძლოა უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.1.6. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და ბანკთან დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის იგი იცავს და დაიცავს ნებისმიერი ხელშეკრულების ან/და სხვა გარიგების პირობებს, ან/და სხვა ვალდებულებებს, რომელთა შეუსრულებლობითაც შესაძლოა ბანკს მიადგეს მატერიალური ან სხვა სახის ზიანი/ზარალი და დაიცავს ბანკს ამგვარი სახის ზიანისაგან/ზარალისაგან.

3.1.7. წინამდებარე ხელშეკრულების ან/და ბანკთან დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის არ განახორციელებს იმგვარ ქმედებებს, რომელთა შედეგადაც შესაძლოა ბანკს მიადგეს ნებისმიერი სახის ზიანი/ზარალი და ასეთი შედეგის დადგომის შემთხვევაში აცნობიერებს ბანკის უფლებამოსილებას გამოიყენოს კანონმდებლობით ან/და წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრული ღონისძიებები.

3.1.8. ხელშეკრულების ან/და ბანკთან დადებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების/გარიგების დადებისა და მოქმედების მთელი პერიოდისათვის მისი მხრიდან ადგილი არ აქვს/ექნება არცერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სამართალდარღვევებს (ადმინისტრაციული, სისხლის სამართლის და სხვა), მათ შორის და არამხოლოდ: ფულის გათეთრება, ტერორიზმი, ნარკოტიკული დანაშაული, დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ, დანაშაული კულტურული მემკვიდრეობის წინააღმდეგ, დანაშაული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის წეს(ებ)ის წინააღმდეგ, დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ, დანაშაული მოსახლეობის ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი ზნეობის წინააღმდეგ, დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ და ფულად-საკრედიტო სისტემაში.

3.1.9. არ წარმოადგენს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ დაწესებული ნებისმიერი სანქციით ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვით/აკრძალვით (მათში დროდადრო შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით) დასანქცირებულ პირს ან/და ასეთ პირთან საქმიანი, შრომითი, ბიზნეს, ოჯახური, ნათესაური ან სხვა ტიპის კავშირით დაკავშირებულ პირს.

3.1.10. მისი ქმედება არ არის/იქნება მიმართული ბანკის მოტყუებისაკენ. აღნიშნული პრინციპის გათვალისწინებით ხელშეკრულების ან/და ბანკთან დადებული სხვა ხელშეკრულების დასადებად ან მის საფუძველზე და შესასრულებლად, მის მიერ ბანკისათვის წარდგენილი დოკუმენტი ან/და ინფორმაცია მისი წარმოდგენის მომენტისათვის ასევე არის/იქნება უტყუარი, ზუსტი და სრული. ამასთანავე, მისთვის ცნობილია, რომ ყალბი

დოკუმენტების ან/და ინფორმაციის მიწოდება, კანონმდებლობის შესაბამისად წარმოადგენს დასჯად ქმედებას;

3.1.11. პირდაპირ ან არაპირდაპირ არ გადაუხდია ან მიუღია (ან ჩართულა რაიმე გარიგებაში, რომლის მიხედვითაც უნდა გადაიხადოს ან მიიღოს), ნებისმიერი უკანონო ან/და დაფარული გადასახადი, ქრთამი ან ანაზღაურება, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს ხელშეკრულებას ან/და ბანკთან დადებულ სხვა ნებისმიერ ხელშეკრულებას.

3.1.12. ხელშეკრულების დადებისას ბანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, კლიენტის ან/და მისი ახლობლების მიმართ იძულებას, მოტყუებას ან/და მუქარას, ბანკს არ უსარგებლია კლიენტის ფინანსური მდგომარეობით და არ გამოუყენებია ბოროტად ბანკის საბაზრო ძალაუფლება;

3.1.13. სრულად გაეცნო და მისთვის მისაღებია ხელშეკრულების პირობები და ხელშეკრულების ტარიფები და ადასტურებს, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირგასამტეხლო არ არის შეუსაბამოდ მაღალი.

3.1.14. კლიენტი აცხადებს და ადასტურებს, რომ გაცნობილია ბანკის ვებგვერდზე www.silkbank.ge განთავსებულ „კონფიდენციალობის პოლიტიკას“ და მის დანართ(ებ)ს.

3.2. კლიენტის მიერ ელექტრონული ფორმით გაკეთებულ თანხმობას (მაგ. ეკრანზე თანხმობის ღილაკის დაჭერას, მობილური ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის ბანკისთვის მიწოდებას ან/და სხვა ქმედებას, რომელიც მკაფიოდ გამოხატავს კლიენტის ნებას) ან მხარეთა შორის ელექტრონული ფორმით დადებულ ნებისმიერ გარიგებას (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად აღნიშნული გარიგების დადებაზე ელექტრონული ფორმით ნების გამოვლენას/დათანხმებას) აქვს მატერიალური დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა (მატერიალურ დოკუმენტზე პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა).

3.3. აღნიშნული განცხადებები ძალაშია ამ ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მიუხედავად ხელშეკრულების სრულად ან ნაწილობრივ შეწყვეტისა.

3.4. კლიენტი ყველანაირი საშუალებით უზრუნველყოფს, რომ მასთან დაკავშირებულმა პირებმა (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს) ამ ხელშეკრულების მთლიანი ვადის განმავლობაში არ განახორციელონ ისეთი ქმედება, რომელიც გამოიწვევს წინამდებარე დოკუმენტში მოყვანილი გარანტიების დარღვევას.

3.5. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ კლიენტი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ბანკს ისეთი გარემოებების შესახებ, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს ამ ხელშეკრულებაში მოცემული გარანტიების დარღვევა ან წინააღმდეგობაში მოვიდეს აღნიშნულ განცხადებებთან.

3.6. აღნიშნული განცხადებების დარღვევის შემთხვევაში (რითაც არ იზღუდება ბანკის უფლება მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც გამოწვეული იქნება გარანტიების ამგვარი დარღვევით), თუ კლიენტი ვერ შეძლებს ამ დარღვევის აღმოფხვრას დარღვევის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, კლიენტი თანახმაა ბანკს აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისაგან, ხარჯისაგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისაგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისაგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას. წინამდებარე პუნქტის მიზნების უზრუნველსაყოფად კლიენტი აცნობიერებს ბანკის უფლებამოსილებას წინასწარი შეტყობინების გარეშე უაქცეპტოდ დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ნებისმიერი ანგარიში, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან და მიმართოს აღნიშნული თანხები მესამე პირების ან ბანკის წინაშე არსებული დავალიანებების დასაფარად (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

4. საბანკო მომსახურების ტარიფები

4.1. კლიენტისა და ბანკის ფინანსური ურთიერთობა რეგულირდება ბანკის მიერ დადგენილი ტარიფებით.

4.2. კლიენტი ბანკს უხდის საკომისიოს პირობებით განსაზღვრული რომელიმე პროდუქტის/მომსახურების ან/და სატარიფო პაკეტის გამოყენებისას, მათი გამოყენების დროისათვის ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების შესაბამისად.

4.3. ბანკში მოქმედი ტარიფები ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge, შემდეგ ბმულზე - https://silkbank.ge/individual/accounts/angarishebis-momsakhureba/ ან/და ბანკის დისტანციურ არხებში ან/და მომსახურების წერტილებში. ამასთან ბანკი უფლებამოსილია სხვა ფორმით, მათ შორის წერილობითი ფორმით მიაწოდოს კლიენტს ინფორმაცია ბანკში დადგენილი პროდუქტის/მომსახურების ტარიფების ან/და სატარიფო პაკეტის ღირებულების თაობაზე.

4.4. ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად შეცვალოს მოქმედი ტარიფები. ბანკის მიერ დადგენილი ტარიფების ცვლილების შემთხვევაში, კლიენტს აღნიშნულის შესახებ ეცნობება წინასწარ პირადად ან ბანკის საინფორმაციო მასალების საშუალებით.

4.5. ბანკი უფლებამოსილია ბანკში გახსნილი კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან უაქცეპტო წესით ჩამოწეროს მომსახურების ტარიფები. კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან სატარიფო პაკეტების ან/და საბანკო პროდუქტების/მომსახურების საკომისიოს ჩამოწერა ხორციელდება მათ შორის კონვერტაციის გზით, კონვერტაციის დღეს ბანკის კომერციული გაცვლითი კურსის შესაბამისად.

4.6. თუ საკომისიოს გადახდის დღეს კლიენტის ანგარიშზე უკვე ფიქსირდება დავალიანება წინა თვის საკომისიოს სახით, ყოველთვიურად განხორციელდება მომდევნო თვის/თვეების საკომისიოს აკუმულირება დავალიანების სახით. ბანკი უფლებამოსილია დაგროვილი დავალიანების თანხის ჩამოჭრა კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან განახორციელოს ანგარიშ(ებ)ზე თანხის ნებისმიერი ფორმით განთავსებისთანავე იქამდე, ვიდრე დავალიანება სრულად არ დაიფარება.

4.7. სატარიფო პაკეტ(ებ)ის მომსახურების საკომისიოს გადახდა ხორციელდება წინასწარ, თვეში ერთხელ.

4.8. სატარიფო პაკეტ(ებ)ის საფასურის პირველი გადახდა ხდება კონკრეტული სატარიფო პაკეტის შეძენის დღეს შემდგომ გადახდას კლიენტი ახორციელებს მის მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად, თვეში ერთხელ ყოველი მომდევნო თვის იმავე რიცხვში ან წელიწადში ერთხელ ყოველი მომდევნო წლის იმავე რიცხვში. თუ კონკრეტულ კალენდარულ თვეში არ არსებობს აღნიშნული რიცხვი, საფასურის ჩამოჭრა განხორციელდება აღნიშნული კალენდარული თვის ბოლო რიცხვში, ხოლო ყოველწლიური გადახდის სქემის არჩევის შემთხვევაში, თუ კონკრეტულ კალენდარულ წელში არ არსებობს წინა გადახდის შესაბამისი რიცხვი, გადახდის თარიღი განისაზღვრება მომდევნო კალენდარულ რიცხვით.

4.9. კლიენტის მიერ რომელიმე მომსახურების ან სატარიფო პაკეტის საკომისიოს გადაუხდელობა ბანკს ანიჭებს უფლებას შეუჩეროს ან შეუწყვიტოს კლიენტს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული პროდუქტით/მომსახურებით ან/და სატარიფო პაკეტით სარგებლობის უფლება.

4.10. კლიენტის მიერ ახალი სატარიფო პაკეტის შეძენის (სატარიფო პაკეტის ცვლილების) შემთხვევაში, კლიენტზე გავრცელდება ახალი სატარიფო პაკეტით განსაზღვრული ტარიფები. ამასთან, თუ ხორციელდება:

4.10.1. უფრო მაღალი ღირებულების სატარიფო პაკეტის შეძენა - კლიენტის მიერ ახალი სატარიფო პაკეტის შეძენის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია ბანკს გადაუხადოს ახალი სატარიფო პაკეტის ღირებულება, ამასთანავე, კლიენტი აცნობიერებს, რომ მის მიერ მანამდე შეძენილი პაკეტით სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს ოდენობა არ ექვემდებარება ანაზღაურდებას.

4.10.2. უფრო დაბალი ღირებულების სატარიფო პაკეტის შეძენა - კლიენტს არ აუნაზღაურდება მანამდე შეძენილი სატარიფო პაკეტით სარგებლობისათვის წინასწარ გადახდილი საკომისიოს შესაბამისი ოდენობა.

4.11. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით კლიენტის სატარიფო პაკეტი შეცვალოს უფრო დაბალი ღირებულების მქონე სატარიფო პაკეტით.

4.12. ახალი სატარიფო პაკეტის შეძენისას/სატარიფო პაკეტის ცვლილებისას მომსახურების საკომისიოს გადახდის თარიღი შეიცვლება და განისაზღვრება სატარიფო პაკეტის შეძენის/ცვლილების თარიღის შესაბამისად.

4.13. კონკრეტული სატარიფო პაკეტის მომსახურების საკომისიოს გადახდის დღეს კლიენტს დაერიცხება მომდევნო თვის საკომისიო ან მომდევნო წლის საკომისიო მის მიერ არჩეული გადახდის სქემის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ ანგარიშზე არ იქნება საკმარისი ნაშთი, დარიცხული საკომისიოს გადასახდელად, ვალდებულების ჩამოჭრა განხორციელდება ანგარიშზე თანხის გაჩენისთანავე.

4.14. სატარიფო პაკეტ(ებ)ის მომსახურების საკომისიოს დავალიანების დაფარვის შემდეგ კლიენტს აღუდგება არსებული საპაკეტო ტარიფი (ასეთის არსებობისას).

4.15. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ დავალიანების არსებობის შემთხვევაში პირველ რიგში ხდება ბანკის მიერ კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან თანხის ჩამოწერა დავალიანების დასაფარად. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს კლიენტს უფლება განკარგოს დარჩენილი თანხა საკუთარი შეხედულებისამებრ.

4.16. კლიენტის მიერ ბანკის მიმართ არსებული დავალიანებისას, გადასახდელი თანხა იფარება ბანკის შეხედულებით განსაზღვრული თანმიმდევრობით. ამასთან, დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა შემდეგია:

4.16.1. სატარიფო პაკეტების მომსახურების საკომისიო (არსებობის შემთხვევაში);

4.16.2. საკრედიტო დავალიანება (არსებობის შემთხვევაში) – მათ შორის საკრედიტო ბარათის, ოვერდრაფტის და სხვა საკრედიტო პროდუქტის მიხედვით;

4.16.3. თანხის გადახარჯვის (ოვერლიმიტის) პროცენტი (არსებობის შემთხვევაში);

4.16.4. კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული სხვა დავალიანება (არსებობის შემთხვევაში).

4.17. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად პირობების 4.16 პუნქტში მოცემული დავალიანების დაფარვის სტანდარტული თანმიმდევრობა არ გამორიცხავს ბანკის უფლებას, კლიენტის დავალიანების დაფარვა განახორციელოს სხვა, თავისი შეხედულებისამებრ განსაზღვრული თანმიმდევრობით.

4.18. ბანკი შეეცდება კლიენტს შეატყობინოს მისი ბანკისადმი არსებული დავალიანების გადახდის აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა, კლიენტი არ გათავისუფლდება დავალიანების გადახდის ვალდებულებისგან მის მიერ დავალიანების შეტყობინების მიუღებლობისას.

4.19. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი შეწყვეტს სატარიფო პაკეტში შემავალი ყველა პროდუქტით/მომსახურებით სარგებლობას, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს გაუუქმოს სატარიფო პაკეტი.

4.20. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ბაზაზე დაყრდნობით დაადგენს კლიენტის გარდაცვალების ფაქტს, ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს კლიენტის ყველა აქტიური პროდუქტი (მათ შორის დახუროს კლიენტის ანგარი(ებ)ი) ან/და გააუქმოს სატარიფო პაკეტი.

5. დავალების მიღებისა და შესრულების ვადები

5.1. ბანკი გადახდის ოპერაციას ახორციელებს გადამხდელის ან მიმღების მიერ ბანკისათვის წარდგენილი დავალების საფუძველზე. ამასთან, დავალება შეიძლება წარდგენილი იქნას მატარიალური ან/და არამატერიალური-ელექტრონული ფორმით.

5.2. დავალებას ბანკი მიიღებს და შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელის ან მიმღების მიერ სრულად და ჯეროვნად შევსებული იქნება ბანკის მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები.

5.3. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკის მიერ დავალების მიღება ავტომატურად არ გულისხმობს გადახდის ოპერაციის შესრულებას და გადახდის ოპერაცია დაკავშირებულია შესაბამის ვადებთან, რომელიც დამოკიდებულია თავად დავალების შინაარსზე. ბანკის მიერ დავალებ(ებ)ის მიღებისთვის დადგენილი დროის მონაკვეთი, აგრეთვე მიღებული დავალებ(ებ)ის განხორციელებისთვის საჭირო მაქსიმალური ვადები განისაზღვრება წინამდებარე პირობების დანართი N1-ის შესაბამისად.

5.4. საგადახდო დავალების წარდგენიდან, წინამდებარე პირობებით დადგენილ წესით მის მიღებამდე კლიენტი უფლებამოსილია გამოითხოვოს დავალება ბანკის მიერ დადგენილი წესით. ამასთან, დავალების გამოთხოვა დაუშვებელია იმ შემთხვევაში, თუ იგი გადაცემულია შესაბამისი საგადახდო სისტემისთვის.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1. მხარეები იღებენ ვალდებულებას აუნაზღაურონ ერთმანეთს მათ მიერ ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზიანი (ზარალი) კანონმდებლობით ან/და ხელშეკრულებით დადგენილი წესით.

6.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად, კლიენტი აცხადებს წინასწარ თანხმობას ბანკის სრულ უფლებამოსილებაზე, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ:

6.2.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის და არამარტო საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების (მათ შორის ასეთი საფრთხის არსებობის) შემთხვევაში დაბლოკოს კლიენტის ანგარიში;

6.2.2. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი სახის ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს არსებული ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

6.2.3. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკმა თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტს ანგარიშიდან;

6.2.4. ბანკის წინაშე არსებული კლიენტის ვალდებულებები გაქვითოს კლიენტის წინაშე არსებულ ბანკის ნებისმიერ ვალდებულებაში.

7. პასუხისმგებლობის შეზღუდვა

7.1. იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი მოქმედებს კლიენტის დავალებით საბანკო მომსახურების გაწევისას, კლიენტი აცხადებს თანხმობას იმის შესახებ, რომ აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ზიანისგან, ზარალისგან, სასამართლო ხარჯებისგან, კლიენტის ან მესამე მხარის მიერ (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებითი ბარათის მფლობელებს) წამოწყებული საჩივრისგან, ქმედებისგან ან სასამართლოში წარდგენილი საჩივრისგან, სარჩელისგან ან განაცხადისგან, ასევე კლიენტი აუნაზღაურებს და დაიცავს ბანკს ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიშვა საბანკო მომსახურების გამოყენების შედეგად, ან ისეთი ზიანისაგან, რომელიც წარმოიქმნა საბანკო მომსახურების მეშვეობით განხორციელებული ოპერაციის შედეგად; კლიენტი აღიარებს, რომ აღნიშნული ოპერაციები განხორციელდება ბანკის მიერ მიღებული დავალებების და ავტორიზაციის შესაბამისად ამ პირობების მიხედვით და სხვა შესაბამისი განსაკუთრებული პირობების, ხელშეკრულებების, კონტრაქტების ან მსგავსი ინსტრუმენტების მიხედვით. კლიენტი აგრეთვე აცხადებს თანხმობას და ადასტურებს, რომ ზარალის ანაზღაურების პირობები ძალაში დარჩება და კლიენტისათვის მავალდებულებელი იურიდიული ძალა ექნება იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოხდება საბანკო მომსახურების ნაწილობრივ ან მთლიანად გაუქმება.

7.2. კლიენტი აცხადებს და თანახმაა, რომ მას შესაძლოა მოუწიოს ზარალის ანაზღაურების შესახებ დამატებითი ხელშეკრულებების, განცხადებების ან სხვა მსგავს დოკუმენტზე ხელმოწერა და მათი / მისი შესრულება, განსაკუთრებით კი ისეთ ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც წვდომის კოდ(ებ)ის გამოყენებით განხორციელდა. ამგვარი დამატებითი ხელშეკრულებები, განცხადებები და მსგავსი საშუალებები დაემატება და არ გამორიცხავს აქ მოყვანილ პირობებს ზარალის ანაზღაურების შესახებ.

7.3. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ კლიენტის მიერ გადარიცხვებთან, მათ შორის, საერთაშორისო გადარიცხვებთან დაკავშირებული საგადახდო დავალების შეუსრულებლობისთვის ან/და შესრულების დაყოვნებისთვის ბანკი არ არის პასუხსიმგებელი თუ: (ა) სრულად და ჯეროვნად არ არის შევსებული ბანკის მიერ მოთხოვნილი რეკვიზიტები საგადახდო დავალების შესასრულებლად; (ბ) საგადახდო დავალება ვერ

შესრულდა მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედების გამო, მათ შორის და არა მარტო, მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ გადასარიცხი თანხის დაბლოკვის/შეჩერების შემთხვევაში რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას; (გ) საგადახდო დავალება ვერ შესრულდა ბანკისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზით, მათ შორის და არა მარტო, თუ სახეზეა ემბარგო ან/და სხვა რაიმე შეზღუდვა, რაც აფერხებს ადრესატის მიერ თანხის მიღებას; (დ) ბანკის, საკორესპოდენტო ან/და მიმღები ბანკის მიერ მოხდება თანხის ბლოკირება ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის ან/და სხვა მიზნით.

7.4. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერ გადარიცხვებთან, მათ შორის, საერთაშორისო გადარიცხვებთან დაკავშირებული საგადახდო დავალების შესრულებისთვის დადგენილი ხარჯების ცვლილებისთვის (მათ შორის გადარიცხვის საკომისიოს ცვლილებისთვის), თუ აღნიშნული ცვლილება განხორციელდა მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ.

7.5. ამ ხელშეკრულების პირობების მიუხედავად, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე ისეთ ზარალზე ან ზიანზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ წარმოიშვა საბანკო მომსახურებასთან დაკავშირებით. ასევე გამორიცხულია ბანკის პასუხისმგებლობა ნებისმიერ ზარალზე ან ზიანზე, მოგების, ბიზნესის, შემოსავლის ან დაგეგმილი დანაზოგების დაკარგვაზე, რომელიც დაკავშირებულია ხელშეკრულებაში განსაზღვრულ საბანკო მომსახურებებთან.

7.6. ზემოაღნიშნული დებულებები ზარალის ანაზღაურების და ვალდებულებების შეზღუდვის შესახებ გავრცელდება ბანკის აღმასრულებელ პირებზე, დირექტორებზე, თანამშრომლებზე, წარმომადგენლებსა და აგენტებზეც, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ზარალი გამოწვეულია ბანკის ან ზემოაღნიშნული პირების დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით ან ამ ხელშეკრულების პირობების დარღვევით (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს ამ პირობების დარღვევას).

7.7. დისტანციური საბანკო მომსახურების არხების გამოყენებისას კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ, იმ მომენტამდე, სანამ იგი არ შეწყვეტს საბანკო მომსახურებით სარგებლობას. აღნიშნული გულისხმობს პასუხისმგებლობას დავალებაზე ან აღნიშნული დავალების შევსებისას დაშვებულ ნებისმიერ შეცდომაზე, რომელიც გაგზავნილი იყო მესამე პირის მიერ. კლიენტმა არ უნდა დატოვოს დისტანციურ საბანკო მომსახურებასთან დასაკავშირებელი მოწყობილობა უყურადღებოდ.

7.8. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე, თუ: ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი, კლიენტმა ბანკს მიაწოდა არასწორი ან არასრული ინფორმაცია ან/და კლიენტსა და ბანკს შორის ინტერნეტით კავშირში ჩაერთო მესამე მხარე.

7.9. ბანკი არაა პასუხისმგებელი ელექტრონული საფულის გამოყენებით კლიენტის მიერ მიღებულ ზიანზე/ზარალზე, თუ აღნიშნული წარმოადგენს კლიენტის არამართლზომიერი ქმედების, წინამდებარე პირობების ან/და Google-ს/Apple-ს წესებისა და პირობების დარღვევის შედეგს.

7.10. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ იმ ტექნიკურ ხარვეზზე, რომელმაც გამოიწვია კლიენტის დავალების/განაცხადის შეუსრულებლობა ან არაჯეროვნად შესრულება.

7.11. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტის მიერ საბანკო მომსახურების მიუღებლობაზე ან/და არაჯეროვან მიღებაზე, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ გაეგზავნა/არ მიუღია ერთჯერადი კოდი, რაც, მათ შორის, შესაძლოა გამოწვეული იყოს მობილური სატელეფონო მომსახურების მიმწოდებლის მომსახურების ხარვეზით ან/და სხვა გარემოებით.

7.12. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება საბანკო მომსახურების შეწყვეტის შემთხვევაშიც, სანამ მხარეები ერთმანეთის წინაშე ბოლომდე არ შეასრულებენ ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ვალდებულებებს.

8. გადასახადები

8.1. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი სახელმწიფო თუ სხვა ორგანოსთვის საგადასახადო განაცხადის შეტანაზე ამ პირობების შესაბამისად. კლიენტი აგრეთვე თავად არის პასუხისმგებელი გადაიხადოს ნებისმიერი გადაუხდელი გადასახადი (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს), ბეგარა, საბაჟო გადასახადი, რომელიც შეიძლება დაწესდეს ნებისმიერ ვალდებულებაზე, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ანგარიშ(ებ)ის მართვასთან ან წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ ნებისმიერ ან ყველა საბანკო მომსახურებასთან მიმართებაში (ერთად, "საგადასახადო ვალდებულება"); ამასთანავე, ბანკი თავად იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერი გადასახადის გადახდაზე ან ვალდებულებაზე, რომელიც დაკავშირებულია კლიენტისგან მიღებულ საკომისიო თანხასთან. თუ კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ ნებისმიერი ვალდებულების გადახდა შესაძლებელია თანხების დაკავებით, ბანკი ან/და ნებისმიერი შვილობილი/აფილირებული კომპანია ამგვარი თანხის გადახდას ან ჩამოწერას კლიენტის ხარჯზე მოახდენს იმის გათვალისწინებით, რომ ბანკი კლიენტს გაუგზავნის შესაბამის შეტყობინებას. თუ კანონის შესაბამისად ბანკს ეკისრება რაიმე გადასახადი ან ჯარიმა კლიენტის საგადასახადო ვალდებულების გამო, კლიენტი დაუყოვნებლივ აუნაზღაურებს ბანკს ყველა ამგვარ ვალდებულებას იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ამგვარი გადასახადის ან ჯარიმის დაწესება გამოწვეულია ბანკის რომელიმე ქვედანაყოფის დაუდევრობით, სამსახურებრივი გულგრილობით ან გამიზნული ქმედებით.

8.2. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს ანგარიში ან/და პირობებში აღწერილი მომსახურება სამეწარმეო საქმიანობისთვის ან/და კანონმდებლობით აკრძალული ნებისმიერი საქმიანობისთვის. ამასთან, კლიენტის მიერ სამეწარმეო საქმიანობის დაწყების და გადასახადის გამხდელ პირად რეგისტრაციის შემთხვევაში იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს.

9. ხელშეკრულების ცვლილება

9.1. ახალი ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტისათვის წინასწარ 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი შეტყობინების საფუძველზე, ცალმხრივად (კლიენტის დამატებითი თანხმობის გარეშე) შეცვალოს ხელშეკრულების პირობები, ამასთან წინასწარი გაფრთხილების ვალდებულება არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც:

9.1.1. ხელშეკრულებით ან პირობებით განსაზღვრული მომსახურების ტარიფების ცვლილება ხორციელდება კლიენტის სასარგებლოდ;

9.1.2. ხელშეკრულებაში ან პირობებში ხორციელდება ახალი საგადახდო მომსახურების, საბანკო პროდუქტის ან დისტანციური საბანკო მომსახურების არხის დამატება, რომელიც არსებითად არ ანაცვლებს ან/და არ ცვლის ხელშეკრულებაში ან/და პირობებში არსებულ მომსახურებებს.

9.1.3. ცვლილება გამომდინარეობს კანონმდებლობის მოთხოვნიდან ან/და ბანკის ზედამხედველი/ მარეგულირებელი/ მაკონტროლებელი ორგანოს მითითებიდან;

9.2. თუ კლიენტი არ დაეთანხმება ბანკის მიერ შეცვლილ პირობებს, იგი ვალდებულია ცვლილებების ძალაში შესვლამდე წერილობით აცნობოს აღნიშნულის შესახებ ბანკს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩაითვლება, რომ კლიენტი ეთანხმება განხორციელებულ ცვლილებებს.

9.3. ცვლილებების მიღებაზე უარის დაფიქსირების შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების დაუყოვნებლივ შეწყვეტა, ამასთან თუ ასეთი მოთხოვნა არ არის დაფიქსირებული კლიენტის მხრიდან განცხადებაში, ბანკი უფლებამოსილია თავად შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება ცვლილებების ამოქმედების თარიღიდან.

9.4. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული მიზეზით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს, ხოლო კლიენტი ვალდებულია სრულად დაფაროს ბანკის მიმართ არსებული დავალიანება (ასეთის არსებობის შემთხვევაში), წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით. ამასთან,

ხელშეკრულების შეწყვეტისათვის კლიენტს არ დაეკისრება რაიმე სახის საჯარიმო საკომისიო ან/და დამატებითი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტისათვის.

9.5. ხელშეკრულებაში ცვლილებების შესახებ კლიენტის ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება შეცვლილი პირობების ტექსტის ბანკის ვებგვერდზე - www.silkbank.ge განთავსების გზით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის ინფორმირება დაგეგმილი ან არსებული ცვლილების შესახებ მოახდინოს წინამდებარე პირობების მე-13 მუხლით განსაზღვრული კომინიკაციის ერთი ან რამდენიმე ფორმით. კლიენტი თავად არის ვალდებული პერიოდულად შეამოწმოს ბანკის ვებ-გვერდი და გაეცნოს პირობებში ცვლილებებს.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

10.1. ეს პირობები ძალაში შევა მას შემდეგ, რაც კლიენტი შეავსებს შესაბამის განაცხადს, ხელს მოაწერს/დაეთანხმება ელექტრონული ფორმით და ჩააბარებს ბანკს და მას დაეთანხმება ბანკი. ბანკის თანხმობა გამოიხატება კლიენტისათვის შესაბამისი საბანკო მომსახურების გაწევის დაწყებით. ამასთან, ძალაში შევა პირობების მხოლოდ ის ნაწილები, რომლებიც შეეხება კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ მომსახურებას და მათთან ერთად პირობების I და III ნაწილები.

10.2. პირობები ძალაშია პროდუქტის/მომსახურების ან/და სატარიფო პაკეტის მოქმედების ვადით და მოქმედებს ამ პირობებით განსაზღვრული წესის შესაბამისად მის შეწყვეტამდე.

10.3. პროდუქტის/მომსახურების ან სატარიფო პაკეტის მოქმედების შეწყვეტის შემდეგ მისი მოქმედების განახლების შემთხვევაში პროდუქტზე/მომსახურებაზე ან/და სატარიფო პაკეტზე გავრცელდება წინამდებარე პირობები, ყოველგვარი დამატებითი შეთანხმების გარეშე.

10.4. თუ ბანკი ან/და კლიენტი გადაწყვეტენ შეწყვიტონ ზოგიერთი სახის საბანკო პროდუქტით მომსახურება, შეწყვეტის შესახებ შეთანხმება ძალაში იქნება მხოლოდ მითითებულ მომსახურებასთან დაკავშირებით.

10.5. თუ წინამდებარე პირობებით, მათ შორის ანგარიშის დახურვის მუხლით, ან კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ბანკს უფლება აქვს შეწყვიტოს მთლიანი ხელშეკრულება ნებისმიერ დროს.

10.6. თუ კლიენტი დაარღვევს ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობას ან მის გადახდისუნარიანობას შეექმნება საფრთხე, ბანკი შესაბამისი შეტყობინების გაგზავნით უარს განუცხადებს კლიენტს მომსახურების გაწევაზე და გააუქმებს ხელშეკრულებას, ბარათ(ებ)ს, დახურავს კლიენტის ანგარიშ(ებ)ს, გააუქმებს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრულ საბანკო მომსახურებას (ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს დისტანციურ საბანკო მომსახურების არხებს) და მოითხოვს კლიენტის მიერ ბანკის წინაშე არსებული დავალიანების სრულად დაფარვას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტას.

10.7. კლიენტის მიერ ანგარიშით მომსახურების შეწყვეტის ან ამ ანგარიშის დახურვის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეუწყვიტოს კლიენტს წინამდებარე პირობებით განსაზღვრული ნებისმიერი ან ყველა მომსახურება.

10.8. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ხელშეკრულება ბანკისთვის 1 (ერთი) თვით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე. ამასთან, ბანკის თანხმობის შემთხვევაში ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს აღნიშნულ ვადაზე ადრეც.

10.9. კლიენტი აცნობიერებს და თანახმაა, რომ ხელშეკრულება არ შეწყდება მანამ, სანამ კლიენტი არ შეწყვეტს ისეთ განგრძობად ოპერაციებსაც (რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს მუდმივ საგადახდო დავალებას, ავტომატურ კომუნალურ გადახდებს, განმეორებად ოპერაციებს და განგრძობად ავტორიზაციას, რომელიც კლიენტმა გასცა საქონლის ან მომსახურების მომწოდებელზე და რაც გულისხმობს მისი ანგარიშიდან თანხის რეგულარულად ჩამოწერას), რომლებიც კლიენტის დავალების საფუძველზე ხორციელდება მისივე ანგარიშ(ებ)იდან.

10.10. თუ რომელიმე მხარე გადაწყვეტს ხელშეკრულების შეწყვეტას, მაშინ: ყველა ბარათი, რომელიც ბანკმა გასცა კლიენტზე ან დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე, უნდა დაუბრუნდეს ბანკს; ყველა წვდომის კოდ(ებ)ი

გაუქმდეს. კლიენტმა ბანკს უნდა გადაუხადოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი თანხა.

10.11. ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, მომსახურების ტარიფების გადახდა უნდა განხორციელდეს მხოლოდ გაწეული საგადახდო მომსახურების პერიოდის პროპორციულად, ამასთან თუ ტარიფებით განსაზღვრული რომელიმე რეგულარული/პერიოდული საკომისიო გადახდილია წინასწარ, ბანკი უზრუნველყოფს ზედმეტად გადახდილი თანხის კლიენტისთვის დაბრუნებას.

10.12. თუ ხელშეკრულების შეწყვეტა კლიენტის მიერ განხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 12 (თორმეტი) თვის გასვლამდე, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს ხელშეკრულების შეწყვეტასთან დაკავშირებული ფინანსური ვალდებულება, იმ მოცულობით, რა მოცულობაც არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე ბანკის მიერ გასაწევ რეალურ ხარჯს.

10.13. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ კლიენტის ინფორმირება (ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში) განხორციელდება წინამდებარე პირობების მე-13 მუხლით განსაზღვრული კომუნიკაციის რომელიმე ფორმით,

11. ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხებიდან გააქტიურებულ საბანკო პროდუქტებზე კლიენტის მიერ უარის თქმის უფლება

11.1. კლიენტს უფლება აქვს უარი თქვას, ბანკის დისტანციური საბანკო მომსახურების არხებიდან გააქტიურებული პროდუქტების ხელშეკრულებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით, ბანკის მიერ დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

11.2. კლიენტი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებით განსაზღვრული პროდუქტ(ებ)ის დისტანციური საბანკო მომსახურების არხით გააქტიურებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარულ დღეში უარი თქვას გაფორმებულ ხელშეკრულებ(ებ)აზე ბანკის ფილიალებში შესაბამისი განაცხადით მომართვის, კონტაქტ ცენტრის ან/და ბანკის დისტანციური არხებით (ინტერნეტ/მობაილ ბანკიდან გაგზავნილი შეტყობინების) გზით ან/და ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული სხვა არხებით მომართვის გზით:

11.3. ბანკი კლიენტის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადით მომართვიდან 30 (ოცდაათი) კალენდარულ დღეში განიხილავს კლიენტის მომართვას და გადაწყვეტილებას აცნობებს კლიენტს ბანკში დაფიქსირებული მისი საკონტაქტო მონაცემების მეშვეობით ან შესაძლებლობის ფარგლებში, ფილიალში ვიზიტისას, ადგილზე.

11.4. კლიენტის მიერ უარის თქმის შესახებ განაცხადით მომართვისას, ბანკი უფლებამოსილია საბანკო პროდუქტის გაუქმების მიზნით, მოსთხოვოს კლიენტს დამატებითი მოქმედებების განხორციელება.

11.5. ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გადაიხადოს, ხოლო ბანკი უფლებამოსილია დააკისროს კლიენტს პროდუქტით სარგებლობის ნებისმიერი საფასური (მათ შორის პროდუქტის საკომისიო) ხელშეკრულების შესაბამისად, კლიენტისათვის პროდუქტის მიწოდებისას ბანკის მიერ გაღებული ნებისმიერი და ყველა ხარჯი, ბანკის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურებისა და პერიოდის პროპორციულად. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს დააკისროს ბანკის მიერ მესამე პირისთვის გაწეული/გასაწევი ხარჯის ანაზღაურების ვალდებულება.

11.6. ბანკი დაუბრუნებს კლიენტს საბანკო პროდუქტებით სარგებლობისათვის კლიენტის მიერ გაღებულ ხარჯებს. ამასთანავე, ბანკი უფლებამოსილია კლიენტისთვის დასაბრუნებელი თანხიდან გაქვითოს ბანკის მიერ კლიენტისათვის საბანკო პროდუქტის მიწოდებისათვის ბანკის მიერ გაღებული ხარჯები (მათ შორის, წინამდებარე მუხლის 11.5 პუნქტის შესაბამისად), ხოლო თუ ბანკის მიერ გაწეული ასეთი ხარჯი აღემატება კლიენტის მიერ გაწეულ ხარჯს, ბანკი უფლებამოსილია ბანკში კლიენტის არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოჭრას ხარჯის შესაბამისი ოდენობა, ამავდროულად თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, განახორციელოს კონვერტაცია გადახდის

თარიღისათვის ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება ასევე უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ანგარიშიდან.

11.7. თუ წინამდებარე მუხლის შესაბამისად, კლიენტი არ აანაზღაურებს მის მიერ ბანკისათვის დასაბრუნებელ/ასანაზღაურებელ თანხებს, ან/და არ განახორციელებს წინამდებარე პირობების თანახმად, ბანკის მიერ მოთხოვნილ შესაბამის პროცედურებს დადგენილ ვადაში, ჩაითვლება რომ კლიენტმა არ გამოიყენა რეგულაციით მინიჭებული უარის თქმის უფლება და შესაბამისად, სტანდარტულად გააგრძელებს წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით პროდუქტით სარგებლობას.

11.8. კლიენტი აცნობიერებს, რომ ბანკისათვის ხელშეკრულებაზე უარის თქმის განაცხადით მომართვა ავტომატურად არ იწვევს აღნიშნული უფლების რეალიზებას და პროდუქტით სარგებლობის გაუქმებას. კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება რეალიზებულად ჩაითვლება, ხოლო პროდუქტით სარგებლობა გაუქმებულად, მხარეების მიერ ერთმანეთისათვის გაწეული ხარჯების სრულად ანაზღაურების და კლიენტის მიერ ბანკში დადგენილი ყველა პროცედურის შესაბამისად გავლის შემდეგ.

11.9. კლიენტს არ აქვს უფლება უარი თქვას ბანკთან გაფორმებულ ნებისმიერი სახის სადეპოზიტო ხელშეკრულებაზე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2021 წლის 9 მარტის №32/04 ბრძანებით დამტკიცებული „ფინანსური ორგანიზაციების მიერ მომსახურების გაწევისას მომხმარებელთა უფლებების დაცვის წესის“ მიხედვით.

11.10. კლიენტს არ აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებებზე, რომლებიც კლიენტის აშკარა და ცალსახა მოთხოვნის საფუძველზე სრულად შესრულდა ორივე მხარის მიერ, კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენებამდე.

11.11. კლიენტისთვის ცნობილია, რომ მის მიერ დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში ასევე გაუქმდება მასთან დაკავშირებული ხელშეკრულება, რომელიც დაიდო ბანკთან ან მესამე მხარესთან, ბანკსა და მესამე მხარეს შორის არსებული ხელშეკრულების საფუძველზე. შესაბამისად, კლიენტი ვალდებულია ბანკს აუნაზღაუროს დაკავშირებული ხელშეკრულების გაფორმების ხარჯები, რომელიც ფაქტობრივად გაიღო ბანკმა.

11.12. კლიენტის მიერ ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების გამოყენება არ იწვევს ბანკის მიერ კლიენტის დავალებით შესრულებული გადახდის ოპერაციების გაუქმებას ან/და ისეთი გადახდის ოპერაციების გაუქმებას, რომლის შესრულებაც არ არის მომენტალური და დამოკიდებულია მესამე მხარეების ჩართულობაზე და ბანკის მიერ, კლიენტის დავალებით, უკვე ფაქტობრივად დაიწყო გადახდის ოპერაციის შესრულების დაინიცირება/დავალების გაგზავნა.

11.13. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ კლიენტის მიერ წინამდებარე პირობებით შეძენილ ნებისმიერ სატარიფო პაკეტში შემავალ ცალკეულ პროდუქტზე უარის თქმა, არ ნიშნავს სატარიფო პაკეტზე უარის თქმას და კლიენტისთვის აქტიური რჩება მის მიერ სატარიფო პაკეტით შეძენილი/გააქტიურებული ყველა სხვა პროდუქტი. შესაბამისად, კლიენტი აცნობიერებს, რომ ვინაიდან სატარიფო პაკეტის შეძენისას მის მიერ გადახდილი საკომისიო წარმოადგენს სატარიფო პაკეტის საკომისიოს, სატარიფო პაკეტში შემავალი რომელიმე პროდუქტის გაუქმება არ იწვევს კლიენტისთვის მის მიერ გადახდილი საკომისიოს უკან დაბრუნებას, თუ კლიენტი კვლავ აგრძელებს სატარიფო პაკეტში შემავალი მინიმუმ ერთი პროდუქტით სარგებლობას.

12. მარეგულირებელი კანონმდებლობა და დავების გადაწყვეტა

12.1. წინამდებარე პირობები რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად.

12.2. ნებისმიერი დავა, წინააღმდეგობა ან საჩივარი, რომელიც წარმოიშობა ან შეეხება ამ პირობებს ან ამ პირობების ნებისმიერ დარღვევას, მოგვარდება მხარეებს შორის მოლაპარაკების საფუძველზე.

12.3. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს ბანკის ადგილსამყოფელის მიხედვით.

12.4. კლიენტი უფლებამოსილია ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესრულებასთან დაკავშირებით პრეტენზია წარუდგინოს ბანკს, რომელსაც ბანკი განიხილავს „კლიენტთა პრეტენზიების“ განხილვის პროცედურის შესაბამისად, (რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge თუ ხელშეკრულებით განსხვავებული ვადები ან/და პირობები არ არის დადგენილი.

12.5. საგადახდო მომსახურებასთან დაკავშირებით, ბანკისათვის წარდგენილი საჩივრის დადგენილ ვადაში დაუკმაყოფილებლობის (მათ შორის, პასუხის გაუცემლობის) ან ნაწილობრივ დაკმაყოფილების შემთხვევაში, კლიენტი უფლებამოსილია, განსახილველ საჩივართან დაკავშირებით, ბანკისთვის საჩივრით მიმართვის დღიდან არაუგვიანეს 6 თვის განმავლობაში მიმართოს საქართველოს ეროვნულ ბანკთან არსებულ დავების განმხილველ კომისიას, რომელიც დავას განიხილავს უსასყიდლოდ.

13. კომუნიკაცია

13.1. წერილობითი ფორმით კომუნიკაციისას შეტყობინება უნდა მიეწოდოს მხარეს ხელშეკრულებაში ან/და ბანკთან არსებულ სხვა ხელშეკრულებ(ებ)ში, განაცხადებში მითითებულ საკონტაქტო მონაცემებზე პირადად, კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის), ელექტრონული ფოსტის, ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ციფრული ბანკის ან/და ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით, იმის გათვალისწინებით, რომ:

13.1.1. კლიენტის მიერ ბანკისათვის პირადად ან/და კურიერის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება ბანკის კანცელარიაში შეტყობინების რეგისტრაციის დღეს, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნისას, ბანკის მიერ კლიენტისათვის მიღების დამადასტურებელი საპასუხო ელექტრონული წერილის გაგზავნის დღეს;

13.1.2. ბანკის მიერ კლიენტისათვის კურიერის (მათ შორის რეგისტრირებული ფოსტის ან/და სასამართლო კურიერის) საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება კლიენტისათვის ჩაბარების დღეს, ხოლო აღნიშნული ჩაბარების დადასტურების არ არსებობის შემთხვევაში კლიენტის მისამართზე შეტყობინების ნებისმიერი პირისათვის ჩაბარებიდან მომდევნო კალენდარულ დღეს;

13.2. ბანკის მიერ კლიენტისათვის ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება კლიენტის ელექტრონული ფოსტის სერვერიდან მიღებული დასტურის (ადრესატის ელექტრონულ ფოსტაში რეგისტრაციის შესახებ შეტყობინების) გაცემის დღეს. ხოლო ასეთი დასტურის არ არსებობის შემთხვევაში მომდევნო კალენდარულ დღეს;

13.3. ბანკის მიერ კლიენტისათვის ფიჭური კავშირგაბმულობის (მოკლეტექსტური შეტყობინების), ციფრული ბანკის ან/და ბანკის მიერ შემდგომში განსაზღვრული კომუნიკაციის სხვა საშუალებებით გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება შეტყობინების გაგზავნის დღეს, ხოლო ბანკის ვებ-გვერდზე ინფორმაციის განთავსებისას - ინფორმაციის განთავსების დღეს.

13.4. თუ კლიენტი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემის (მათ შორის ხელშეკრულებაში არსებული ნებისმიერი რეკვიზიტის) ცვლილების შესახებ წინასწარ არ შეატყობინებს ბანკს ან/და უშუალოდ ან საკონტაქტო პირის საშუალებით უარს განაცხადებს ხელშეკრულების საფუძველზე გაგზავნილი შეტყობინების მიღებაზე ან გაგზავნილი შეტყობინება ვერ ჩაბარდება კლიენტს მისამართზე არ ყოფნის მიზეზით ზედიზედ ორჯერ, ბანკის მიერ განხორციელებული ნებისმიერი ასეთი შეტყობინება ჩაითვლება ჩაბარებულად შეტყობინების გაგზავნიდან მომდევნო კალენდარულ დღეს.

13.5. თუ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული კლიენტის საკონტაქტო მონაცემ(ებ)ი ან შეტყობინება ზედიზედ მეორე მცდელობის შემდეგ ვერ ჩაბარდება ადრესატს, ბანკი უფლებამოსილი იქნება მოახდინოს კლიენტის ინფორმირება საჯარო პუბლიკაციის გზით (როგორც ბეჭდვითი, ასევე ინტერნეტის საშუალებით ან სხვა ფორმით). აღნიშნული ქმედება არ ჩაითვლება პერსონალურ მონაცემთა დარღვევად და წინამდებარე ხელშეკრულება განიხილება როგორც კლიენტის თანხმობა მისი მონაცემების ამ მიზნით და მოცულობით დამუშავების თაობაზე.

13.6. მხარეთა შორის კომუნიკაცია ხორციელდება ქათულ ენაზე, ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაცია განახორციელოს კლიენტისთვის მისაღებ სხვა ენაზეც.

13.7. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კლიენტთან კომუნიკაცია სხვადასხვა მიზნით. შესაბამისად, კლიენტისთვის განკუთვნილი შეტყობინება (როგორც წერილობითი ასევე ზეპირი) შესაძლოა ატარებდეს (ა) საინფორმაციო/ტრანზაქციულ (მაგალითად ინფორმაცია კლიენტის ანგარიშზე შესრულებული ოპერაციების შესახებ, წვდომის კოდების კლიენტისთვის მიწოდება, გადახდის გრაფიკის შეხსენება და სხვა), (ბ) სახელშეკრულებო-ვალდებულებით (მაგალითად, გაფრთხილება დავალიანების არსებობის თაობაზე, ვალდებულების შესრულების მოთხოვნა და სხვა), (გ) მარკეტინგულ (მაგალითად, ახალი კრედიტის ან პროდუქტის შეთავაზება და სხვა) ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ შინაარსს.

13.8. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაციისას გამოიყენოს ბანკში კლიენტის, ან მისი თანხმობით მესამე პირების მიერ კლიენტის შესახებ დაფიქსირებული, ან თავად კლიენტის მიერ მესამე პირების შესახებ დაფიქსირებული ნებისმიერი საკონტაქტო მონაცემი. ერთი სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში დაფიქსირებული კლიენტის ან/და მესამე პირ(ებ)ის საკონტაქტო მონაცემები (მიუხედავად იმისა მოქმედია თუ არა აღნიშნული ხელშეკრულება), ბანკის მიერ შესაძლებელია გამოყენებული იქნას, ამავე ან/და ბანკის სხვა კლიენტის ბანკთან არსებული სხვა სახელშეკრულებო ურთიერთობის ფარგლებში კომუნიკაციის მიზნით და პირიქით.

13.9. კლიენტის თავად არის პასუხისმგებელი იმ შედეგებზე, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საკონტაქტო მონაცემების გამოყენებისას კონფიდენციალურობის დარღვევის შედეგად. თუ კლიენტს არ სურს ბანკმა ისარგებლოს რომელიმე საკონტაქტო მონაცემით, კლიენტმა აღნიშნული მოთხოვნით ბანკს უნდა მიმართოს წერილობით.

13.10. ***<u>ვერიფიცირებული ნომერი</u>***

13.10.1. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან კომუნიკაციისა და მისთვის საბანკო მომსახურების გაწევის, მათ შორის საბანკო მომსახურების/საბანკო პროდუქტით მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტების (მათ შორის გარიგების) კლიენტის მიერ დადასტურების/ნების გამოხატვის მიზნით გამოიყენოს კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.

13.10.2. კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიკაციას გადის ბანკში დადგენილი წესების/პროცედურების შესაბამისად.

13.10.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის ბანკისთვის მიწოდების შედეგად აღნიშნული მობილური ტელეფონის ნომერი მიიჩნიოს კლიენტის ვერიფიცირებულ ნომრად.

13.10.4. ბანკში დადგენილი პროცედურის შესაბამისად ნომრის ვერიფიკაციით კლიენტი ადასტურებს, რომ მობილური ტელეფონის ნომერი იმყოფება მის მართლზომიერ მფლობელობაში და ნომერზე მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების და ამ გზით საბანკო სერვისებით სარგებლობის შემთხვევაში, ბანკი სრულად თავისუფლდება ყოველგვარი ზიანის/ზარალის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

13.10.5. ნომრის ვერიფიკაციის შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია შეცვალოს საბანკო მომსახურების ფარგლებში მანამდე გამოყენებული კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და ბანკის მიერ კლიენტისთვის მომსახურების გაწევისას გამოიყენოს კლიენტის ვერიფიცირებული ნომერი.

13.10.6. იმ შემთხვევაში, თუ ნომრის ვერიფიკაცია ხორციელდება ბანკისთვის დისტანციური მომსახურების არხ(ებ)ით მომართვის გზით, შესაბამის პროცესში მითითებული მობილური ტელეფონის ნომერი ვერიფიცირებულად ჩაითვლება მხოლოდ კლიენტის მიერ შესაბამისი პროცესის სრულად, წარმატებით გავლის შემთხვევაში.

13.10.7. ვერიფიცირებული ნომრის სხვა პირის მიერ ვერიფიკაციის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერს გაუუქმოს ვერიფიცირებულის სტატუსი.

13.10.8. ვერიფიცირებულ ნომერზე გაგზავნილი/ვერიფიცირებული ნომრიდან მიღებული შეტყობინება ან/და ვერიფიცირებული ნომრიდან გაცხადებული ნებისმიერი თანხმობა (მათ შორის ვერიფიცირებულ ნომერზე

მიღებული თანხმობის კოდის ბანკისთვის გაცხადების გზით) ჩაითვლება კლიენტის მიერ ნამდვილ შეტყობინებად/შეთავაზებად/თანხმობად.

13.10.9. ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ის მომსახურება(ები), რომლ(ებ)ით სარგებლობისთვისაც აუცილებელია ვერიფიცირებული ნომრის არსებობა და უარი განუცხადოს კლიენტს ამგვარი მომსახურების გაწევაზე, იმ შემთხვევაში თუ ის (კლიენტი) არ განახორციელებს ნომრის ვერიფიკაციას ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია კლიენტს შეუზღუდოს ის საბანკო მომსახურებები, რომელთა გამოყენებაც ეფუძნება ვერიფიცირებულ ნომერს იმ შემთხვევაში, თუ რაიმე მიზეზით გაუქმდება კლიენტის ვერიფიცირებული ნომრის სტატუსი.

13.10.10. კლიენტი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს ვერიფიცირებული ნომრის დაკარგვის, მფლობელობის გაუქმების, გასხვისების, მესამე პირ(ებ)ის მიერ წვდომის მოპოვების, ან/და აღნიშნულ ნომერთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა ცვლილების შესახებ, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ბანკის მხრიდან მომსახურების უსაფრთხო მიწოდებაზე და მონაცემების დამუშავებაზე (მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის).

13.10.11. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ვერიფიცირებული ნომრის შეცვლის, გასხვისების, დაკარგვის, მესამე პირებზე გადაცემის ან/და ნებისმიერი მსგავსი ვითარების შედეგად გამოწვეულ შედეგებზე.

14. კონფიდენციალურობა და პერსონალური მონაცემების დამუშავება

14.1. მხარეები ვალდებულნი არიან, როგორც ხელშეკრულების მოქმედების ვადაში, ასევე სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდეგაც, არ გაამჟღავნონ ან/და მესამე პირ(ებ)ს არ გადასცენ კონფიდენციალური ინფორმაცია.

14.2. ზემოაღნიშნული შეზღუდვა არ შეეხება ინფორმაციას ან ინფორმაციის გამჟღავნებას: (ა) რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე არის/გახდება საჯარო ან რომლის მოპოვება შესაძლებელია სხვა წყაროებიდან; (ბ) რომლის გამჟღავნების თაობაზეც არსებობს კონფიდენციალური ინფორმაციის გამცემი პირის თანხმობა ან/და მხარეთა შეთანხმება; (გ) რომლის გამჟღავნებაც განხორციელდება, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის რომელიმე მხარის მიერ სასამართლო წესით მისი უფლებების რეალიზაციისათვის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილების შედეგად;

14.3. წინამდებარე მუხლში გამოყენებული ტერმინები, მათ შორის, “პერსონალური მონაცემები”, “მონაცემთა დამუშავება”, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, “მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი”, “თანადამმუშავებელი”, “პირდაპირი მარკეტინგი” და სხვა ტერმინები განიმარტება “პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

14.4. ბანკის მიერ პერსონალურ მონაცემების დამუშავება ხორციელდება წინამდებარე პირობების, ბანკის კონფიდენციალურობის პოლიტიკისა (ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე: https://silkbank.ge/privacy-policy/) და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

14.5. კლიენტისათვის ცნობილია, რომ ბანკის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, ბანკი, როგორც მონაცემთა დამუშავებისათვის პასუხისმგებელი პირი ან, მონაცემთა დამუშავების კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირი ან/და თანადამმუშავებელი, უფლებამოსილია, წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნებით, განახორციელოს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის კლიენტის პერსონალური მონაცემების, დამუშავება.

14.6. მონაცემების ტიპები, დამუშავების მიზნები, საფუძვლები, მონაცემთა უსაფრთხოების სტანდარტები, მონაცემთა მოპოვების წყაროები, მონაცემთა სუბიექტის უფლებები, მესამე პირებისათვის მონაცემთა გაზიარების წესები და პირობები, მონაცემთა შენახვის ვადები და პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სხვა რელევანტური საკითხები, წინამდებარე ხელშეკრულებასთან ერთად, წესრიგდება ბანკის პოლიტიკით, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ბანკის ვებგვერდზე: კონფიდენციალურობის პოლიტიკა

14.6.1. მონაცემთა დამუშავების კონტექსტის გათვალისწინებით, ბანკის ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ბანკის უფლებამოსილი პირების) მიერ ხორციელდება კლიენტის შესახებ ბანკში ნებისმიერი ფორმით არსებული პერსონალური მონაცემების ან/და საბანკო საიდუმლოების შემცველი ინფორმაციის დამუშავება წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მიზნებისათვის. აღნიშნული შესაძლოა მოიცავდეს მაგრამ არ შემოიფარგლებოდეს შემდეგი ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავებით:

(ა) კლიენტის მაიდენტიფიცირებელი და საკონტაქტო მონაცემები;
(ბ) საბანკო ანგარიშებისა და ფინანსური ოპერაციების შესახებ ინფორმაცია;
(გ) წინამდებარე ხელშეკრულების და ბანკს და კლიენტს შორის გაფორმებული ნებისმიერი სხვა ხელშეკრულების ან/და წინარე ხელშეკრულების პირობები და მასში დაფიქსირებული მონაცემები;
(დ) ბანკის მიერ კლიენტისთვის ნებისმიერი მომსახურების გაწევის პროცესში დამუშავებული/შეგროვებული მონაცემები;
(ე) ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც ბანკმა მიიღო კლიენტისგან; ან/და მოიპოვა საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან; ან/და მოიპოვა მესამე პირებისგან კლიენტისთვის მომსახურების გაწევის პროცესში; ან/და შექმნა კლიენტის შესახებ მონაცემების ანალიზის შედეგად;
(ვ) ინფორმაცია შემოსავლების შესახებ, საკრედიტო ისტორია (როგორც ნეგატიური ასევე პოზიტიური, მათ შორის მიმდინარე ან/და წარსულში არსებული დავალიანების, სესხებისა და მათი დაფარვის დეტალების შესახებ) და გადახდისუნარიანობის სტატუსი (კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების ქულა, მისი კრიტერიუმები ან/და მეთოდოლოგია);
(ზ) ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც "პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად განიმარტება როგორც პერსონალური მონაცემი.

14.6.2. ბანკის მიერ დისტანციურ ან/და ელექტრონულ არხებში (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, ციფრული ბანკი, ბანკის მობილური აპლიკაციები, სწრაფი გადახდის აპარატები, ბანკომატები ან/და მონაცემთა გადაცემისა და მიღების სხვა ტექნიკური საშუალებები და არხები) კლიენტის შესახებ მონაცემების დამუშავება, ასევე მოიცავს კლიენტის აქტივობის ჩაწერას (მაგ. ელექტრონულ არხით სარგებლობისას კლიენტის ადგილსამყოფელის იდენტიფიცირება, ძიების ველში დაფიქსირებული მონაცემების აღწერა და ანალიზი, პროდუქციის არჩევანის სიხშირის ან/და სხვა ნებისმიერი სტატისტიკური მონაცემის ჩაწერა და მისი ანალიზი) ან/და კლიენტის მიერ დაფიქსირებული სხვა მონაცემების (მაგ. კლიენტის ან/და მესამე პირთა საკონტაქტო მონაცემები) გამოყენებას.

14.6.3. ბანკი უფლებამოსილია საბანკო მომსახურების გაწევისა და სერვისების ოპტიმიზაციის მიზნით, სწრაფი გადახდის ტერმინალის (Pay აპარატის) ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის საშუალებით, კლიენტის პირადი ნომრით ან/და ბანკის მიერ დადგენილი სხვა მეთოდით იდენტიფიკაციის შემთხვევაში, კლიენტისათვის ხელმისაწვდომი გახადოს შეზღუდული ინფორმაცია მის (კლიენტის) საბანკო პროდუქტებზე, სესხ(ებ)ის მიმდინარე (ყოველთვიურ) დავალიანებაზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში), მთლიანი სასესხო დავალიანების ჩვენების გარეშე, ასევე ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია, ანგარიშ(ებ)ის/პლასტიკური ბარათების მონაცემების არასრული ინფორმაციის ჩვენებით;

14.6.4. ბანკი პასუხს არ აგებს მესამე პირ(ებ)ის მიერ სწრაფი გადახდის ტერმინალის სწრაფი გადახდის ტერმინალის/ბანკომატ(ებ)ის ან/და დისტანციური მომსახურების სხვა არხ(ებ)ის მეშვეობით, კლიენტის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელი ინფორმაციის სწრაფი გადახდის ტერმინალში/ბანკომატში შეყვანით, კლიენტის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაზე.

14.6.5. ბანკი უფლებამოსილია კლიენტთან დაკავშირებით მიიღოს კლიენტისთვის სამართლებრივი ან სხვა სახის არსებითი მნიშვნელობის შედეგის მქონე გადაწყვეტილება, მხოლოდ ავტომატიზებულად, მათ შორის პროფაილინგის საფუძველზე, კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, მათ შორის, თუ ეს აუცილებელია კლიენტსა და ბანკს შორის ხელშეკრულების დასადებად ან ხელშეკრულების შესასრულებლად, გათვალისწინებულია კანონით ან კანონის საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში გამოცემული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით.

14.7. ***მონაცემების დამუშავების საფუძვლები.*** კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკის მომსახურებით სარგებლობის პერიოდში, ასევე შესაბამისი სახელშეკრულებო ურთიერთობის დასრულების შემდგომაც, ბანკის მიერ კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირ(ებ)ის შესახებ ინფორმაციის (მათ შორის პერსონალური მონაცემების) დამუშავება ხორციელდება ერთ-ერთი შემდეგი საფუძვლით:

14.7.1. კლიენტის თანხმობით მის შესახებ მონაცემთა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით დამუშავებასთან დაკავშირებით;

14.7.2. კლიენტთან დადებული გარიგებით ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად ან მისი მოთხოვნით გარიგების დასადებად;

14.7.3. კლიენტის განცხადების განსახილველად ან/და მისთვის მომსახურების გასაწევად;

14.7.4. ბანკის ან/და მესამე პირ(ებ)ის კანონიერი ინტერესების დასაცავად;

14.7.5. ბანკის მიერ კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

14.7.6. საჯარო ინტერესის სფეროში შემავალი ამოცანების შესასრულებლად, მათ შორის, დანაშაულის თავიდან აცილების, საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის;

14.7.7. კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.

14.8. თუ მონაცემთა დამუშავებისთვის, კანონმდებლობა ითხოვს კლიენტის თანხმობის არსებობას, აღნიშნულ თანხმობად ჩაითვლება აქტიური მოქმედებით ნებისმიერი ელექტრონული ან/და არაელექტრონული ფორმით გამოხატული ნება/გაკეთებული განაცხადი, რომლითაც კლიენტი ეთანხმება შესაბამის პირობებს და რომელიც ამ განაცხადთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას. სხვადასხვა დისტანციური მომსახურების არხების / ციფრული/ ელექტრონული საკომუნიკაციო არხების საშუალებებით (ბანკომატი, სწრაფი გადახდის ტერმინალი, ციფრული ბანკი, ბანკის დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი), კლიენტის მობილური ტელეფონის ნომერზე გაგზავნილი ერთჯერადი SMS კოდით და სხვ.) კლიენტის მიერ გაცხადებულ თანხმობას მისი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით (მათ შორის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს, შინაგან საქმეთა სამინისტროს, სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს, სსიპ შემოსავლების სამსახურის, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს და სხვა შესაბამის ბაზებში დაცული კლიენტის პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ მიღებასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული თანხმობა, თანხმობა პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემების დამუშავებაზე და სხვ.) გააჩნია წერილობითი ფორმით შესრულებული, ქაღალდზე დაბეჭდილი, კლიენტის მიერ ხელმოწერით დადასტურებული საბუთის ტოლფასი იურიდიული ძალა. ამასთან, კლიენტისთვის ცნობილია, რომ მონაცემთა დამუშავებაზე შესაბამისი თანხმობის გამოხმობის შემთხვევაში, აღნიშნული არ მოახდენს გავლენას მონაცემთა დამუშავების კანონიერებაზე და არ გამოიწვევს თანხმობის გამოხმობამდე და თანხმობის ფარგლებში წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების გაუქმებას.

14.9. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი ბანკს აწვდის მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები პირი, ოჯახის წევრები, დამსაქმებელი, საკონტაქტო პირი და სხვა) შესახებ ინფორმაციას, მათ შორის და არამარტო მათ პერსონალური მონაცემებს, ინფორმაციას გადახდისუნარიანობის, ქონებრივი მდგომარეობის შესახებ და სხვა (შემდგომში ერთობლივად - პერსონალური მონაცემები), კლიენტი თავად არის ვალდებული ამ მონაცემების ბანკისთვის გადაცემამდე მოპოვებული ჰქონდეს ზემოაღნიშნულ პირთა თანხმობა მათი პერსონალური მონაცემების ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით და ბანკის მონაცემთა დაცვის პოლიტიკით განსაზღვრული მიზნებით და პირობებით დამუშავებაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკისთვის ამგვარი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი გულისხმობს კლიენტის მხრიდან ამ პირ(ებ)ისგან თანხმობის წინასწარ მოპოვებას, მათთვის წინამდებარე პირობების, ასევე ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge განთავსებული კონფიდენციალურობის/მონაცემთა დაცვის პოლიტიკ(ებ)ის გაცნობის და დათანხმების უზრუნველყოფას და აღარ საჭიროებს ბანკის მიერ დამატებითი დასტურის მიღებას. კლიენტი თავად არის პასუხისმგებელი ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს ბანკს კლიენტის მიერ აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში და ის (კლიენტი) თანახმაა აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისგან (რაც ყოველგვარი

შეზღუდვის გარეშე მოიცავს შედეგობრივ ზარალს), საჩივრისგან, ხარჯისგან (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე მოიცავს იმ ხარჯებს, რომლებსაც ბანკი გაიღებს საკუთარი უფლებების განსახორციელებლად), იურიდიული პროცესისგან და ნებისმიერი სხვა ვალდებულებისგან, რომელიც ამგვარი დარღვევის შედეგად შეიძლება წარმოიშვას.

14.10. ***<u>მონაცემების დამუშავების მიზნები.</u>*** მონაცემთა დამუშავების კონტექსტის გათვალისწინებით, ბანკის ან/და წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილი მესამე პირ(ებ)ის მიერ კლიენტის ან მის მიერ მითითებული მესამე პირ(ებ)ის პერსონალური მონაცემების დამუშავება შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა მიზნით, მათ შორის, შეზღუდვის გარეშე:

14.10.1. საბანკო მომსახურების სრულად და ჯეროვნად განხორციელებისთვის;

14.10.2. პროდუქტების და სერვისის მისაწოდებლად, მათ შორის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი, დისტანციური მომსახურების სერვისი (ცხელი ხაზი) და ა.შ.) კლიენტისათვის შესაბამისი მომსახურების გაწევისთვის/შეთავაზებების უზრუნველსაყოფად;

14.10.3. კლიენტის სათანადო წესით იდენტიფიკაცია/ვერიფიკაციისთვის და მის შესახებ მონაცემთა პერიოდული განახლების უზრუნველსაყოფად;

14.10.4. კლიენტის გადახდისუნარიანობის შემოწმებისთვის, მათ შორის საკრედიტო რისკების შეფასების მიზნით;

14.10.5. კლიენტთან კომუნიკაციის ეფექტურად წარმართვისათვის, მათ შორის, მისი განაცხადების, მომართვების თუ პრეტენზიების სათანადო და დროული მოკვლევისა და რეაგირების უზრუნველსაყოფად;

14.10.6. კლიენტის საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს ან სხვა მსგავსი საკრედიტო-სარეიტინგო კომპანიის მონაცემთა ბაზაში აღრიცხვის ან/და საკრედიტო სარეიტინგო ქულის გამოთვლის მიზნით, რომელიც დაკავშირებულია გადაუხდელი სესხებისა და სხვა შეუსრულებელი/ვადაგადაცილებული ფულადი ვალდებულებების სტატუსთან და ასევე ინფორმაციის შეგროვებასთან, დამუშავებასა და გავრცელებასთან ფიზიკური და იურიდიული პირების მიმდინარე და გადახდილი კრედიტების/ვალდებულებების შესახებ;

14.10.7. ბანკის ან/და მესამე პირის კანონიერი ინტერესის დაცვის მიზნით, შესაბამისი სახელშეკრულებო პირობებით განსაზღვრულ ან/და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, ინფორმაციის, მათ შორის კლიენტის პერსონალური, ასევე საბანკო საიდუმლოებას მიკუთვნებული მონაცემების, პოტენციური ცესიონერის ან ცედენტის, ასევე მარეგულირებლის, მაკონტროლებლის ან სხვა ზედამხედველი ორგანოსათვის ხელმისაწვდომობისთვის;

14.10.8. იურიდიული ძალის მქონე მტკიცებულების შექმნისათვის;

14.10.9. ბანკის კანონიერი ინტერესის დაცვისა და სამართლებრივი უფლებების რეალიზაციის მიზნით, მათ შორის კლიენტის მიერ ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში;

14.10.10. ბანკის მომსახურების გასაუმჯობესებლად და განვითარებისთვის, რა დროსაც ბანკი ახორციელებს კლიენტის შესახებ არსებული ინფორმაციის, მათ შორის საკრედიტო ისტორიის ანალიზს, სტატისტიკური მონაცემების ანალიზს და სხვა;

14.10.11. სხვადასხვა ანგარიშების, კვლევების ან/და პრეზენტაციების მოსამზადებლად და სადემონსტრაციოდ;

14.10.12. ფულის გათეთრების საწინააღმდეგო და დანაშაულის აღმკვეთი ღონისძიებების უზრუნველყოფასა და ხელშეწყობისათვის, თაღლითობის ან/და შესაძლო თაღლითობის, ფულის გათეთრების და სხვა დანაშაულის პრევენციისათვის, გამოვლენისთვის, მოკვლევისთვის, ასევე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების ხელშესაწყობად;

14.10.13. არსებული კრედიტის ფარგლებში, კრედიტის თანხის ოდენობის გაზრდის, ან/და კრედიტის სხვა პირობების (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, მისი ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთის) ცვლილების შეთავაზებისთვის, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წამოადგენს;

14.10.14. ახალი ან/და დამატებითი საკრედიტო ან არასაკრედიტო პროდუქტების შეთავაზების მიზნით, რის აუცილებელ წინაპირობასაც შეთავაზების მომენტისთვის კლიენტის საკრედიტო ისტორიის/გადახდისუნარიანობის/შემოსავლების გადამოწმება წარმოადგენს;

14.10.15. პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის;

14.10.16. კლიენტის და ბანკის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

14.10.17. სხვა ნებისმიერ ისეთ შემთხვევაში, თუ მონაცემთა შემდგომი დამუშავების მიზანი თავსებადია თავდაპირველ მიზანთან;

14.10.18. სხვა კანონიერი მიზნებისთვის ან/და კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულების უზრუნველსაყოფად.

14.11. ***<u>პერსონალური მონაცემების გადაცემა ან/და გამოთხოვა მესამე პირ(ებ)ისგან.</u>***

14.11.1. ბანკი მკაცრად იცავს კლიენტის და მის მიერ დასახელებული მესამე პირების (დამატებითი ბარათის მფლობელი, თავდები, საკონტაქტო პირი და სხვა) შესახებ ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, კონფიდენციალურობას, ამასთან, კლიენტი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ იმისათვის, რომ ბანკმა შეასრულოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობები, დაიცვას საკუთარი ლეგიტიმური ინტერესები, ასევე სრულად და ჯეროვნად განახორციელოს კლიენტის მომსახურება, მონაცემთა დამუშავების კონტექსტისა და მიზნებიდან გამომდინარე, ბანკი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებში ჩამოთვლილ მესამე პირებს გადასცეს ან/და თავად ასეთი პირ(ებ)ისაგან კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების შესახებ გამოითხოვოს ინფორმაცია იმ მოცულობით რაც საჭიროა წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის, მათ შორის და არამხოლოდ:

14.11.1.1. ბანკის მიერ კლიენტისათვის საბანკო მომსახურების გაწევის, ასევე საბანკო მომსახურებით სარგებლობის პერიოდში მოთხოვნილი სხვადასხვა სერვისის ფარგლებში, ბანკმა კანონმდებლობით დადგენილი წესით, მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშავოს სსიპ - სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან, ბანკისთვის აუცილებელი, კლიენტის პერსონალური მონაცემები, მათ შორის, საჭიროებისამებრ, კლიენტის პირადობის (ბინადრობის) მოწმობის უკონტაქტო ჩიპის იდენტიფიკატორის (UiID) შესახებ მონაცემები და კლიენტის ხელმოწერის ნიმუში.

14.11.1.2. ბანკი, კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის, უფლებამოსილია სს საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფო საქართველოს (ს/ნ 204470740) მეშვეობით მრავალჯერადად მიიღოს და დაამუშაოს კლიენტის შესახებ მონაცემები, მათ შორის ბანკის მიმართ აქტიური საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულებების მოქმედების პერიოდში.

14.11.1.3. ბანკმა სსიპ შემოსავლების სამსახურს (შემდგომში - შემოსავლების სამსახური) მიაწოდოს კლიენტის საიდენტიფიკაციო (პირადი ნომერი) და საკონტაქტო (ტელეფონის ნომერი) მონაცემები და შემოსავლების სამსახურსა და ბანკს შორის გაფორმებული მემორანდუმით გათვალისწინებულ ფარგლებში შემოსავლების სამსახურიდან გამოითხოვოს და დაამუშავოს შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ბაზაში კლიენტის შესახებ დაცული ნებისმიერი ინფორმაცია, სესხის გაცემამდე ან/და სესხის მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების, საკრედიტო პორტფელის შეფასებისა და ანალიზის, პრობლემური საკრედიტო პორტფელის მართვის და საბანკო პროდუქტის/მომსახურების შეთავაზების მიზნებისათვის.

14.11.2. კლიენტისათვის ცნობილია, რომ კლიენტის გადახდისუნარიანობის შეფასების გარეშე, ბანკი მოკლებული იქნება შესაძლებლობას სრულფასოვნად განახორციელოს კლიენტის შემოსავლების, ხარჯებისა და ვალდებულებების ანალიზი, რაც აუცილებელია არსებული ვალდებულების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონიტორინგის ან/და ახალი საკრედიტო/სასესხო, გარესაბალანსო (აკრედიტივი, გარანტია და სხვა) ვალდებულების გადახდისუნარიანობის შეფასების მიზნებისათვის, მათ შორის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით პასუხისმგებლიანი დაკრედიტების უზრუნველსაყოფად.

14.11.3. კლიენტისთვის ცნობილია, რომ კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს მის შესახებ ყველა იმ საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტურ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია საკრედიტო საინფორმაციო ბიუროსათვის ინფორმაციის მიწოდებასთან და ინფორმაციის მიღებასთან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება კლიენტის გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები). მომხმარებლის (მათ შორის, მონაცემთა სუბიექტი) მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ.

14.11.4. გარდა ზემოაღნიშნულისა, კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს ბანკის უფლებამოსილებას, კლიენტის დამატებითი წინასწარი ან შემდგომი თანხმობის გარეშე, წინამდებარე პირობებით ან/და კანონმდებლობით განსაზღვრული მიზნებისათვის, მონაცემთა დამუშავების კონტექსტიდან გამომდინარე, ქვემოთ ჩამოთვლილი კატეგორიის პირ(ებ)ისგან მოიპოვოს ან/და მათ გადასცეს კლიენტის ან/და მის მიერ დასახელებული მესამე პირების პერსონალური და საბანკო ინფორმაცია (მათ შორის და არამარტო ანგარიშებზე ნაშთები ან/და დავალიანება, ტრანზაქციების შესახებ ინფორმაცია და სხვა):

(ა) ბანკის პარტნიორი, მათ შორის სხვადასხვა მომსახურების მიმწოდებელი საერთაშორისო ან/და ადგილობრივი კომპანიები, რომელთან ერთადაც ბანკი კომერციული კუთხით თანამშრომლობს და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(ბ) ბანკის კონტრაქტორები ან/და კორპორატიული კლიენტები, რომლებიც იყენებენ ბანკის საგადახდო მომსახურებას საკუთარი კლიენტების (აბონენტების) გადასახდელების მისაღებად (ე.წ. ბილინგი);

(გ) საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)ი და სხვა მესამე პირები, რომლებიც ბანკის მიერ კლიენტისათვის დისტანციური საბანკო/საგადახდო მომსახურების არხების/საგადახდო ინსტრუმენტების საშუალებებით (სწრაფი გადახდის ტერმინალი, ბანკომატი და ა.შ.) საბანკო/საგადახდო მომსახურების მიწოდებისთვის/გაწევისთვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ახორციელებენ პირის იდენტიფიკაციას/ვერიფიკაციას და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(დ) საჯარო დაწესებულებები, როგორიცაა საზედამხედველო, დამოუკიდებელი, სასამართლო, საგამოძიებო და სხვა დაწესებულებები, სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და მათ მიერ შექმნილი იურიდიული პირები;

(ე) ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ორგანიზაციები/სამსახურები (როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ);

(ვ) საკრედიტო საინფორმაციო სააგენტოები/ბიუროები, რომლებიც ახორციელებენ საკრედიტო ინფორმაციის შეგროვებას და იდენტიფიცირებისათვის, ასევე საკრედიტო მონაცემთა შემოწმებისთვის აუცილებელი ინფორმაციის გაზიარებას;

(ზ) პრობლემური აქტივების მართვის კომპანიები ან/და კოლექტორული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ პრობლემური მოთხოვნებიდან გამომდინარე გადახდების შესრულებას ან/და აღნიშნული პრობლემური მოთხოვნების შეძენას (ცესია);

(თ) საერთაშორისო და ადგილობრივი საგადახდო მომსახურების ოპერატორები, მათ შორის საერთაშორისო და ადგილობრივი ფულადი გზავნილების ოპერატორები;

(ი) ბანკისათვის მომსახურების გამწევი პროფესიონალი კომპანიები, მათ შორის გარე ფინანსური და იურიდიული მრჩევლები, აუდიტორული, კვლევითი, სარეკლამო კომპანიები, საკონსულტაციო, კვლევითი, მარკეტინგული და სხვა შესაბამისი მომსახურების მიღების მიზნით და რომლებიც, თავის მხრივ, კისრულობენ ვალდებულებას, მიიღონ შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები ბანკის მიერ მიწოდებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

(კ) სადაზღვევო კომპანიები კლიენტისათვის შესაბამისი სადაზღვევო მომსახურების უზრუნველსაყოფად;

(ლ) საკურიერო კომპანიები კლიენტისათვის კორესპონდენციის ჩაბარების უზრუნველსაყოფად;

(მ) დაკავშირებული მესამე პირები, ბანკის შვილობილი კომპანიები, აფილირებული პირები და სხვა პარტნიორები;

(ნ) ის მესამე პირები, რომლებსაც შესაძლებელია ბანკმა მიყიდოს, გადასცეს ან გააერთიანოს ბიზნესის ან აქტივების ნაწილი;

(ო) საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტები, დაფინანსების მოსაპოვებლად;

(პ) სხვა ნებისმიერი პირები, რომელთათვისაც მონაცემთა გაზიარება ან/და მათგან გამოთხოვა ემსახურება ანგარიშგებასთან, კანონმდებლობის ან/და შესაბამის პირთან გაფორმებული ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან, ასევე აუდიტის/მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული ბანკის მოვალეობების შესრულებას და ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დაცვას;

14.11.5. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ წინამდებარე პირობებში მოცემული მესამე პირების ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და დროდადრო მესამე პირების კატეგორიები შესაძლოა შეიცვალოს.

14.12. ***<u>მონაცემების საერთაშორისო გადაცემა</u>***

14.12.1. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში, მათ შორის, თაღლითობისა და ფულის გათეთრების პრევენციის მიზნებისათვის, ასევე, კლიენტისათვის საბანკო მომსახურების გაწევის/ხელშეკრულების შესრულების, ან/და ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დაცვის მიზნით ბანკი უფლებამოსილია კლიენტის წინასწარი ან/და დამატებითი თანხმობის გარეშე, გადასცეს კლიენტის პერსონალური მონაცემები საქართველოს ფარგლებს გარეთ, უცხო ქვეყანაში რეგისტრირებულ ორგანიზაციას/მესამე პირ(ებ)ს.

14.12.2. კონკრეტული საჭიროებიდან გამომდინარე, კლიენტის პერსონალური მონაცემები შესაძლოა გადაეცეს ისეთ ქვეყანაში დაფუძნებულ/მოქმედ პირს რომელიც არ წარმოადგენს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის/მისი უფლებამონაცვლის შესაბამისი ნორმატიული აქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყანას.

14.12.3. კლიენტისთვის ცნობილია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების არმქონე ქვეყნებში მონაცემების გაზიარების შესაძლო საფრთხეები უკავშირდება მაგრამ შესაძლოა არ შემოიფარგლებოდეს ადგილობრივი საზედამხედველო ორგანოს და ინდივიდუალურ მონაცემთა დაცვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების არარსებობით (ან მხოლოდ შეზღუდული არსებობით). ზოგიერთ ასეთ ქვეყანაში კონფიდენციალურობისა და მონაცემთა დაცვის კანონები და წესები მონაცემებზე წვდომასთან დაკავშირებით, შესაძლოა განსხვავდებოდეს საქართველოს კანონმდებლობისგან; ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ბანკი უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა გადაცემის შესახებ შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებას, რომლითაც კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად, განისაზღვრება მიმღები მხარის ვალდებულებები კლიენტის პერსონალურ მონაცემების დაცვის უზრუნველსაყოფად.

14.13. ***<u>პირდაპირი მარკეტინგი</u>***

14.13.1. კლიენტისთვის ცნობილია, რომბანკი, მონაცემთა სუბიექტის თანხმობის საფუძველზე, დამოუკიდებლად, ასევე დამუშავებაზე უფლებამოსილი ან/და დაკავშირებული პირ(ებ)ის მეშვეობით, კანონმდებლობისა და ბანკის მონაცემთა დაცვის პოლიტიკის შესაბამისად, ამუშავებს კლიენტის საიდენტიფიკაციო, საკონტაქტო, ფინანსური და სხვა პერსონალურ მონაცემები იმ მიზნით, რომ ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული

ფოსტის ან/და, შეზღუდვის გარეშე, სხვა ხელმისაწვდომი სატელეკომუნიკაციო/ელექტრონული საშუალებ(ებ)ით ახორციელებს კლიენტისათვის საბანკო, მათ შორის საკრედიტო პროდუქტების, მომსახურების, აქციების და სხვ. პირდაპირი და უშუალო შეთავაზება/ინფორმაციის მიწოდებას (პირდაპირი მარკეტინგი).

14.13.2. კლიენტს უფლება აქვს ნებისმიერ დროს მოითხოვოს ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით ან/და სხვა ელექტრონული საშუალებით პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემთა დამუშავების შეწყვეტა შესაბამის ელექტრონულ საშუალებაში გათვალისწინებული უარის თქმის მექანიზმის გამოყენებით, იმავე ფორმის/არხის მეშვეობით, რომლითაც ხორციელდება პირდაპირი მარკეტინგი, ასევე ბანკის სერვისცენტრისადმი მიმართვის, ბანკის ცხელ ხაზზე დაკავშირების გზით ან/და მხარეთა შორის შეთანხმებული ან/და კანონდებლობით დადგენილი სხვა ფორმით. ამასთან, კლიენტისთვის ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნით მონაცემების დამუშავებაზე თანხმობის არარსებობის შემთხვევაში ბანკი მოკლებული იქნება შესაძლებლობას განახორციელოს კლიენტზე მორგებული მომსახურების/პროდუქტების შეთავაზება ზემოაღნიშნული პირობებით.

14.13.3. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, პირდაპირ მარკეტინგად არ მიიჩნევა და კლიენტი არ იქნება უფლებამოსილი ბანკს მოსთხოვოს პროდუქტის, მომსახურების შესახებ და სხვ. ისეთი ინფორმაციის მიწოდების შეწყვეტა (მაგ. სარეკლამო ბანერი, ფლაერი, ზეპირი შეთავაზება და სხვა), რომელიც ხორციელდება უშუალოდ ბანკის ან/და მისი წარმომადგენლის მიერ საბანკო საქმიანობის განხორციელების წერტილებში ან ბანკის კუთვნილ (ბანკთან ასოცირებულ) დისტანციურ არხებში (მათ შორის ბანკომატი, ციფრული ბანკი და სხვა).

14.13.4. კლიენტისთვის ცნობილია, რომ პირდაპირი მარკეტინგის მიზნებისათვის მონაცემთა დამუშავების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძველზე შეწყდება მხოლოდ სარეკლამო ხასიათის ელექტრონული კომუნიკაციები. კლიენტთან დაკავშირება მის შესახებ ბანკში დაცული საკონტაქტო მონაცემების გამოყენებით გაგრძელდება ბანკსა და კლიენტს შორის ურთიერთობის ფარგლებში წარმოშობილ საკითხებთან/ვალდებულებებთან დაკავშირებით, მათ შორის, კანონმდებლობის მოთხოვნათა გათვალისწინებით, კრედიტის ვადაგადაცილებისა და სხვა ნებისმიერი ტიპის დავალიანების თაობაზე კლიენტის ინფორმირების მიზნით, მომსახურების/პროდუქტის პირობების ცვლილების, დეპოზიტების დაზღვევის შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ასევე კლიენტის განცხადებებსა თუ მოთხოვნებზე რეაგირების უზრუნველსაყოფად და სხვა შესაბამისი ინფორმაციის მისაწოდებლად.

14.14. ***<u>მონაცემების განახლება, დამუშავების და შენახვის ვადა.</u>***

14.14.1. ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ასევე მისი შეწყვეტის შემდგომ, ბანკის მიერ წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული ინფორმაციის, მათ შორის პერსონალური მონაცემების, ამავე პირობებით განსაზღვრული მიზნებით დამუშავება ხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად, ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

14.14.2. ელექტრონული არხების საშუალებით (ვებ-ბრაუზერი, ბანკის ვებ-გვერდი, ციფრული ბანკი, ბანკის მობილური აპლიკაციები ან/და მონაცემთა გადაცემის სხვა ტექნიკური საშუალებები) მონაცემების დამუშავება არ შეწყდება კლიენტის მიერ ამ მონაცემების ელექტრონული არხებიდან წაშლის ან/და ბანკთან საქმიანი ურთიერთობის შეწყვეტისას და აღნიშნული მონაცემების შენახვა ასევე განხორციელდება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავების მიზნების მისაღწევად, ბანკის ლეგიტიმური ინტერესების დასაცავად ან/და იმ ვადით, რომელიც მოთხოვნილია რეგულატორის მიერ ან/და გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

14.14.3. კლიენტის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ფარგლებში, მიაწვდის კლიენტს მის პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით ბანკში არსებულ ინფორმაციას. აღნიშნული ინფორმაციის გაცემაზე ბანკი უფლებამოსილია დააწესოს მომსახურების საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ინფორმაციის უსასყიდლოდ მიწოდების ვალდებულება გათვალისწინებულია კანონმდებლობით.

14.14.4. თუ კლიენტი თვლის, რომ კლიენტის შესახებ ბანკში არსებული ინფორმაცია არ შეესაბამება სინამდვილეს ან არ არის სრული, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს ბანკს აღნიშნულის შესახებ. ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი კლიენტის მხრიდან ამგვარი შეუტყობინებლობით და მცდარი, არაზუსტი ან/და არასრული მონაცემების დამუშავებით გამოწვეულ ნებისმიერ შედეგებზე.

14.14.5. თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, კლიენტი არ არის უფლებამოსილი მოსთხოვოს ბანკს მის შესახებ ბანკში დაცული პერსონალური მონაცემების წაშლა.

14.15. პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პირობები დამატებით განისაზღვრება ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge განთავსებული კონფიდენციალურობის/მონაცემთა დაცვის პოლიტიკ(ებ)ით.

ნაწილი II

15. საბანკო ანგარიშით მომსახურება

15.1. ***<u>ანგარიშის გახსნა და ანგარიშით სარგებლობა</u>***

15.1.1. კლიენტს ბანკში ანგარიში გაეხსნება განაცხადის შევსების, მათ შორის ბანკის მიერ განსაზღვრული დისტანციური მომსახურების არხით მომართვის გზით, სათანადო დოკუმენტაციის წარმოდგენის, ანგარიშის გასახსნელად ბანკის მიერ დადგენილი პროცესის სრულად გავლისა და შესაბამისი საკომისიოს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გადახდის შედეგად.

15.1.2. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მიიღოს და იმოქმედოს მისი დავალებების შესაბამისად, რომელსაც კლიენტი ბანკს მიაწოდებს წერილობით, ელექტრონული საშუალებით ან ბანკისათვის მისაღები სხვა ფორმით. იმ შემთხვევაში, როდესაც კლიენტის დავალებები წერილობითი ფორმით არ არის განხორციელებული, კერძოდ, კლიენტის მიერ არ არის ხელმოწერილი, ბანკს აქვს უფლება მიიღოს და განახორციელოს ისინი, თუ დაცულია ბანკში დაწესებული უსაფრთხოების პროცედურა(ები);

15.1.3. ოპერაციის ვალუტაში კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი ნაშთის არსებობისას ან ნაშთის არარსებობისას, ანგარიშიდან ოპერაციის თანხა ჩამოიჭრება გახარჯვის შესაბამისი სქემის და ვალუტის პრიორიტეტულობის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში, თანხები შესაძლებელია დაკონვერტირდეს.

15.1.4. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკის მიერ საერთაშორისო გადარიცხვების შესრულებაზე ვრცელდება ბანკის მიერ გათვალისწინებული გადარიცხვის საკომისიო. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ საერთაშორისო გადარიცხვის შესრულების პროცესში მას შესაძლებელია დაეკისროს მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის მიერ დადგენილი დამატებითი საკომისიო ბანკი არ არის პასუხისმგებელი საკორესპოდენტო ან/და მიმღები ბანკის მიერ ჩამოჭრილი/გამოქვითული/დაკავებული/დაბლოკილი საკომისიოს, მიმღები ან/და საკორესპოდენტო ბანკის. მიერ დაწესებული დამატებითი საკომისიოს ან/და სხვა ნებისმიერი გადასახადის გამო, მათ შორის, საგადახდო დავალების ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზით წარუმატებლად შესრულების შემთხვევაში თანხის არასრულად დაბრუნების გამო.

15.1.5. კლიენტს მუდმივად უნდა ჰქონდეს თავისუფალი სახსრები (რაც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გულისხმობს დაშვებული ოვერდრაფტის თანხას) ანგარიშზე, სანამ:

15.1.5.1. კლიენტი სარგებლობს მუდმივი საგადახდო დავალებისა ან/და ავტომატური გადახდების მომსახურებით;

15.1.5.2. კლიენტი ახორციელებს ოპერაციას დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (მათ შორის ბარათის) საშუალებით;

15.1.5.3. დამდგარია ნებისმიერი სხვა ოპერაციის განხორციელების ვადა, რომლის თანხებიც ჯერ არ არის ანგარიშიდან ჩამოჭრილი;

15.1.6. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე როგორც მის დახურვამდე ასევე მისი დახურვის შემდეგ.

15.1.7. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი გადაწყვეტილებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისას არ დააკმაყოფილოს საბანკო ანგარიშების გახსნის და შესაბამისი საბანკო მომსახურეობის გაწევის შესახებ კლიენტის განაცხადი/მოთხოვნა ან/და არ მიიღოს ანგარიშზე შენატანი ან/და მოსთხოვოს კლიენტს ანგარიშის დახურვა.

15.1.8. ბანკი უფლებამოსილია დახუროს ანგარიში შემდეგ შემთხვევებში: (ა) ბანკში დადგენილი წესით კლიენტის განაცხადის წარმოდგენისას; (ბ) კლიენტის მემკვიდრის მიერ სამკვიდრო მოწმობის წარმოდგენისას; (გ) კლიენტის მხრიდან 1 (ერთი) წლის განმავლობაში ანგარიშის მომსახურების საკომისიოს გადაუხდელობის ან/და კლიენტის ანგარიშზე ნაშთის არ არსებობისას; (დ) არსებობს გონივრული ეჭვის საფუძველი, რომ კლიენტი ახორციელებს აკრძალულ, თაღლითურ ან/და კანონსაწიმააღმდეგო ოპერაციებს, მოქმედებებს; (ე) პირობებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, აღნიშნული ჩამონათვალი არ ზღუდავს ბანკს დაუხუროს კლიენტს ანგარიშ(ებ)ი სხვა ლეგიტიმური მიზნების/მიზეზების არსებობისას, მათ შორის თუ კლიენტის მიერ ბანკში ანგარიშების არსებობა ან/და მისთვის საბანკო მომსახურების გაწევა მომეტებული რისკის შემცველია ბანკისათვის.

15.1.9. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გააჩნია დავალიანება ანგარიშის მომსახურების საკომისიოს სახით, ბანკი კლიენტის განცხადების საფუძველზე ანგარიშს დახურავს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კლიენტი სრულად გადაიხდის აღნიშნულ დავალიანებას.

15.1.10. ბანკი უფლებამოსილია უარი განუცხადოს კლიენტს ანგარიშის დახურვაზე იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ბანკის მიმართ გააჩნია დავალიანება.

15.1.11. თუ კლიენტს ბანკის წინაშე ნებისმიერი ხელშეკრულებიდან გამომდინარე აქვს შეუსრულებელი/შესასრულებელი/მიმდინარე ვალდებულება ან/და კლიენტი სარგებლობს აქტიური პროდუქტით როგორიცაა მაგალითად, დეპოზიტი ან/და სადეპოზიტო სერტიკიტატი, ბანკი უფლებამოსილია, უარი უთხრას კლიენტს ანგარიშის დახურვაზე.

15.1.12. პირობების 15.1.8 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ბანკი უფლებამოსილია ანგარიში დახუროს კლიენტისათვის წინასწარი შეტყობინების გაგზავნის გარეშე.

15.1.13. თუ ბანკი თვლის, რომ კლიენტმა ანგარიში უნდა დახუროს, კლიენტს ბანკის მიერ განსაზღვრული კომუნიკაციის არხით გაეგზავნება წერილობითი თხოვნა, რომელშიც მითითებული იქნება პერიოდი, რომლის განმავლობაშიც კლიენტს მოეთხოვება ანგარიშის დახურვა. თუ აღნიშნული პერიოდის გასვლის შემდეგ კლიენტი არ დახურავს ანგარიშს, ბანკს უფლება აქვს აღარ მიიღოს გადახდები ანგარიშზე (ისეთი გადახდების გარდა, რომლებიც აუცილებელია ანგარიშზე რიცხული დავალიანების დასაფარად) და დაუბრუნოს კლიენტს ანგარიშზე რიცხული ნაშთი.

15.1.14. ბანკის სალაროში დასაშვებია მხოლოდ 5 თეთრის ჯერადი თანხის მიღება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლიენტი აცხადებს თანხმობას კლიენტის მიერ მოთხოვნილი ოპერაციის შესრულება განხორციელდება შემდეგი წესით:

15.1.14.1. თუ კლიენტის მიერ ინიცირებული გადახდის/გადარიცხვის ოპერაციის თანხა არ იქნება 5-ის ჯერადი, კლიენტი ვალდებულია ბანკის სალაროში შეიტანოს მეტობით, უახლოეს 5-ის ჯერადამდე დამრგვალებული თანხა. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ბანკისთვის მიწოდებულ თანხასა და ტრანზაქციის თანხის შორის არსებული სხვაობა ჩარიცხოს ბანკის შემოსავლებში.

15.1.14.2. თუ კლიენტი ბანკის საბანკო სერვისის მეშვეობით, ანგარიშის განმოყენების გარეშე ასრულებს თანხის გატანის ოპერაციას და კლიენტის მიერ მისაღები თანხა არ იქნება 5-ის ჯერადი, ბანკი უფლებამოსილია აღნიშნული თანხა, დაამრგვალოს ნაკლებობით უახლოეს 5-ის ჯერადამდე დაკლიენტის მიერ მისაღებ თანხასა და ბანკის სალაროდან გაცემულ თანხას შორის არსებული სხვაობა გადარიცხოს ბანკის შემოსავალში.

15.1.15. კლიენტს უფლება აქვს:

15.1.15.1. მისცეს ბანკს დავალება ანგარიშზე ოპერაციების საწარმოებლად კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში;

15.1.15.2. მულტისავალუტო ანგარიშის შემთხვევაში განაცხადით განსაზღვროს ანგარიშის ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი და გახარჯვის სქემა;

15.1.15.3. მულტისავალუტო ანგარიშის შემთხვევაში შეცვალოს ანგარიშის ძირითადი ვალუტა, ვალუტების პრიორიტეტი ან გახარჯვის სქემა, რისთვისაც ბანკს გადაუხდის შესაბამის საკომისიოს (ასეთის არსებობისას).

15.1.15.4. მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან. ამონაწერის გაცემისა და მომსახურების ტარიფები განისაზღვრება შესაბამისი დანართის მიხედვით.

15.1.15.5. წაუყენოს ბანკს პრეტენზიები ანგარიშიდან ამონაწერის მიღებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში. აღნიშნულ ვადაში კლიენტის მხრიდან პრეტენზიის მიუღებლობის შემთხვევაში, ამონაწერში არსებული ინფორმაციის სისწორე ითვლება დადასტურებულად კლიენტის მიერ.

15.1.15.6. შეწყვიტოს ხელშეკრულება, წინამდებარე პირობებით დადგენილი წესით, ბანკისათვის წინასწარი წერილობითი შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე.

15.1.15.7. ანგარიშზე ამონაწერის მიღებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში შეატყობინოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხის შესახებ და დაუბრუნოს ბანკს შეცდომით ჩარიცხული თანხა;

15.1.16. კლიენტი ვალდებულია:

15.1.16.1. პასუხი აგოს განაცხადის შევსების სისწორეზე და მასში მითითებული ინფორმაციის ყველა ცვლილების შესახებ, დაუყოვნებლივ წერილობით შეატყობინოს ბანკს;

15.1.16.2. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი;

15.1.16.3. გადაუხადოს ბანკს ანგარიშზე არსებული ოვერდრაფტის (მათ შორის გადახარჯული თანხის/ოვერლიმიტის) სრული თანხა და საკომისიო ბანკში მოქმედი ტარიფების და წესების შესაბამისად. ბანკი უფლებამოსილია ანგარიშზე ოვერლიმიტის წარმოშობის შემთხვევაში დააკისროს კლიენტს 48% ყოველ კალენდარულ დღეზე, ოვერლიმიტის გადაფარვამდე, თუ ტარიფებით სხვა ოდენობა არ იქნება დადგენილი;

15.1.16.4. კლიენტი ვალდებულია არ გამოიყენოს საბანკო მომსახურება, თუ ამას შედეგად მოჰყვება მისი ანგარიშის გადახარჯვა ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე ან თუ მოხდება ხარჯვის შეთანხმებული ლიმიტის გადაჭარბება.

15.1.17. ბანკს უფლება აქვს:

15.1.17.1. დროებით გამოიყენოს კლიენტის ანგარიშზე არსებული ფულადი სახსრები საკრედიტო რესურსების სახით;

15.1.17.2. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის (მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების მე-3 მუხლში მოცემული განცხადებებისა და გარანტიების) შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიში, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან;

15.1.17.3. ბანკის/ბანკის სხვა კლიენტების ან/და მესამე პირების ინტერესების დასაცავად, დაბლოკოს/დახუროს/გააუქმოს ბანკში არსებული კლიენტის ნებისმიერი ანგარიში/ბარათი ან/და ციფრული არხები, დაბლოკოს/დაბრონოს/ჩამოწეროს თანხები, შეაჩეროს კონკრეტული ტრანზაქცია(ები), ან უარი უთხრას კლიენტს მომსახურების გაწევაზე, თუ ბანკს გააჩნია ეჭვი/ბანკისთვის ცნობილი გახდა, რომ:

15.1.17.3.1. კლიენტი არღვევს საქართველოს ან სხვა ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებლობას (მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონის დანაწესებს, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის დანაწესებს);

15.1.17.3.2. არაუფლებამოსილი პირის მიერ განხორციელდა კლიენტის ანგარიშებზე წვდომა;

15.1.17.3.3. კლიენტის ანგარიშზე/ანგარიშიდან შესრულებული ოპერაცია არის თაღლითური ან/და შესრულებულია იმგვარ გარემოებებში, რაც ქმნის ოპერაციის არაავტორიზებულობის ეჭვს;

15.1.17.3.4. დაირღვა წვდომის კოდების კონფიდენციალურობა, საბარათე მონაცემების უსაფრთხოება ან/და კლიენტის ანგარიშებთან/ბარათებთან/დისტანციურ არხებთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის კონფიდენციალური ინფორმაცია და უსაფრთხოების წესები;

15.1.17.3.5. კლიენტი, შესაბამისი ტრანზაქციის მხარე, გადამხდელის ან/და მიმღების მომსახურე საბანკო დაწესებულება, შუამავალი საბანკო დაწესებულება ან/და ტრანზაქციის შესრულებაში მონაწილე რომელიმე სხვა პირი არ ეთანხმება ტრანზაქციას;

15.1.17.3.6. კლიენტი, კლიენტის სახელით მოქმედი პირი ან/და კლიენტთან პირადი, ნათესაური, საქმიანი ან/და სხვაგვარად ბანკის შეხედულებისამებრ დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ი წარმოადგენ(ენ)ს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;

15.1.17.3.7. კლიენტი ახორციელებს საქმიან ურთიერთობას ისეთ პირთან რომელიც (მათ შორის მის სადამფუძნებლო სტრუქტურაში შემავალი პირ(ებ)ი, აღმასრულებელი პირ(ებ)ი, ბენეფიციარი მესაკუთრე(ები), მისი სახელით მოქმედი პირ(ებ)ი ან/და სხვაგვარად დაკავშირებული პირ(ებ)ი) წარმოადგენ(ენ)ს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ სანქცირებულ პირ(ებ)ს ან/და არსებობს სანქცირებულ პირთა სიაში მისი/მათი მოხვედრის საფრთხე;

15.1.17.3.8. კლიენტის, კლიენტის სახელით მოქმედი პირის ან/და კლიენტთან პირადი, ნათესაური, საქმიანი ან/და სხვაგვარად ბანკის შეხედულებისამებრ დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის საქმიანობა დაკავშირებულია ვაჭრობის/მომსახურების ისეთ დარგთან ან/და საქმიანობის სფეროსთან, რომლის მიმართაც სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ გავრცელებულია შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო ან/და მითითება არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი;

15.1.17.3.9. ტრანზაქცია დაკავშირებულია ვაჭრობის/მომსახურების ისეთ დარგთან ან/და საქმიანობის სფეროსთან, რომლის მიმართაც სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ გავრცელებულია შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო ან/და ტრანზაქციის შესრულებით შეიძლება დაირღვეს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ გაცემული ნებისმიერი მითითება, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი შეზღუდვა/აკრძალვა/ემბარგო ან/და მითითება არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი;

15.1.17.3.10. კლიენტის ნებისმიერი ქმედება გამოიწვევს (ან შეიძლება გამოიწვიოს) ბანკის შიდა პროცედურებით ან/და პოლიტიკით განსაზღვრული წესების დარღვევას და შედეგად მატერიალური ან ნებისმიერი სახის ზიანის/ზარალის მიყენებას ბანკისათვის;

15.1.17.3.11. შესაძლოა აღნიშნული თანხები გახდეს სადავო კლიენტსა და მესამე პირებს შორის, რამაც შესაძლოა ბანკისთვს გამოიწვიოს ზიანის/ზარალის მიყენება.

15.1.17.4. იმოქმედოს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ დაწესებული შესაბამისი სანქცი(ებ)ის მიხედვით (მათ შორის, იმ შემთხვევაშიც თუ სანქციების დამდგენი ორგანოს გადაწყვეტილება(ები)/მითითება(ები) სავალდებულოდ შესასრულებელი არ არის ბანკისთვის) და განახორციელოს სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული/მოთხოვნილი ნებისმიერი და ყველა ქმედება(ები). წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ქმედების განხორციელება არ ჩაითვლება ბანკის მიერ პირობებით ნაკისრი ნებისმიერი ვალდებულების დარღვევად და არ გამოიწვევს ბანკის პასუხისმგებლობას კლიენტის წინაშე;

15.1.17.5. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კლიენტის რომელიმე კონკრეტული ან ყველა ტრანზაქცია, იმ შემთხვევაში, თუ ბანკის შეფასებით არსებობს რისკი, რომ აღნიშნული ტრანზაქციის შესრულება გამოიწვევს სანქციების დამდგენი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილებ(ებ)ის/მითითებ(ებ)ის/რეკომენდაცი(ებ)ის დარღვევას, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი;

15.1.17.6. საკუთარი შეხედულებისამებრ, მოითხოვოს კლიენტთან ან/და კლიენტის მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ რომელიმე ტრანზაქციასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, მათ შორის,

ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, ინფორმაცია ტრანზაციის მონაწილე ან/და ტრანზაქციასთან სხვაგვარად დაკავშირებული ყველა პირის შესახებ, ხოლო ამ ინფორმაციის/დოკუმენტაციის ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში და ფორმით მიუღებლობის შემთხვევაში, შეაჩეროს/შეზღუდოს ტრანზაქცი(ებ)ის შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიშ(ებ)ი;

15.1.17.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, ჩაატაროს გაძლიერებული პრევენციული ღონისძიებები კლიენტის, კლიენტის სახელით მოქმედი პირ(ებ)ის ან/და კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირ(ებ)ის იდენტიფიკაციისა და სანდო და დამოუკიდებელ წყაროზე დაყრდნობით მისი/მათი ვერიფიკაციისთვის, ასევე, კონკრეტული ტრანზაქცი(ებ)ის მიზნისა და წარმომავლობის დასადგენად. აღნიშნული მიზნით ბანკი უფლებამოსილია, საკუთარი შეხედულებისამებრ, კლიენტისგან ან/და ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ისგან მიიღოს ან/და შესაბამის უფლებამოსილ პირ(ებ)ს (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე, ზედამხედველ/მაკონტროლებელ ორგანოებს) გადასცეს კლიენტ(ებ)თან, კლიენტის სახელით მოქმედ პირ(ებ)თან, კლიენტთან დაკავშირებული სხვა პირ(ებ)თან ან/და კლიენტის მიერ/სასარგებლოდ ინიცირებულ ტრანზაქცია(ებ)სთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაცია/დოკუმენტაცია;

15.1.17.8. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული ტრანზაქცი(ებ)ის შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიში, იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ტრანზაქცი(ებ)ის შესრულება ან/და კლიენტისთვის მომსახურების გაწევა ბანკს შეუქმნის საფრთხეს/დაბრკოლებას სხვა ფინანსურ ინსტიტუტ(ებ)თან, საგადახდო სისტემას(ებ)თან, საგადახდო მომსახურების პროვაიდერ(ებ)თან, მარეგულირებელ/მაკონტროლებელ ორგანოს(ებ)თან ან/და ბანკის სხვა პარტნიორ(ებ)თან/კონტრაქტორ(ებ)თან/ზედამხედველ(ებ)თან ურთიერთობაში;

15.1.17.9. საკუთარი შეხედულებისამებრ, შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული ტრანზაქცი(ებ)ის შესრულება ან/და დაბლოკოს/დახუროს კლიენტის ანგარიში, იმ შემთხვევაში თუ სანქციების დამდგენი ორგანოს ნებისმიერი გადაწყვეტილების/მითითების/რეკომენდაციის (იმ შემთხვევაშიც, თუ ამგვარი გადაწყვეტილება/მითითება/რეკომენდაცია არ არის ბანკისთვის სავალდებულოდ შესასრულებელი) შედეგად ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს/დაამუშაოს/შეასრულოს კლიენტის მიერ/სასარგებლოდ ინიცირებული ტრანზაქცი(ებ)ი ანდა გაუწიოს კლიენტს ნებისმიერი საბანკო მომსახურება.

15.1.17.10. საკუთარი შეხედულებისამებრ, გაუგზავნოს კლიენტს მითითება/მოთხოვნა იმასთან დაკავშირებით, რომ არ გამოიყენონ ანგარიში სანქციების დამდგენი ორგანოს მიერ განსაზღვრულ პირთან, პროდუქტთან ან/და საქმიანობის სფეროსთან დაკავშირებული ტრანზაქციების შესასრულებლად. კლიენტის მიერ ბანკის ამგვარი მითითების შეუსრულებლობა უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს შეაჩეროს/შეზღუდოს კონკრეტული ან/და კლიენტის ყველა ტრანზაქციის შესრულება, დაბლოკოს კლიენტის ანგარიშზე არსებული თანხები ან/და დახუროს კლიენტის ანგარიში.

15.1.17.11. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი/გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, სატარიფო პაკეტის ღირებულება (ასეთის არსებობისას), კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხები) და მიმართოს ისინი ბანკის ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად;

15.1.17.12. შეამციროს კლიენტის ნებისმიერ ანგარიშზე ხელმისაწვდომი ნაშთი და ამგვარად დაბლოკოს, დაარეზერვოს შესაბამისი თანხები კლიენტის ბანკის წინაშე არსებული ვალდებულების შეუფერხებლად დაფარვის მიზნით, რაც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება კლიენტის საკრედიტო ვალდებულებებით, მიმდინარე ან/და მომდევნო გადასახდელებით/დავალიანებებით;

15.1.17.13. თუ ოპერაციის განხორციელების მომენტში გადახდის საწარმოებლად თავისუფალი სახსრები არ არის საკმარისი, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეაჩეროს ოპერაცია ან არ გასცეს მასზე ავტორიზაცია;

15.1.17.14. შეუწვიტოს კლიენტს დისტანციური საბანკო არხებით მომსახურება, თუ მას ბანკში აღარ გააჩნია ანგარიში.

15.1.17.15. შეუწყვიტოს კლიენტს მუდმივი საგადახდო დავალების ან/და ავტომატური გადახდების მომსახურება იმ ანგარიშის დახურვის შემთხვევაში, რომლის სასარგებლოდაც გააქტიურებულია აღნიშნული მომსახურებები.

15.1.17.16. მიაწოდოს კლიენტს ანგარიშზე შესრულებული ოპერაციასთან დაკავშირებული საგადახდო დავალების ასლი ან/და ქვითარი. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ აღნიშნული დოკუმენტები ადასტურებს შესაბამისად ბანკის მიერ დავალების მიღებას ან/და ბანკის მხრიდან მის შესრულებას, თუმცა არ იძლევა გარანტიას და ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმასთან დაკავშირებით, რომ დავალება სრულყოფილად იქნება შესრულებული შუამავალი ფინანსური ინსტიტუტის, მომსახურე საგადახდო სისტემის ან მიმღების პროვაიდერის მიერ.

15.1.18. ***<u>ბანკი ვალდებულია:</u>***

15.1.18.1. დროულად დააკრედიტოს ანგარიშზე ჩარიცხული თანხები და კუთვნილებისამებრ გადარიცხოს ანგარიშიდან წინამდებარე პირობებით დადგენილ ვადაში;

15.1.18.2. ჩამოწეროს კლიენტის დავალებით, ხოლო კანონმდებლობით და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დავალების გარეშეც, შესაბამისი თანხები კლიენტის ანგარიშიდან მათი კრედიტორების ანგარიშებზე გადასარიცხად;

15.1.18.3. მიიღოს კლიენტისაგან და მისცეს მას ან გასცეს მისი დავალებით ნაღდი ფული;

15.1.18.4. კლიენტს ან მის უფლებამოსილ წარმომადგენელს ბანკში არსებული პროცედურების შესაბამისად გადასცეს ანგარიშის ამონაწერი ბანკში მოქმედი ტარიფებით განსაზღვრული საკომისიო მოსაკრებლის საფასურად.

15.1.19. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული ანგარიშით სარგებლობის ზოგადი პირობები ვრცელდება ბანკში გახსნილ კლიენტის ნებისმიერი ტიპის ანგარიშზე, თუ უშუალოდ ანგარიშის სპეციფიკიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

15.2. ***<u>მულტისავალუტო ანგარიში</u>***

15.2.1. მულტისავალუტო ანგარიში არის ფიზიკური პირის ანგარიში, რომელშიც გაერთიანებულია რამდენიმე სხვადასხვა ვალუტის საბანკო ქვეანგარიში. მულტისავალუტო ანგარიშის ქვეანგარიშებზე ცალ-ცალკე აღირიცხება თითოეული ვალუტის ნაშთები, ამავდროულად, ყველა ქვეანგარიში საბარათე-საპროცესინგო სისტემის მეშვეობით მიბმულია ერთ ძირითად საბანკო ბარათზე, რომელზეც აღირიცხება ჯამური ხელმისაწვდომი ნაშთი, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს მულტისავალუტო ანგარიშში შემავალი ყველა ქვეანგარიშის ინდივიდუალური ნაშთის ჯამს.

15.2.2. მულტისავალუტო ანგარიშის ძირითადი ვალუტა შესაძლოა განისაღვროს შემდეგი ვალუტებით: ლარი, აშშ დოლარი, ან ევრო თუ რაიმე სხვა არ არის შეთანხმებული ბანკსა და კლიენტს შორის დადებული ხელშეკრულებით;

15.2.3. კლიენტს მულტისავალუტო ანგარიში გაეხსნება შესაბამისი განაცხადით ბანკისათვის მიმართვის შემდგომ, თუ ბანკის მიერ სხვა გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული.

15.2.4. კლიენტი უფლებამოსილია ბანკის თანხმობის შემთხვევაში ჰქონდეს რამდენიმე მულტისავალუტო ანგარიში ბანკის მიერ ტარიფებით დადგენილი ანგარიშის რაოდენობების გათვალისწინებით;

15.2.5. მულტისავალუტო ანგარიშის მომსახურების პირობები და ტარიფები განისაზღვრება ბანკის ვებ-გვერდზე, შემდეგ ბმულზე - https://silkbank.ge/individual/accounts/angarishebis-momsakhureba/

16. ბარათი

16.1. ბარათით სარგებლობის ზოგადი პირობები

16.1.1. წინამდებარე პუნქტში მოცემული ბარათის მოხმარების პირობები ვრცელდება კლიენტზე და კლიენტის მიერ განსაზღვრულ დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ზე.

16.1.2. ბარათის გამოყენება რეგულირდება საბანკო კანონმდებლობით და ბანკსა და საერთაშორისო საგადახდო სქემების VISA Inc., ან/და სხვა შესაბამისი საგადახდო სქემების (რომლის საბანკო ბარათების რეალიზაციასაც ახდენს ბანკი) შორის სალიცენზიო ხელშეკრულებების პირობებით.

16.1.3. ბარათის მისაღებად კლიენტმა ბანკს უნდა წარუდგინოს სათანადოდ შევსებული და დამოწმებული განაცხადი, ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით.

16.1.4. ბარათ(ებ)ს ბანკი ამზადებს კლიენტის განაცხადის საფუძველზე და მის შესაბამისად და გადასცემს კლიენტს სარგებლობაში (დალუქულ კონვერტში მოთავსებულ ან/და განაცხადში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ელექტრონული ფორმით გაგზავნილ წვდომის კოდთან (PIN-კოდი) ერთად) ანგარიშ(ებ)იდან ოპერაციების საწარმოებლად. ბარათი წარმოადგენს ბანკის საკუთრებას.

16.1.5. ბარათის მეშვეობით მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის უფლების გასააქტიურებლად კლიენტმა უნდა მიმართოს ბანკს ბანკის მიერ დადგენილი ფორმით. ამგვარი განაცხადის მიღებამდე კლიენტს შეზღუდული ექნება ბარათით მაღალი რისკის სავაჭრო მომსახურების ობიექტებში გადახდის შესაძლებლობა.

16.1.6. კლიენტი ადასტურებს, რომ აცნობიერებს თაღლითობის მაღალი რისკის მქონე სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში ოპერაციის შესრულებასთან დაკავშირებულ საფრთხეებს და მაღალი რისკის სავაჭრო/მომსახურების ობიექტებში გადახდის უფლების გააქტიურები

16.1.7. შემთხვევაში სრულად იქნება პასუხისმგებელი ამგვარ ობიექტებში შესრულებული ტრანზაქციების შედეგებზე.

16.1.8. კლიენტს შეუძლია ბანკისაგან მოითხოვოს ნებისმიერი მესამე პირისათვის დამატებითი ბარათ(ებ)ის და მათი შესაბამისი წვდომის კოდების გაცემა. დამატებითი ბარათის გაცემაზე ბანკის თანხმობის შემთხვევაში, კლიენტი ვალდებულია გააცნოს დამატებით ბარათის მფლობელს აღნიშნული პირობები. ამასთან, კლიენტი ვალდებულია, გადაიხადოს დამატებითი ბარათის და წვდომის კოდების გამოყენებით განხორციელებული ოპერაციების საფასური და სხვა შესაბამისი ხარჯები.

16.1.9. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს მისი კუთვნილი ანგარიშ(ებ)ის შესახებ ინფორმაცია გადასცეს დამატებითი ბარათის მფლობელ(ებ)ს. ეს ინფორმაცია მოიცავს, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე, დეტალებს ანგარიშ(ებ)ის შესახებ, აგრეთვე, სხვა სახის ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია დამატებითი ბარათ(ებ)ის სათანადო გამოყენებისათვის.

16.1.10. ანგარიშზე რიცხული თანხების განკარგვა დასაშვებია ბანკის მიერ დადგენილი ლიმიტის ფარგლებში.

16.1.11. ბარათის გამოყენებით ტრანზაქციის შესრულებაზე თანხმობა შესაძლოა გაცემული იყოს ბარათის უკონტაქტო წამკითხველზე დაფიქსირებით, შესაბამის მოწყობილობაში/სისტემაში წვდომის კოდ(ებ)ის (მათ შორის, შეზღუდვის გარეშე ბარათის PIN კოდის, ბარათის 16 ნიშნა კოდის, ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის თარიღის, ბარათის CVC ან CVV კოდის, კოდური სიტყვის, პაროლის, კლიენტის ტელეფონის ნომერზე/ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნილი ერთჯერადი კოდის ან/და კლიენტისთვის საბანკო მომსახურების ფარგლებში ცნობილი ნებისმიერი სხვა წვდომის კოდის) შეყვანით.

16.1.12. ბანკი უფლებამოსილია საკანონმდებლო მოთხოვნებიდან გამომდინარე, ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები კლიენტის საბარათე ოპერაციებზე.

16.1.13. საბარათე ოპერაციის განხორციელების და მისი ანგარიშზე ასახვის ვადები შესაძლოა განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან. განხორციელებული ოპერაციის ანგარიშზე ასახვის ვადა დამოკიდებულია საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ოპერაციის დამუშავების ვადებზე.

16.1.14. საბარათე გადარიცხვის შემთხვევაში მიმღებისთვის თანხა მომენტალურად ხელმისაწვდომია საბარათე ინსტრუმენტის მეშვეობით ოპერაციების შესასრულებლად, თუმცა საბანკო ანგარიშზე თანხის ასახვა ხდება შესაბამისი საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ტრანზაქციის ფინანსურად დამუშავების და ანგარიშსწორების შესრულების შემდეგ. ამდენად, კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ საბარათე გადარიცხვის შესრულების შემთხვევაში ჩარიცხული თანხა ანგარიშზე აისახება მოგვიანებით და ტრანზაქციის შესაბამისი თანხით ანგარიშიდან ოპერაციების შესრულება შესაძლებელი იქნება თანხის ანგარიშზე ასახვის შემდგომ. ბანკი არ არის პასუხისმგებელი საერთაშორისო საგადახდო სისტემის მიერ ოპერაციის დამუშავების/ანგარიშსწორების ვადებთან დაკავშირებით კლიენტისთვის მიყენებულ ნებისმიერ ზიანზე.

16.1.15. თუ უფლებამოსილი მფლობელი ბარათის დამზადებიდან 6 (ექვსი) თვის განმავლობაში არ მიაკითხავს ბანკს ბარათის მისაღებად, ბანკი უფლებამოსილია გააუქმოს ბარათი. ასეთ შემთხვევაში, კლიენტს ბარათის დამზადების/მომსახურების საკომისიო არ უბრუნდება.

16.1.16. ბარათის მოქმედების ვადის ამოწურვის შემთხვევაში ბარათი გაუქმდება.

16.1.17. კლიენტს უფლება აქვს:

16.1.17.1. ბარათით ჩაატაროს ოპერაციები ხარჯვის ლიმიტის ფარგლებში.

16.1.17.2. მოითხოვოს და მიიღოს ამონაწერი საბანკო ანგარიშიდან;

16.1.17.3. გაასაჩივროს ბარათით განხორციელებული ოპერაცია, თუ თვლის, რომ ადგილი ჰქონდა არაავტორიზირებულ ან არასწორად განხორციელებულ ოპერაციას. ამასთან, კლიენტის მიერ რაიმე ოპერაციის გასაჩივრება არ აღნიშნავს ბანკის უპირობო ვალდებულებას აუნაზღაუროს კლიენტს აღნიშნული ოპერაციების ჩატარების შედეგად მიყენებული ზარალი. კლიენტის მიერ ოპერაციების გასაჩივრების თითოეული შემთხვევა განიხილება ინდივიდუალურად VISA Inc., ან ბანკის კონტრაქტორი სხვა შესაბამისი საგადახდო სქემების მიერ დადგენილი წესების, საერთაშორისო და ქართულ საბანკო სექტორში დამკვიდრებული პრაქტიკის და მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;

16.1.17.4. წერილობით შეატყობინოს ბანკს ბარათის ვადის გასვლის შესახებ და მოითხოვოს ახალი ბარათის დამზადება;

16.1.18. ბანკს უფლება აქვს:

16.1.18.1. აუცილებლობის შემთხვევაში, ბარათის მოქმედების ვადის განმავლობაში შეცვალოს ის ახალი ბარათით;

16.1.18.2. გაუგზავნოს უფლებამოსილ მფლობელს შეტყობინება ბანკისათვის ბარათის დაბრუნების მოთხოვნით, თუ ოპერაციების ჩატარებისას წარმოიშვა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბარათი გამოიყენება უკანონო ქმედებებისათვის;

16.1.18.3. ბარათის დაკარგვის შემთხვევაში კლიენტს ანგარიშიდან ჩამოაწეროს (არსებობის შემთხვევაში) ან დაბლოკოს, ბარათის დაკარგვიდან ბანკში შესაბამისი წერილობითი ან ზეპირი შეტყობინების მოსვლამდე პერიოდში, ბარათით ჩატარებული ოპერაციების ეკვივალენტი სახსრები;

16.1.18.4. კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ხელშეკრულების დარღვევის, აგრეთვე კლიენტის გადახდისუუნარობის შემთხვევაში შეაჩეროს ან შეწყვიტოს ბარათის მოქმედება და მიიღოს აუცილებელი ზომები ბანკისადმი კლიენტის დავალიანების ამოსაღებად;

16.1.18.5. შეაჩეროს ბარათის მოქმედება არაკანონიერი ოპერაციების ჩატარების აღმოჩენის, აგრეთვე, VISA Inc., ან/და სხვა შესაბამისი საგადახდო სქემების მიერ ბარათის არაკანონიერი გამოყენების დამადასტურებელი ინფორმაციის მოწოდებისთანავე;

16.1.18.6. წინასწარი შეტყობინების გარეშე შეწყვიტოს ნებისმიერი ციფრული ბარათის, თოქენის და იმ ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფის მხარდაჭერა დაბლოკოს, შეზღუდოს, შეაჩეროს ან შეწყვიტოს კლიენტის მიერ ციფრული ბარათის ან/და თოქენის გამოყენება კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში ან ციფრული ბარათის გამოყენებით, არაკანონიერი ოპერაციების/საქმიანობის თაობაზე ნებისმიერი გონივრული ეჭვის არსებობის შემთხვევაში.

16.1.18.7. საკუთარი შეხედულებისამებრ, უარი განუცხადოს კლიენტს ბარათ(ებ)ის გაცემასა და/ან აღდგენაზე;

16.1.18.8. მიზეზის მითითების გარეშე უარი განაცხადოს კლიენტის სახელზე ციფრული ბარათის გაცემაზე, როგორც კონკრეტული ბარათის, ასევე ელექტრონული მოწყობილობის, ვებ - გვერდის ან აპლიკაციის მიმართ.

16.1.18.9. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით ან/და ბანკთან არსებული სხვა ნებისმიერი ხელშეკრულებ(ებ)ით (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საკრედიტო ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებ(ებ)ით) ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების უზრუნველსაყოფად ან აღნიშნული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დაბლოკოს ნებისმიერი ბარათი/ანგარიში

16.1.18.10. კლიენტის ბანკში არსებული ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი / გადასახადი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის და ანგარიშის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი საკომისიო მოსაკრებლები, სატარიფო პაკეტის ღირებულება, კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადები/გადასახდელები, შეცდომით ჩარიცხული თანხები, ზიანის / ზარალის ანაზღაურების თანხები, ოვერლიმიტი/გადახარჯული თანხები) და მიმართოს ისინი ბანკის ან/და მესამე პირების წინაშე არსებული ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად.

16.1.18.11. ანგარიშიდან უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტზე გაცემული ყველა ბარათით, მათ შორის დამატებითი ბარათით ჩატარებული, აგრეთვე საგადახდო სქემა VISA Inc.-ის გავლით ბანკებისა და ორგანიზაციების მიერ წარდგენილი ოპერაციების ეკვივალენტი სახსრები ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გათვალისწინებულ საკომისიო მოსაკრებლებთან ერთად.

16.1.19. კლიენტი იღებს ვალდებულებებს:

16.1.19.1. განაცხადის ხელმოწერიდან ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით თანხმობის გამოხატვიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში ანგარიშ(ებ)ზე ჩარიცხოს თანხები ნაღდი ან უნაღდო ანგარიშსწორებით ბარათის ტიპისათვის ბანკში დადგენილი აუცილებელი შენატანის ოდენობით (ასეთის არსებობისას);

16.1.19.2. შეამოწმოს PIN კონვერტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მთლიანობა, რომელშიც მოთავსებულია PIN-კოდი/წვდომის კოდი;

16.1.19.3. რეგულარულად გაეცნოს და დაიცვას ბანკის მიერ შემუშავებული საბანკო ბარათის ზოგადი პირობები და უსაფრთხოების წესები, აგრეთვე მკაცრად დაიცვას წვდომის კოდების კონფიდენციალურობა რაც გულისხმობს, მაგრამ არ შემოიფარგლება კლიენტის ვალდებულებით არ შეინახოს წვდომის კოდები ისეთი ფორმით ან ისეთ მატერიალურ ან ელექტრონულ მატარებლებზე, რომელიც იძლევა მათი დისკრედიტაციის და გამჟღავნების საშუალებას;

16.1.19.4. არ გადასცეს ბარათი ან/და წვდომის კოდები მესამე პირებს ან/და არ განახორციელოს წვდომის კოდების რაიმე სხვა ფორმით გამჟღავნება ამასთან, თუ კლიენტი სარგებლობს თოქენის ან/და ციფრული ბარათის სერვის(ებ)ით, ვალდებულია დაიცვას იმ ელექტრონული საშუალებების (მათ შორის და არამხოლოდ, ელექტრონული მოწყობილობა, პროგრამა ან/და ვებ-გვერდი) და წვდომის კოდების უსაფრთხოება, რომლებიც გამოიყენება თოქენის სერვისით სარგებლობისათვის.

16.1.19.5. ელექტრონული მოწყობილობის დაკარგვის და მესამე პირზე გადაცემის შემთხვევაში, სადაც შენახულია კლიენტის საბარათე მონაცემები/თოქენი ან/და ციფრული ბარათი ან/და ადგილი აქვს კლიენტის აუტენტიფიკაციის მონაცემების კომპრომენტირებას, კლიენტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ბანკს.

16.1.19.6. შეინახოს ბარათის გამოყენებით წარმოებულ ოპერაციებზე არსებული ყველა დოკუმენტი და წარუდგინოს იგი ბანკს სადავო საკითხების წარმოშობისას;

16.1.19.7. ყოველი კალენდარული თვის ბოლოს გაეცნოს ბარათის მეშვეობით განხორციელებულ ყველა ოპერაციას და საჭიროების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილ ვადაში წერილობით გააპროტესტოს ამ ოპერაციების შესახებ ინფორმაცია. ამ ვადაში ბანკისათვის პრეტენზიის წერილობით განუცხადებლობის შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია ითვლება დადასტურებულად და შემდგომ გაპროტესტებას აღარ ექვემდებარება;

16.1.19.8. ბარათის დაკარგვის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. საინფორმაციო ცენტრში ზეპირი განაცხადის საფუძველზე ბარათი იბლოკება. დამატებით საერთაშორისო სტოპ სიაში ბარათის განთავსებაზე კლიენტმა

უნდა მიმართოს ბანკს წერილობითი განცხადებით, რომელიც უნდა დამოწმდეს კლიენტის ან მისი უფლებამოსილი პირის ხელმოწერით ან ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ფორმით. წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი პასუხს არ აგებს იმ ფინანსურ ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს;

16.1.19.9. დაკარგული ბარათის აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ დაუბრუნოს ის ბანკს;

16.1.19.10. ჩაატაროს ბარათით ოპერაციები მოცემული პირობების შესაბამისად;

16.1.19.11. ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად გადაიხადოს ოპერაციების წარმოებისათვის, ასევე, ანგარიშისა და ბარათ(ებ)ის მომსახურებისათვის ბანკში დადგენილი ყველა საკომისიო გადასახადი, საჭიროების შემთხვევაში აანაზღაუროს ბარათ(ებ)ის დაკარგვასთან დაკავშირებული დანახარჯები;

16.1.20. ბანკი არ არის პასუხისმგებელი:

16.1.20.1. ბარათის დაკარგვის შესახებ წერილობითი განაცხადის მიღებამდე და საერთაშორისო სტოპ სიაში მოთავსების მიზნით კლიენტის მიერ საკომისიოს გადახდამდე ბარათით განხორციელებულ უკანონო ოპერაციაზე;

16.1.20.2. ბარათით განხორციელებულ ნებისმიერ უკანონო ოპერაციაზე;

16.1.20.3. წინამდებარე პირობების დანართში მითითებულ MCC კოდებზე შეზღუდულ ოპერაციებზე კლიენტის მომართვის საფუძველზე ოპერაციების დაშვების შემდეგ, კლიენტისათვის დამდგარ ნებისმიერ ზიანზე/ზარალზე;

16.1.20.4. ცრუ შეტყობინების შედეგად ბარათის ბლოკირებაზე;

16.1.20.5. ბარათის მოქმედების შეჩერებაზე;

16.1.20.6. ბარათის მფლობელსა და VISA ან სხვა საგადახდო სქემის სერვისების მომსახურე ბანკებს/ფინანსურ ინსტიტუტებს შორის წარმოქმნილ სადავო საკითხებზე;

16.1.20.7. დაგვიანებულ, არასწორ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ ოპერაციებზე, რომლებიც გამოწვეულია საგადახდო სქემის ან ტექნიკური მიზეზების გამო;

16.1.20.8. ბარათის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის კანონიერებაზე;

16.1.20.9. ბარათის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის კლიენტის ანგარიშზე ფაქტობრივად ასახვის ვადებზე, თუ აღნიშნული ოპერაცია ჩატარდა პოს-ტერმინალზე, რომელიც არ ეკუთვნის ბანკს. ამასთან, ბარათის მეშვეობით ბანკის კუთვნილ პოს ტერმინალზე ჩატარებული ოპერაცია აისახება კლიენტის ანგარიშზე ამგვარი ოპერაციის ჩატარების მომენტიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში;

16.1.20.10. იმ შესაძლო ზარალზე, რომელიც შეიძლება მიადგეს კლიენტს ბარათის მეშვეობით ჩატარებული ოპერაციის თარიღსა და აღნიშნული ოპერაციის კლიენტის ანგარიშზე ასახვის თარიღს შორი

16.1.20.11. სავალუტო გაცვლითი კურსის ცვლილების შედეგად;

16.1.20.12. ციფრული ბარათით ან/და თოქენით სარგებლობის ან ციფრული ბარათის ან/და თოქენის მესამე პირების მიერ წარმოებულ ელექტრონულ მოწყობილობაში, ვებ-გვერდზე ან აპლიკაციაში შენახვის შემთხვევაში, აღნიშნული მესამე პირებისათვის გადაცემული კონფიდენციალური ან/და პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის უსაფრთხოებაზე.

16.1.20.13. ბარათით განხორციელებულ ოფლაინ ტრანზაქციებზე (მათ შორის, რეკურენტული გადახდების შემთხვევაში). კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ოფლაინ ტრანზაქცია(ები) სრულდება ბანკის დადასტურების გარეშე, შესაბამისად, ბა

16.1.20.14. კს არ ეკისრება პასუხისმგებლობა კლიენტის ბარათით ოფლაინ ტრანზაქცი(ებ)ის შესრულების გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც, თუ ოფლაინ ტრანზაქციები განხორციელებული ბარათის ბლოკირების შემდეგ.

16.1.21. ბანკი არ განიხილავს მიღებულ პრეტენზიებს, თუ ბარათის დაკარგვისას უფლებამოსილი მფლობელის მხრიდან დარღვეული იქნება ხელშეკრულებით განსაზღვრული ბანკის ინფორმირების წესები;

16.1.22. კლიენტი პასუხისმგებელია:

16.1.22.1. ბარათის მეშვეობით ჩატარებულ ყველა არაკანონიერ ოპერაციაზე;

16.1.22.2. დამატებითი ბარათით სარგებლობის შედეგად ბანკის წინაშე წარმოშობილ ვალდებულებებისათვის;

16.1.22.3. დამდგარი ზიანისათვის, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ანგარიში, წვდომის კოდი ან სხვა ინფორმაცია პლასტიკური ბარათ(ებ)ისა და მისი მფლობელ(ებ)ის შესახებ ცნობილი გახდა მესამე პირ(ებ)ისათვის;

16.1.22.4. ყველა ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა ანგარიშზე მის დახურვამდე ან დახურვის შემდეგ;

16.1.22.5. ბარათის ან/და წვდომის კოდის გამოყენებით ჩატარებულ ნებისმიერი ტიპის ოპერაციაზე;

16.1.23. კლიენტი ვალდებულია აუნაზღაუროს ბანკს ზიანი, რომელიც წარმოიქმნება ბარათის მფლობელის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო;

16.1.24. კლიენტი უფლებამოსილია მიმართოს ბანკს საჩივრით განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებით. საჩივრის განხილვის მიზნით კლიენტი ვალდებულია წარუდგინოს ბანკს ბანკის მიერ მოთხოვნილი ნებისმიერი დოკუმენტი, მათ შორის შეკვეთის დადასტურების/გაუქმების წერილ(ებ)ი, ოპერაციის ჩეკი, ინვოისი, მერჩანტთან კომუნიკაციის შედეგი ან/და ტრანზაქციასთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია/დოკუმენტი ბანკის მოთხოვნის შესაბამისად. ბანკი ბარათით განხორციელებულ ოპერაციასთან დაკავშირებულ საჩივარს განიხილავს წარდგენიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღისა ამასთან, თუ ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აღნიშნულ ვადაში ვერ ხერხდება საჩივრის განხილვა და მასზე გადაწყვეტილების მიღება, ბანკი კლიენტს აცნობებს დაგვიანების დასაბუთებული მიზეზს, საჩივრის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების ვადას. საჩივარზე გადაწყვეტილების მიღებისა და კლიენტისთვის გაცნობის მაქსიმალური ვადაა საჩივრის მიღებიდან 55 სამუშაო დღე.

16.1.25. ბანკი ვალდებულია კლიენტს აუნაზღაუროს არაავტორიზებული ოპერაციის თანხა თუ კლიენტის მიერ ბანკისათვის მიმართვა განხორციელდა არაავტორიზებული ოპერაციის შესრულებიდა

16.1.26. 13 (ცამეტი) თვის ვადაში ლოკალური ოპერაციის შემთხვევაში, ხოლო 75 (სამოცდათხუთმეტი) კალენდარული დღის ვადაში საერთაშორისო ოპერაციის შემთხვევაში და კლიენტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონმდებლობით, ხელშეკრულებით ან წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს.

16.1.27. თუ კლიენტის მხრიდან ადგილი არ ჰქონია კანონმდებლობით, ხელშეკრულებით ან წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის ფაქტს და ბარათის უკანონო მითვისებით ან უკანონო გამოყენების შედეგად ტრანზაქცია განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე, კლიენტი პასუხისმგებელია აღნიშნული არაავტორიზებული ოპერაციის შედეგად წარმოშობილი ზიანისთვის არაუმეტეს 100 (ასი) ლარისა.

16.1.28. ბანკი არ არის ვალდებული აანაზღაუროს არაავტორიზებული ოპერაციის თანხა თუ არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტის მხრიდან ადგილი ჰქონდა თაღლითური ქმედებას ან/და კანონმდებლობით, ხელშეკრულებით ან წინამდებარე პირობებით ნაკისრი ვალდებულების განზრახვით ან უხეში გაუფრთხილებლობით დარღვევას.

16.1.29. უკონტაქტო ბარათი წარმოადგენს ჩიპიანი საბანკო ბარათის ნაირსახეობას, რომელიც კლიენტს ამლევს საშუალებას განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში, უკონტაქტოდ ანუ ბარათით საგადახდო ოპერაციის შესრულებისას წვდომის კოდის შეყვანის გარეშე, აწარმოოს ოპერაციები შესაბამისი სერვისის გაწევაზე ავტორიზირებულ და სათანადო ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილ მომსახურების ობიექტებში.

16.2. **ბარათით სარგებლობის ძირითადი პირობები**

16.2.1. იმ შემთხვევაში, თუ ბარათით ან მისი (ბარათის) რეკვიზიტების გამოყენებით შესრულებული ოპერაცია განხორციელდა ისეთ ვალუტაში, რომელშიც კლიენტს არ გააჩნია ქვე-ანგარიში ან რომელშიც კლიენტს გააჩნია ქვე-ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ქვე-ანგარიშზე არ ირიცხება ოპერაციის ასახვისათვის საკმარისი ნაშთი - ასეთი ოპერაცია აისახება კლიენტის ანგარიშზე კონვერტაციით საბანკო პროგრამაში ოპერაციის ასახვის დღეს არსებული ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის შესაბამისად. ამასთან, ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ბარათით ჩატარებული ოპერციები:

16.2.1.1. ლარში, აშშ დოლარში, ევროში აისახება კლიენტის მულტისავალუტო ანგარიშზე იგივე ვალუტაში;

16.2.1.2. ნებისმიერ სხვა ვალუტაში შესრულებული ოპერაციის ასახვა VISA საგადახდო სქემის ბარათით შესრულებული ტრანზაქციების შემთხვევაში მოხდება აშშ დოლარში ამ შემთხვევაში კონვერტაციის კურსი განისაზღვრება VISA-ს მიერ ტრანზაქციის დამუშავების დღეს არსებული სისტემის კურსით, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამისი საგადახდო სქემის ვებ-გვერდზე: VISA - https://bit.ly/2J92TPb ; ამასთან, VISA ბარათით ლარი, დოლარი, ევრო, ფუნტისგან განსხვავებულ ვალუტაში შესრულებულ ოპერაციას დაემატება ტრანზაქციის თანხის 1%.

16.2.2. ბარათით სარგებლობის ტარიფები, ლიმიტები, ასევე კლიენტის საბარათე ოპერაციებზე დაწესებული შეზღუდვები განისაზღვრება ბანკის მიერ ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული ტარიფების შესაბამისად.

16.2.3. კლიენტი უფლებამოსილია ბირობების შესაბამისი დანართით განსაზღვრულ MCC კოდებზე შეზღუდვების გაუქმების და ოპერაციების დაშვების მიზნით მიმართოს ბანკს შესაბამისი განაცხადით ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.

16.3. **ციფრული ბარათი**

16.3.1. ციფრული ბარათი წარმოადგენს პლასტიკური ბარათის ციფრულ ანალოგს, რომელიც შეიძლება მიებას კლიენტის ანგარიშს და რომელიც საშუალებას აძლევს კლიენტს განახორციელოს ამ ტიპის ბარათისთვის ნებადართული ოპერაციები.

16.3.2. კლიენტის ანგარიშს შესაძლებელია მიებას რამდენიმე ციფრული ბარათი. ამასთან, კლიენტის ანგარიშზე ციფრული ბარათის გააქტიურება არ ზღუდავს იმავე ანგარიშზე ფიზიკური პლასტიკური ბარათის მიბმის შესაძლებლობას. ანგარიშზე დასაშვები მაქსიმალური ციფრული ბარათებს ოდენობა განისაზღვრება პირობებზე თანდართული ციფრული ბარათით მომსახურების ტარიფების შესაბამისად. თუ კლიენტის შესაბამისი სატარიფო პაკეტი სხვა პირობას არ ითვალისწინებს.

16.3.3. ციფრული ბარათის გენერირება შესაძლებელია ბანკის ცოფრული ბანკის ან/და ბანკის მიერ მომავალში განსაზღვრული სხვა არხის მეშვეობით ბანკში დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

16.3.4. ციფრული ბარათით ჩატარებული ტრანზაქციების ლიმიტები, შეზღუდვები და მომსახურების ტარიფები განისაზღვრება წინამდებარე პირობებზე თანდართული ციფრული ბარათის მომსახურების ტარიფების შესაბამისად. თუ კლიენტის შესაბამისი სატარიფო პაკეტი სხვა პირობას არ ითვალისწინებს.

16.3.5. თუ წინამდებარე პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, ციფრული ბარათით მომსახურებაზე ვრცელდება წინამდებარე პირობებით ბარათის მომსახურებისთვის განსაზღვრული ყველა ის წესი (მათ შორის კლიენტის ვალდებულებები), რომელიც წინააღმდეგობაში არ მოდის ციფრული ბარათის ბუნებასთან.

16.3.6. იმ ბარათებთან დაკავშირებით, რომლის ჩართვასაც კლიენტი განახორციელებს Apple Pay-ში ან/და Google Pay-ში, ვრცელდება შესაბამისად Apple Pay-ში სილქის საბანკო ბარათის ჩართვის და გამოყენების პირობები ან/და Google Pay-ში სილქის საბანკო ბარათის ჩართვის და გამოყენების პირობები, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge და წინამდებარე პირობებთან ერთად წარმოადგენს ერთიან ხელშეკრულებას.

16.3.7. კლიენტი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მიმართოს ბანკს ციფრული ბარათის გაუქმების/დაბლოკვის მოთხოვნით ბანკის მიერ განსაზღვრული არხების მეშვეობით.

16.3.8. ციფრული ბარათის დაბლოკვა/გაუქმება არ იწვევს კლიენტის ანგარიშზე მიბმული სხვა ციფრული ბარათ(ებ)ის ან/და ფიზიკური ბარათ(ებ)ის გაუქმებას.

16.3.9. ბანკი უფლებამოსილია დააწესოს 365 დღის განმავლობაში ციფრული ბარათ(ებ)ის აქტივაციის მაქსიმალური ლიმიტი. აღნიშნული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში, კლიენტი ვეღარ შეძლებს ახალი ციფრული ბარათ(ებ)ის გააქტიურებას როგორც არსებულ ისე ახალ ანგარიშზე, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, თუ კლიენტი ციფრული ბარათის გააქტიურების ინიცირების მომენტში არ სარგებლობს სხვა აქტიური ციფრული ბარათ(ებ)ით. 365 დღის განმავლობაში ციფრული ბარათ(ებ)ის გააქტიურების დასაშვები ოდენობა განისაზღვრება პირობების შესაბამისი დანართით. ამასთან, ბანკი უფლე

16.3.10. ამოსილია ციფრული ბარათ(ებ)ით დადგენილი ლიმიტის მიუხედავად, შეუზღუდოს კლიენტს ციფრული ბარათით სარგებლობის/გააქტიურების უფლება ბარათის არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამო.გამო.ამასთან, ბანკი უფლებამოსილია ციფრული ბარათ(ებ)ით დადგენილი ლიმიტის მიუხედავად, შეუზღუდოს კლიენტს ციფრული ბარათით სარგებლობის/გააქტიურების უფლება ბარათის არაკეთილსინდისიერად გამოყენების გამო.

16.4. **საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისი**

16.4.1. საბანკო ბარათის 3D უსაფრთხოება წარმოადგენს ბანკის მიერ კლიენტისათვის შეთავაზებულ დაცვის დამატებით საშუალებას, რომლის მიზანია უზრუნველყოს VISA საერთაშორისო საგადახდო სქემის ბარათით ინტერნეტის საშუალებით განხორციელებული ტრანზაქციების უსაფრთხოდ შესრულება Verified by Visa სერვისების სახით.

16.4.2. ბარათის 3D უსაფრთხოების გააქტიურება შესაძლებელია განხორციელდეს ბანკის მიერ თავისი ინიციატივით წინამდებარე პირობების და ბანკის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.

16.4.3. ბარათით ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას 3D უსაფრთხოების ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი გაიგზავნება ბანკში საბანკო ბარათის მფლობელზე დარეგისტრირებულ ნომერზე.

16.4.4. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ იმ შემთხვევაში თუ ბანკში მითითებული კლიენტის საკონტაქტო მონაცემები არასრულია ან/და არასწორია, იგი ვერ შეძლებს ბარათის 3D უსაფრთხოების სერვისით სარგებლობას და ისეთი ოპერაციების შესრულებას, რომლისთვისაც მოითხოვება 3D უსაფრთხოების სერვისის გამოყენება.

16.4.5. ბანკი უფლებამოსილია უსაფრთხოების შეხედულებებიდან გამომდინარე თავისი ინიციატივით ბარათის მფლობელისათვის 3D უსაფრთხოების ჩართვა მოახდინოს მათ შორის ბარათის უფლებამოსილი მფლობელის მიერ უშუალოდ ინტერნეტ-ტრანზაქციის განხორციელების დროს.

16.4.6. 3D უსაფრთხოების გამოყენებით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განსახორციელებლად აუცილებელია ბარათის უფლებამოსილი მფლობელი დარწმუნდეს მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდის ნამდვილობაში, რა მიზნითაც აუცილებელია მინიმუმ შემდეგი პირობების არსებობა: (ა) მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე განთავსებული უნდა იყოს ბანკის და „Verified by VISA" -ს ლოგო; (ბ) მომთხოვნ ვებ–გვერდს უნდა გააჩნდეს უსაფრთხოების სერტიფიკატები.

16.4.7. ტრანზაქციების განსახორციელებლად ბარათის უფლებამოსილი მფლობელის მიერ გამოსაყენებელი ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი დინამიურია და იგზავნება მომენტალურად საბანკო ბარათით ინტერნეტით ტრანზაქციების (საქონლის ან/და მომსახურების შეძენა) განხორციელების დროს.

16.4.8. ბარათის უფლებამოსილი მფლობელი პასუხისმგებელია ვერიფიკაციის ერთჯერადი სმს კოდის ან/და ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გამოყენებული ინფორმაციის კონფიდენციალურობის უზრუნველყოფაზე, შესაბამისად ბანკი ან/და VISA ან/და სხვა საგადახდო სქემ(ები)ა არ არიან პასუხისმგებელნი აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზიანზე ან/და ზარალზე.

16.4.9. ბანკს არ გააჩნია კონტროლის საშუალება მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ შეთავაზებულ მომსახურებაზე, აქედან გამომდინარე ბანკი არ არის პასუხისმგებელი მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) მიერ განხორციელებული მომსახურების შედეგად წარმოშობილ უზუსტობებზე, კლიენტისათვის ან/და მესამე პირებისათვის მიყენებულ ზიანზე/ზარალზე, აგრეთვე მერჩანტის (სავაჭრო ობიექტის) ვებ-გვერდზე არსებული ინფორმაციის სისწორეზე, ცვლილებებზე ან/და მომსახურების შედეგად წარმოშობილ სხვა ხარვეზებზე.

16.4.10. 3D უსაფრთხოების სერვისით სარგებლობისას კლიენტი პასუხისმგებელია ყველა დავალებაზე, რომელსაც იგი გასცემს ბანკზე სპეციალური უსაფრთხოების პროცედურების გავლის შემდეგ.

16.4.11. ბანკი ყველა ზომას მიმართავს იმისთვის, რომ კლიენტი უზრუნველყოს 3D უსაფრთხოების სერვისით, მაგრამ ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი იმ შემთხვევაში, თუ ვერ მოხერხდა აღნიშნული მომსახურებით

კლიენტის უზრუნველყოფა ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (მათ შორის და არამარტო, ადგილი აქვს ბანკის სისტემის ან 3D უსაფრთხოების სერვისის შეფერხებას სისტემის განახლების ან/და გაუმჯობესების მიზეზით, 3D უსაფრთხოების სერვისი შესაძლებელია არ იყოს ხელმისაწვდომი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი მერჩანტების ვებ-გვერდებზე).

16.4.12. კლიენტის ან/და საკუთარი ინტერესების დასაცავად, ბანკს შეუძლია შეაჩეროს ან/და შეზღუდოს კლიენტის მიერ 3D უსაფრთხოების სერვისით ან მისი ნაწილით სარგებლობა. ამგვარი ქმედების განხორციელებისას ბანკი პირველი შესაძლებლობისთანავე შეტყობინებას გაუგზავნის კლიენტს. ბანკს აგრეთვე შეუძლია ნებისმიერ დროს მთლიანად ან ნაწილობრივ შეუწყვიტოს კლიენტს 3D უსაფრთხოების სერვისით სარგებლობა. 3D უსაფრთხოების სერვისის შეჩერების ან/და შეზღუდვის შეთხვევაში მომსახურების შეჩერებამდე/შეზღუდვამდე არსებულ ოპერაციებზე პასუხისმგებელია კლიენტი.

16.4.13. ბანკის მხრიდან არ ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და იგი არ იქნება ვალდებული დამდგარ შედეგზე როდესაც:

16.4.13.1. 3D უსაფრთხოების სერვისით (ან მისი ნაწილით) მომსახურება შეუძლებელია ბანკისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო;

16.4.13.2. ინტერნეტის საშუალებით ტრანზაქციების განხორციელებისას გაუმართავია სატელეკომუნიკაციო საშუალებები;

16.4.13.3. ბარათის უფლებამოსილი მფლობელის ტექნიკურ საშუალებებს გააჩნიათ პროგრამული ვირუსი;

16.4.13.4. კლიენტის უსაფრთხოების დეტალები (კერძოდ, ერთჯერადი სმს ვერიფიკაციის კოდი) არაავტორიზებულად იქნა გამოყენებული;

16.4.13.5. ბანკს არ მიუღია კლიენტის მიერ გაგზავნილი დავალებ(ებ)ი.

17. Silk Play ბარათი (Play Card) და Gamer Package

17.1. Silk Play ბარათი წარმოადგენს სს „სილქ ბანკი“-ს მიერ ემიტირებულ, ციფრული Visa ბარათს, რომელზეც ჩართულია Visa Rewards-ის ლოიალობის სისტემაში და მის მფლობელ მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას ისარგებლოს განსაკუთრებული ლოიალურობის პირობებითა და შეთავაზებებით ონლაინ ვიდეო თამაშების მერჩანტ პლატფორმებზე, დაიბრუნონ გადახდილი თანხის ნაწილი ქულების სახით და მიიღონ სხვადასხვა სახის ბენეფიტები სტრიმინგ სერვისებსა და ლოკალურ საბსქრიბშენებზე;

17.2. „Play Card“ ციფრული ბარათით სარგებლობა შეუძლია საქართველოს მოქალაქეობის მქონე ნებისმიერ სრულწლოვან ფიზიკურ პირს, რომელიც სარგებლობს ბანკის აპლიკაციით;

17.3. „Play Card“ -ის შესაკვეთად, კლიენტი აპლიკაციიდან აინიცირებს „Play Card“ ციფრული ბარათის შეძენის ოპერაციას, რომლის წარმატებით დასრულების შემთხვევაში კლიენტს ავტომატურ რეჟიმში უაქტიურდება Gamer Package, მასში შემავალი შეთავაზებებით და ეხსნება მულტისავალუტო ანგარიში სამ ვალუტაში (GEL/USD/EUR), მასზე მიბმული „Play Card“ ციფრული ბარათით;

17.4. Gamer Package-ის ყოველთვიური მომსახურების საკომისიო შეადგენს 5 ლარს.

17.5. Gamer Package-ის შეძენით, კლიენტი ისარგებლებს შემდეგი ბენეფიტებით:

- 5%-იანი ქეშბექი ლოიალობის ქულების სახით ბანკის ვებ-გვერდზე განსაზღვრულ პარტნიორებთან (უცხოურ ონლაინ ვიდეო თამაშების პლატფორმებზე) ანგარიშსწორებისას. პარტნიორების სია განახლებადია და მისი ნახვა შესაძლებელია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge.
- 50%-იანი ფასდაკლება „Silknet“-ის „Gamer პაკეტზე“ საფასურის „Play Card“ ციფრული ბარათით გადახდისას;

17.6. Gamer Package-ის საკომისიოს გადახდა სრულდება ყოველი თვის ბოლო კალენდარულ დღეს, კლიენტის ანგარიშიდან შესაბამისი ოდენობის თანხის ჩამოჭრის გზით;

17.7. იმ შემთხვევაში, თუ საკომისიოს დაფარვის თარიღში კლიენტის ანგარიშზე არ იქნება მომსახურების საკომისიოს დასაფარად საკმარისი ოდენობის თანხა, სისტემა გადაამოწმებს კლიენტის სხვა აქტიურ მიმდინარე ანგარიშზე ან/და მოთხოვნამდე ტიპის დეპოზიტზე დადებითი ნაშთის არსებობას და ასეთის

არსებობის შემთხვევაში, გადასახდელ პაკეტის საკომისიოს დავალიანების შესაბამის თანხას შეაგროვებს „Play Card“ ბარათის ანგარიშზე, საიდანაც განხორციელდება დავალიანების სრულად ან ნაწილობრივ დაფარვა;

17.8. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიმდინარე ან/და მოთხოვნამდე ტიპის ანგარიშ(ებ)იდან შეგროვილი თანხა ნაკლები იქნება პაკეტის საკომისიო დავალიანების სრულად დასაფარად, სისტემა განახორციელებს დავალიანების ნაწილობრივ დაფარვას;

17.9. კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე პაკეტის საკომისიოს დავალიანების დასაფარად საკმარისი ოდენობის თანხის არ არსებობის შემთხვევაში, ბანკი 6 თვის განმავლობაში ახდენს საკომისიოს აკუმულირებას და კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე დადებითი ნაშთის გაჩენისთანავე ახდენს პაკეტის საკომისიოს დავალიანების დაფარვას;

17.10. იმ შემთხვევაში თუ კლიენტის მიერ არ მოხდა საკომისიოს დროული დაფარვა, ამ შემთხვევაში გაუქმდება პაკეტი და პაკეტის ფარგლებში არსებული “Play Card” ბარათი.

17.11. კლიენტის მიერ შეძენილი პაკეტის შესაბამისად გათვალისწინებული ლოიალობის ქულები გროვდება კლიენტის ბალანსზე, ხოლო პროდუქციისა და მომსახურების საფასურის გადახდისას ფასდაკლების არსებობის შემთხვევაში, კლიენტი იხდის ფასდაკლებულ ფასს;

17.12. კლიენტს ქულები ერიცხება მომენტალურად, იმ ოპერაციის დასრულებისთანავე, რომელზეც გათვალისწინებულია ქეშბექის სახით ქულების დარიცხვა და აღნიშნულთან დაკავშირებით ეგზავნება შესაბამისი შინაარსის სმს შეტყობინება;

17.13. იმ შემთხვევაში, თუ ოპერაცია, რომელიც ითვალისწინებს ქეშბექის სახით ქულების დარიცხვას შესრულებულია ლარისგან გასხვავებულ ვალუტაში, ქულების დაანგარიშების მიზნით კონვერტაცია სრულდება ოპერაციის შესრულების მომენტისთვის არსებული ბანკის კომერციული კურსით;

17.14. ქულების დარიცხვისა და განაღდების ოპერაციების გატარებები სრულდება ბანკის შიდა სატრანზიტო ანგარიშის გავლით;

17.15. კლიენტს აქვს შესაძლებლობა დაგროვილი ქულები გამოიყენოს კომუნალური გადასახად(ებ)ის გადახდის გზით. ქულების ნაღდი თანხის სახით კონვერტირება ხორციელდება თანაფარდობით: 1 ქულა = 0,01 ლარს, 100 ქულა = 1 ლარს;

18. დისტანციური საბანკო მომსახურება

18.1. უსაფრთხოების პირობები დისტანციური მომსახურებისას

18.1.1. ბანკი ბანკი სთავაზობს კლიენტს დისტანციურ საბანკო მომსახურებებს, რომლებიც კლიენტს აძლევს საშუალებას განახორციელოს საბანკო ოპერაციები ბანკში გამოუცხადებლად სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობების ან/და არხების გამოყენებით. ბანკი იტოვებს უფლებას, რომ დროდადრო შეცვალოს ან/და გააუმჯობესოს დისტანციური საბანკო მომსახურება(ები).

18.1.2. **უფლებამოსილება:**

18.1.2.1. კლიენტი უფლებამოსილებას ანიჭებს ბანკს, რომ მიიღოს და შესაბამისად განახორციელოს კლიენტის მიერ ბანკისთვის მიცემული საგადახდო დავალებები და ამ პერიოდისთვის ბანკის მიერ ნებადართული ოპერაციები, მათ შორის, გარიგებები, რაც შეზღუდვის გარეშე მოიცავს კლიენტის ანგარიშიდან ან/და ანგარიშზე იმ ოპერაციების განხორციელებას ან/და კლიენტის მიერ იმ გარიგებებზე თანხმობის გამოხატვას, რომელიც ავტორიზებული/დადასტურებული იქნა ბანკის მიერ დადგენილი/მოთხოვნილი/განსაზღვრული უსაფრთხოების პროცედურ(ებ)ის გავლის შემდეგ.

18.1.2.2. ბანკი დაეყრდნობა კლიენტისგან მოკლე ტექსტური შეტყობინებით ან/და სხვა წვდომის კოდებით, ელექტრონული ფოსტით ან/და ციფრული ბანკით მიღებულ ნებისმიერ ელექტრონულ დავალებას და ბანკი არ იქნება ვალდებული შეამოწმოს გამომგზავნის პიროვნება ან ოპერაციის ნამდვილობა თუ კლიენტი აუთენტირებულია უსაფრთხოების პროცედურების შესაბამისად. კლიენტი არანაირ ვითარებაში არ შეედავება ბანკს იმის გამო, რომ იგი ეყრდნობა ამგვარ დავალებებს. ბანკი არც ერთ

შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი დისტანციური საბანკო მომსახურების არაავტორიზირებულ გამოყენებაზე მესამე პირების მხრიდან.

18.1.2.3. კლიენტი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ მის მიერ განაცხადში მითითებული მობილური ტელეფონის ნომრიდან ბანკისათვის დავალების გაგზავნა/დადასტურება ბანკის მიერ განიხილება როგორც კლიენტისგან გაგზავნილად მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული დავალება კლიენტის ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.

18.1.2.4. კლიენტი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტით ბანკისათვის დავალების გაგზავნა/დადასტურება ბანკის მიერ განიხილება როგორც კლიენტისგან გაგზავნილად მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული დავალება კლიენტის ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.

18.1.2.5. კლიენტი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს მასზედ, რომ ციფრული ბანკის საშუალებით ბანკისათვის დავალების გაგზავნა ბანკის მიერ განიხილება როგორც აღნიშნული დავალების გაგზავნა იმ პირის მიერ, ვინც გაიარა შესაბამისი ავთენტიფიკაცია, არის ავტორიზებული ბანკის სპეციალური უსაფრთხოების სისტემების საშუალებით, მიუხედავად იმისა, რეალურად იქნა თუ არა აღნიშნული დავალება კლიენტის ან/და მის მიერ უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილი.

18.1.2.6. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ანგარიშთან დაკავშირებულია/მიბმულია რამდენიმე ბარათი ან/და დაკავშირებულია რამდენიმე უფლებამოსილი მფლობელი, ბანკი შეასრულებს ნებისმიერი ზემოთ ჩამოთვლილისგან მიღებულ დავალებას, მაგრამ თითოეული პასუხისმგებელი იქნება ყველა ოპერაციაზე ან/და ასეთი ოპერაციისგან წარმოშობილ დავალიანებაზე.

18.1.2.7. კლიენტი აცნობიერებს, რომ დისტანციური საბანკო მომსახურებით განხორციელებულ ოპერაციას აქვს ანგარიშის განკარგვაზე უფლებამოსილი პირის მიერ დადასტურებული (წერილობითი ფორმით შესრულებული და ხელმოწერილი) ქაღალდზე დაბეჭდილი საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

18.1.2.8. კლიენტი აცნობიერებს და ადასტურებს, რომ ბანკს, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, შეუძლია ჩაიწეროს ნებისმიერი ან ყველა დავალება, რომელიც მიღებულ ან გაგზავნილ იქნა დისტანციური საბანკო მომსახურების გამოყენებით და შეინახოს ამგვარი ინფორმაცია იმ სახით და ფორმით, რომელსაც საჭიროდ მიიჩნევს. კლიენტი ადასტურებს, რომ ბანკს შეუძლია დაეყრდნოს ასეთ ინფორმაციას და გამოიყენოს ნებისმიერი დავის განხილვისას როგორც მტკიცებულება.

18.1.3. **უსაფრთხოების პროცედურა და რისკები დაკავშირებული დისტანციურ საბანკო მომსახურებებთან**

18.1.3.1. კლიენტის მიერ დისტანციური საბანკო მომსახურებით სარგებლობისას, იდენტიფიცირება არ ხდება ხელმოწერით ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით. ასეთ შემთხვევაში პიროვნების იდენტიფიცირება ხდება კლიენტის მიერ აუთენტირების დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ნებისმიერი ქმედება, რომელიც შესრულებულია მას შემდეგ, რაც ელექტრონულ სისტემაში მოხდა ნებადართული შეღწევა ნამდვილობის დადგენის ელექტრონული პროცედურების გავლის შემდეგ, ასეთი შეღწევა და შეღწევის შედეგად შესრულებული ნებისმიერი ოპერაცია ჩაითვლება კლიენტის მიერ სათანადოდ შესრულებულად და სამართლებრივი ძალის მქონედ.

18.1.3.2. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს, კლიენტთან წინასწარი შეთანხმების გარეშე შეცვალოს ან/და შექმნას დამატებითი მექანიზმები კლიენტის საიდენტიფიკაციოდ როგორც ციფრულ ბანკში ავტორიზაციისას, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების არხის გამოყენებით ოპერაციის დადასტურებისას ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ქმედების განხორციელებისას.

18.1.3.3. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვის მიზნით შეიმუშავოს ციფრულ ბანკში ორდონიანი ავთენტიფიკაციის მექანიზმი. კლიენტი ვალდებულია ციფრულ ბანკზე წვდომისთვის ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების არხის მეშვეობით ოპერაციების შესრულებისას გამოიყენოს ბანკის მიერ შეთავაზებული ავთენტიფიკაციის მეთოდები ბანკის მიერ დადგენილი წესით, მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს ტელეფონის ნომრის ვერიფიცირება, ან/და გამოიყენოს ციფრულ ბანკზე

წვდომისთვის/დისტანციური საბანკო მომსახურების არხის მეშვეობით ოპერაციების შესრულებისთვის ნებადართული სხვა ელემენტები. წინააღმდეგ შემთხვევაში, კლიენტს შესაძლოა შეეზღუდოს ციფრულ ბანკზე წვდომა ან/და დისტანციური საბანკო მომსახურების არხების გამოყენებით ოპერაციების დადასტურების შესაძლებლობა, რაზეც ბანკი არ იქნებ პასუხისმგებელი.

18.1.3.4. წვდომის კოდების დაკარგვის ან/და ნებისმიერი სხვა მიზეზით არაუფლებამოსილი პირის ხელში აღმოჩენის შემთხვევაში კლიენტი ვადლებულია დაუყოვნებლივ მიმართოს ბანკს, რის საფუძველზეც ბანკი მიიღებს შესაბამის ზომებს, მათ შორის, კლიენტის მოთხოვნის შესაბამისად, მოახდენს კლიენტის ანგარიშზე დისტანციური საბანკო მომსახურების შეჩერებას.

18.1.3.5. ნებისმიერი ტექნიკური საშუალება, რომელსაც ბანკი გადასცემს კლიენტს წარმოადგენს ბანკის საკუთრებას და კლიენტის მიერ გამოყენებული უნდა იქნას წინამდებარე პირობებში გათვალისწინებული მოთხოვნების მიხედვით.

18.1.3.6. კლიენტი და ბანკი ვალდებულნი არიან დაიცვან საიდენტიფიკაციო ინფორმაციის, მათ შორის, წვდომის კოდების კონფიდენციალობა. კლიენტი ვალდებულია:

18.1.3.6.1. უსაფრთხოდ შეინახოს ციფრული ბანკით ან/და სხვა დისტანციური მომსახურების არხით სარგებლობისთვის საჭირო ნებისმიერი ინფორმაცია, მოწყობილობა (ასეთის არსებობის შემთხვევაში) და წვდომის კოდები. კლიენტს ეკრძალება აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება ნებისმიერი მესამე პირისათვის;

18.1.3.6.2. პირველივე შესვლისას შეცვალოს წვდომის კოდი და შემდგომში პერიოდულად ცვალოს იგი უსაფრთხოების დაცვის მიზნით, და დაიცვას მისი კონფიდენციალობა;

18.1.3.6.3. წვდომის კოდის, მოწყობილობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დაკარგვის ან გამჟღავნების შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ეჭვობს რომ სხვა მესამე პირი ფლობს კლიენტის წვდომის კოდ(ებ)ს ან/და უსაფრთხოების სხვა ინფორმაციას, დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს. იმ შემთხვევაში თუ კლიენტი არ მოახდენს ბანკისთვის შეტყობინებას, კლიენტი პასუხისმგებელი იქნება ყველა იმ ოპერაციაზე, რომელიც განხორციელდა მის ანგარიშზე.

18.1.3.6.4. კლიენტი პასუხისმგებელია ყველა იმ ტრანზაქციაზე, რომელიც განხორციელდება კლიენტის ან კლიენტის მიერ ავტორიზებული ნებისმიერი მესამე პირის მიერ ციფრულ ბანკში შესვლიდან გამოსვლამდე. კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე არ უნდა დარჩეს დისტანციური საბანკო მომსახურების არხებზე წვდომისთვის გამოყენებული შესაბამისი მოწყობილობა უყურადღებოდ სანამ კლიენტი ან მისი ავტორიზებული პირი შესული არიან დისტანციური მომსახურების არხში.

18.1.3.6.5. პასუხი აგოს დისტანციური საბანკო მომსახურებით სარგებლობაზე. აღნიშნული მომსახურებით სარგებლობისთვის კლიენტს ბანკში არსებული პროცედურების დაცვით გადაეცემა ციფრული ბანკით სარგებლობისთვის საჭირო საიდენტიფიკაციო მონაცემები ან/და ელექტრონული საშუალებები ან/და მოწყობილობები, რომელთა გამოყენებითაც ხდება კლიენტის იდენტიფიკაცია. კლიენტი ვალდებულია ასეთი მოწყობილობების თუ საშუალებების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) გამართულობა შეამოწმოს მიღებიდან 7 (შვიდი) დღის ვადაში.

18.1.3.7. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ინტერნეტით ინფორმაციის გადაცემა არ არის კოდირებული და შესაბამისად უსაფრთხო და რომ ელექტრონული ფოსტით ინფორმაციის გადაცემა არ წარმოადგენს ინფორმაციის გადაცემის უსაფრთხო სახეს. აქედან გამომდინარე, კლიენტი აცნობიერებს და თანხმობას აცხადებს, რომ ასეთი საფრთხის შემცველი სახით ინფორმაციის გადაცემა დაკავშირებულია უსაფრთხოების რისკებთან, მათ შორის მესამე პირების სავარაუდო შეღწევის რისკთან ან/და ინფორმაციის არაავტორიზებულ ცვლილებასთან ან/და ნებისმიერი სახით არაავტორიზებულ გამოყენებასთან.

18.1.3.8. კლიენტი აცნობიერებს იმ რისკებს რომლებიც დაკავშირებულია ელექტრონული საშუალებებით ინფორმაციის გაცვლასთან და შესაბამისად პასუხისმგებელია ნებისმიერ იმ დანაკარგზე რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი მესამე პირ(ებ)ის მიერ ამ ინფორმაციის გამოყენებით.

18.1.3.9. კლიენტი სრულად აცნობიერებს, რომ დაუცველი კომუნიკაცია არ არის კონფიდენციალური და ასეთი სახით დავალების მიცემისას, მისი შინაარსი და დავალებასთან დაკავშირებული/მიბმული დოკუმენტები შესაძლებელია მესამე პირების მიერ იქნას წაკითხული და შეცვლილი შეუმჩნევლად.

18.1.3.10. ბანკი არ იძლევა გარანტიას, რომ დაუცველი ელექტრონული ფოსტა რომელიც მის მიერ ან მის მისამართზე არის გაგზავნილი მიღებულ იქნება მასში ჩარევის გარეშე ან დროულად ან რომ მიღებული იქნება რეალური ადრესატის მიერ. ასევე, ბანკი არ იძლევა გარანტიას, რომ ნებისმიერი ელექტრონული ფოსტა, რომელიც გამგზავნად მიუთითებს ბანკს, არის რეალურად ბანკის მიერ გამოგზავნილი. უსაფრთხოების მიზნებისთვის, ბანკი უფლებამოსილია წინასწარი გაფრთხილების გარეშე უარი განაცხადოს ელექტრონული ფოსტის მიღებაზე ან დამუშავებაზე ან აღნიშნული ელექტრონული ფოსტის მიღებისა და დამუშავებისთვის განსაზღვროს დამატებითი პირობები და მოთხოვნები.

18.1.4. **ოპერაციები და დისტანციური საბანკო მომსახურების გაუქმება/ცვლილება:**

18.1.4.1. დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ის საშუალებით სამუშაო დღის განმავლობაში მიღებულ დავალებებს, ბანკი შეასრულებს კანონმდებლობით დადგენილ ან/და ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადებში. ბანკს უფლება აქვს შეასრულოს კლიენტის დავალება მისი დამუშავებასთან დაკავშირებული დროის გათვალისწინებით. ამასთან, ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი რაიმე ზარალზე, ზიანზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ ხარჯებზე, რომელიც კლიენტმა მიიღო ტექნიკური საშუალებების ან მესამე პირების მიერ მომსახურების შეფერხების შედგად აღნიშნული ვადის დარღვევაზე.

18.1.4.2. კლიენტი პასუხისმგებელია დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ით განხორციელებულ ყველა ოპერაციაზე და ასეთი მომსახურების გამოყენების შედეგად წარმოშობილი ნებისმიერი დავალიანების გადახდაზე. კლიენტის მიერ დავალების დისტანციური საბანკო მომსახურების არხის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია ცალხმრივად უარი თქვას ინდივიდუალური დავალების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული დავალების შესასრულებლად ან მიღებული დავალების ოდენობა აჭარბებს ბანკის მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს. ბანკს შეუძლია, საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ, მიიღოს ნებისმიერი სახის ოპერაციის ან დავალების გაუქმების მოთხოვნა კლიენტისგან იმის გათვალისწინებით, რომ ბანკს ჯერ არ დაუწყია აღნიშნული ოპერაციის ან დავალების განხორციელება. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი დაგვიანებულ გადასახადზე ან ხარჯზე (პირდაპირი თუ არაპირდაპირი), რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას ამგვარი გაუქმებით.

18.1.4.3. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკს ნებისმიერ დროს აქვს უფლება დააწესოს შეზღუდვა მის მიერ მომსახურების გაწევაზე ან კლიენტის მიერ დისტანციური საბანკო მომსახურებ(ებ)ის გამოყენებაზე უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე.

18.1.4.4. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის აქტიურ ოპერაციებზე ცალმხრივად დააწესოს შეზღუდვები.

18.1.4.5. ბანკი უფლებამოსილია შეაჩეროს, გამოითხოვოს ან შეზღუდოს დისტანციური საბანკო მომსახურება მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ შემთხვევაში თუ:

18.1.4.5.1. ბანკს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ კლიენტის წვდომის კოდები არ არის უსაფრთხოდ შენახული ან არის გატეხილი მესამე პირის მიერ;

18.1.4.5.2. ბანკს აქვს საფუძვლიანი ეჭვი კლიენტის წვდომის კოდების არაავტორიზებულ ან/და თაღლითურ გამოყენებაზე;

18.1.4.5.3. ბანკს მიაჩნია საჭიროდ კლიენტის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

18.1.4.5.4. კლიენტი უფლებამოსილია დაბლოკოს დისტანციური საბანკო მომსახურება ბანკის მიერ განსაზღვრული არხებით ბანკისთვის შეტყობინების გაგზავნის გზით. კლიენტის მიერ შეტყობინება გაგზავნილად ითვლება, ბანკის მიერ მისი მიღების შემდეგ.

18.1.5. **მომსახურების მიღება და პასუხისმგებლობის შეზღუდვა:**

18.1.5.1. ბანკი ყველა ღონეს იხმარს რათა უზრუნველყოს მომსახურების განხორციელება, მაგრამ მიუხედავად ამისა, იგი არ იქნება პასუხისმგებელი მომსახურების განუხორციელებლობაზე, მთლიანად ან ნაწილობრივ, იმ მიზეზით რომელიც მის კონტროლის ფარგლებს მიღმაა, მათ შორის მომსახურების განხორციელების ნებისმიერი სახით შეჩერება, რომელიც გამოწვეულია ბანკის ან წინამდებარე პირობებით გათვალისწინებული მომსახურების მიმწოდებელი ნებისმიერი მესამე პირის სისტემის განახლებით ან სისტემის ფუნქციონირების

18.1.5.2. თვის აუცილებელი ღონისძიებების ჩატარებით.

18.1.5.3. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, ასევე კლიენტის ნებისმიერ პირდაპირ და არაპირდაპირ ხარჯზე, რომელიც კლიენტს მიადგა ნებისმიერი მესამე პირის მიერ მომსახურების განხორციელების შეფერხებით ან ტექნიკური გაუმართაობით.

18.1.5.4. ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე რომელიც ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გამოწვეულია ტექნიკური დეფექტით, ელექტრონული გადაცემის ხარვეზით, ბანკის ელექტრონულ სისტემებში, და სხვა ელექტრონულ საშუალებებში უკანონო შეღწევის გზით. ამასთანავე, ბანკი არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერ დანაკარგსა ან ზიანზე, რომელიც გამოწვეული იქნა სერვისში შეფერხებით ან/და სერვისის გადატვირთვით რომელიც გავლენას ახდენს ელექტრონული სისტემების ფუნქციონირებაზე.

18.1.5.5. ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ იქნება პასუხისმგებელი ბანკის მიერ კლიენტისთვის გაგზავნილი ელექტრონული ფოსტის მიუღებლობაზე, რომელიც გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის სერვერის პრობლემით, ცუდი/ნელი კავშირით ან/და სხვა მიზეზით რომელიც გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის ან/და ელექტრონული ფოსტის სერვერის ან/და კლიენტის მიერ.

18.1.5.6. ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი არასათანადო ინტერნეტ კავშირის გამო დისტანციური საბანკო მომსახურების არხ(ებ)ით სარგებლობის შეფერხებაზე ან/და შეუძლებლობაზე, მათ შორის, იმ შემთხვევაშიც,

18.1.5.7. თუ აღნიშნული გამოწვეულია ინტერნეტ სერვის პროვაიდერის პრობლემით.

18.1.5.8. ბანკი არ არის პასუხისმგებელი შედეგებზე, რომლებიც გამოწვეულია კლიენტის ან სხვა პირის კუთვნილი კომპიუტერის, ქსელის ან პროგრამული უზრუნველყოფის გაუმართაობით, ასევე აღნიშნული საშუალებების გამოყენებით მესამე პირის მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მიღებით ან განხორციელებული ოპერაციებით.

18.1.5.9. ბანკი არ აგებს პასუხს მობილურ სატელეფონო მომსახურებაზე და კლიენტისთვის ამგვარი მომსახურების მიწოდებაზე პასუხისმგებელი იქნება მხოლოდ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელი. ბანკი ასევე არ არის პასუხისმგებელი კლიენტსა და აღნიშნულ მობილური სატელეფონო მომსახურების მომწოდებელს შორის წარმოშობილ სადავო სიტუაციაზე.

18.1.5.10. არანაირ პირობებში, რაც აგრეთვე მოიცავს დაუდევარ მიდგომას, ბანკი ან მისი ნებისმიერი ქვედანაყოფი, რომელიც ჩართულია შექმნაში, წარმოებასა და კლიენტის ანგარიშების ამონაწერების მართვაში არ იქნება ვალდებული პირდაპირ, არაპირდაპირ, შემთხვევით, განსაკუთრებულ ან შედეგობრივ ზარალზე, რომელიც შესაძლოა მიადგეს კლიენტს დისტანციური საბანკო მომსახურების არხების გამოყენებით ან გამოუყენებლობით ან ნებისმიერ გარანტიის პირდაპირი ან არაპირდაპირი დარღვევით. კლიენტის მიერ ნებისმიერი ინფორმაციის გამოყენება ან შენახვა, რაც ყოველგვარი

18.1.5.11. შეზღუდვის გარეშე მოიცავს წვდომის კოდ(ებ)ს, ანგარიშის შესახებ ინფორმაციას, ანგარიშებზე ჩატარებული ოპერაციების ისტორიას, ანგარიშის ბალანს და ნებისმიერ სხვა ინფორმაციას კლიენტის ანგარიშის შესახებ წარმოდგენს კლიენტის პასუხისმგებლობას და ვალდებულებას.

18.1.5.12. კლიენტი აცხადებს, რომ დაიცავს ბანკს ნებისმიერი და ყველა პასუხისმგებლობისგან, რომელიც შესაძლებელია წარმოიშვას მისი არასწორი გამოყენებით და აცხადებს, რომ ბანკი არ იქნება პასუხისმგებელი ამ შემთხვევაში ასეთ არასწორ გამოყენებაზე. კლიენტი ასევე აცხადებს, რომ დაიცავს ბანკს ყოველგვარი დანაკარგისგან, ხარჯისგან, ზარალისგან, რომელიც შესაძლებელია გამოწვეულ იქნას

კლიენტისთვის მომსახურების შეფერხებით ან/და შეცდომით. კლიენტი აცხადებს, რომ ბანკის მიერ ზემოთაღნიშნული შეფერხება ან/და მისი ბოროტად გამოყენება არ განიხილება ბანკის მიერ კონფიდენციალურობის დარღვევად.

18.2. **ციფრული ბანკი/Silk App**

18.2.1. ფიზიკური პირების ციფრული ბანკით მომსახურება გულისხმობს ბანკში გამოუცხადებლად კლიენტის მიერ ბანკის ინტერნეტ გვერდის ან/და შესაბამისი მობილური აპლიკაციის საშუალებით სხვადასხვა ინფორმაციის მიღებას, კლიენტის ანგარიშზე საბანკო ოპერაციების განხორციელებას ან/და ამ არხისთვის ნებადართული სხვა ქმედების განხორციელებას.

18.2.2. ციფრული ბანკით მომსახურებით სარგებლობისათვის კლიენტის მიერ უნდა დარეგისტრირდეს ციფრული ბანკის მომხმარებელი ბანკის მიერ დადგენილი წესების, პირობებისა და პროცედურების შესაბამისად.

18.2.3. კლიენტის მიერ ციფრული ბანკის მომსახურების გამოსაყენებლად კლიენტმა უნდა გაიაროს ავტორიზაცია კლიენტის მიერ სათანადო წესითა და პირობებით რეგისტრირებული წვდომის კოდების ან/და ბანკში არსებული პროცედურების დაცვით გადაცემული უნიკალური იდენტიფიკატორების/წვდომის კოდების ან/და ელექტრონული საშუალებების/მოწყობილობების მეშვეობით.

18.2.4. ციფრულ ბანკზე წვდომისთვის აუცილებელია ბანკში დადგენილი წესით ვერიფიცირებული ნომრის არსებობა. ბანკი უფლებამოსილი შეუჩეროს კლიენტს ციფრული ბანკით სარგებლობის ან/და ციფრულ ბანკში კონკრეტული ქმედედების განხორციელების შესაძლებლობა, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს ბანკში არ გააჩნია ვერიფიცირებული ნომერი ან/და კლიენტის ტელეფონის ნომერს ნებისმიერი მიზეზით შეუწყდება ვერიფიცირებული სტატუსი.

18.2.5. ციფრული ბანკით მობილური აპლიკაციის მეშვეობით სარგებლობის მიზნით, კლიენტს ბანკში დადგენილი წესით გააქტიურებული უნდა ჰქონდეს ციფრული ბანკის მომხმარებელი და გააჩნდეს სათანადო ოპერაციულ სისტემაზე (Android, IOS ან/და შემდგომში ბანკის მიერ განსაზღვრული სხვა ოპერაციული სისტემა) მომუშავე მობილური ტელეფონი (შემდგომში "ტელეფონი"). აპლიკაცია ხელმისაწვდომია ოპერაციული სისტემების ინტერნეტ მაღაზიებში - Google Play, App Store და ა.შ.) ტელეფონზე ჩატვირთვის და მისი ინსტალაციის შემდგომ. ამასთან, შესაძლოა კლიენტის შესაბამის

18.2.6. ოწყობილობას არ ჰქონდეს იმ ოპერატიული სისტემის მხარდაჭერა, რომელზეც მორგებულია ბანკის შესაბამისი მობილური აპლიკაცია. ბანკი არ იქნება პასუხიმგებელი აღნიშნული მიზეზით კლიენტის მიერ ბანკის მობილური აპლილაციით შეფერხებით სარგებლობაზე ან/და სარგებლობის შეზუძლებლობაზე.

18.2.7. ბანკი უფლებამოსილია შეასრულოს კლიენტის მიერ ციფრული ბანკის საშუალებით გაგზავნილი დავალება. ასეთი სახით გაგზავნილი დავალება ბანკის მიერ ჩაითვლება უფლებამოსილი პირის მიერ გაგზავნილად. კლიენტის მიერ დავალების ციფრული ბანკის საშუალებით გაგზავნის შემთხვევაში ცალხმრივად უარი თქვას ინდივიდუალური დავალების შესრულებაზე, იმ შემთხვევაში თუ ანგარიშზე არსებული ნაშთი არ არის საკმარისი აღნიშნული დავალების შესასრულებლად ან მიღებული დავალების ოდენობა აჭარბებს ბანკის მიერ დადგენილ ყოველდღიურ ლიმიტს.

18.2.8. კლიენტი უფლებამოსილია ციფრული ბანკის მეშვეობით სხვა პირის ბანკში გახსნილ ანგარიშზე თანხის გადარიცხვა განახორციელოს მიმღების მობილური ტელეფონის ნომრის ან პირადი ნომრის საშუალებით. ბანკი მობილური ტელეფონის ნომრის საფუძველზე პირის იდენტიფიკაციას ახორციელებს ბანკში დაფიქსირებული მობილური ტელეფონის ნომრის შესაბამისად, ამასთან, ბანკი უფლებამოსილია მობილური ტელეფონის ნომრის საშუალებით თანხის გადარიცხვის სერვისი ხელმისაწვომი გახადოს მხოლოდ კლიენტის ვერიფიცირებულ ნომერზე. ბანკს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა მიმღების მონაცემების ნებისმიერი მიზეზით არაზუსტად წარმოდგენის გამო, მათ შორის, იმ შემთხვევაში, თუ მიმღებმა შეიცვალა ბანკში დაფიქსირებული ტელეფონის ნომერი და აღნიშნულის შესახებ არ

შეუტყობინებია ბანკისთვის. კლიენტი ვალდებულია დეტალურად შეამოწმოს ტრანზაქციის დეტალები (მათ შორის, მიმღების ინიციალები, ანგარიშის ნომერი, ან/და პირადი ნომრის/მობილური ტელეფონის ნომრის შეყვანის შედეგად ხელმისაწვდომი სხვა ინფორმაცია) და გადარიცხვა დაადასტუროს მხოლოდ მათ სისწორეში დარწმუნების შემდეგ. კლიენტის მიერ მითითებული პარამეტრების შესაბამისად თანხის გადარიცხვის გამო დამდგარ ნებისმიერ შედეგზე პასუხისმგებელია კლიენტი. აღნიშნული სერვისით სარგებლობის ტარიფები და ლიმიტები მოცემულია პირობების შესაბამის დანართში.

18.2.9. კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ ის ტრანზაქცია ან ისარგებლოს იმ მომსახურებით, რომელიც განსაზღვრულია ბანკის მიერ და რომელიც ბანკის მიერ შესაძლებელია დრო და დრო შეიცვალოს ცალმხრივად.

18.2.10. კლიენტი აცნობიერებს და თანხმდება, რომ ბანკს ნებისმიერ დროს აქვს უფლება განათავსოს სავალდებულო ძალის მქონე წერილობითი განცხადება (დისქლეიმერი) ელექტრონული სახით ინფორმაციის განთავსების და მიწოდების ადგილას.

18.2.11. თუ კლიენტი ბანკის მიერ განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში არ ისარგებლებს ციფრული ბანკით და არ გაივლის აუთენტიფიკაციას, ბანკი უფლებამოსილი იქნება შეაჩეროს კლიენტის ციფრული ბანკით მომსახურება. მომსახურების აღდგენა განხორციელდება ბანკის მიერ დადგენილი წესით.

18.3. სმს ბანკი

18.3.1. ბანკი კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ მობილური ტელეფონის ნომერზე მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით აცნობებს კლიენტს ინფორმაციას მის მიერ განხორციელებული ოპერაციის შესახებ. აღნიშნული შეტყობინება განხორციელდება ბანკში დადგენილი ფორმით ოპერაციის შესრულებისთანავე;

18.3.2. სმს ბანკი ავტომატურად აქტიურდება კლიენტის ყველა არსებულ ან/და სამომავლო ანგარიშზე, თუ კლიენტის მიერ შევსებული განცხადებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18.3.3. კლიენტის სურვილის შემთხვევაში სმს ბანკის აქტივაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც კონკრეტულ ანგარიშზე, ასევე კონკრეტულ საბანკო ოპერაციაზე.

18.3.4. სმს ბანკის მომსახურებით სარგებლობასთან დაკავშირებით კლიენტთან კომუნიკაციისას ბანკი უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს ვერიფიცირებული ნომრით.

18.3.5. კლიენტი ვალდებულია სმს ბანკის მომსახურებით სარგებლობისათვის ბანკს გადაუხადოს ბანკის მიერ დადგენილი საკომისიო;

18.3.6. ბანკი არ არის პასუხისმგებელი დაგვიანებულ, არაკორექტულ ან შეუსრულებელ შეტყობინებებზე, რომლებიც გამოწვეულია ბანკისგან დამოუკიდებელი, მათ შორის, ტექნიკური, მიზეზების გამო;

18.3.7. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის მიერბანკშიდაფიქსირებული ნომრის (მათ შორის, ვერიფიცირებული ნომრის) შეცვლის, გასხვისების, მობილური ტელეფონის ან სიმ-ბარათის დაკარგვის, სხვისთვის გადაცემის და ნებისმირი მსგავსი ვითარების შედეგად კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებით გამოწვეულ შედეგებზე.

18.3.8. ბანკი უფლებამოსილია საბანკო მომსახურების უსაფრთხოების ხელშეწყობის მიზნით, საკუთარი ინიციატივით გაუაქტიუროს კლიენტს სმს ბანკი უფასოდ მომსახურების პირობით. ამავდროულად, ბანკს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გაუთიშოს კლიენტს საკუთარი ინიციატივით გააქტიურებული სმს ბანკი.

18.4. ციფრული ბანკით განხორციელებული საბარათე გადარიცხვები

18.4.1. საბარათე გადარიცხვები კლიენტს შესაძლებლობას აძლევს ციფრული ბანკის საშუალებით დააინიციროს საბარათე გადარიცხვა ან/და მიიღოს თანხა საბანკო ბარათზე. საბარათე გადარიცხვის განსახორციელებლად კლიენტი იყენებს ბარათის 16 ნიშნა ნომერს, და ბარათზე დატანილ სხვა მონაცემებს საბარათე გადარიცხვის სახის შესაბამისად.

18.4.2. საბარათე გადარიცხვა შესაძლებელია დაინიციირდეს როგორც კლიენტის საბანკო ბარათზე აგრეთვე, მესამე პირის საბანკო ბარათზე.

18.4.3. კლიენტს უფლება აქვს საბარათე გადარიცხვების განხორციელებისას მიმღებად მიუთითოს ნებისმიერი საბანკო ბარათი (როგორც საკუთარ სახელზე არსებული, ასევე სხვა მესამე პირის საბანკო ბარათი), რომელიც ემიტირებულია საქართველოში არსებული ნებისმიერი ბანკის მიერ. უცხოურ ბარათებზე აღნიშნული სერვისით სარგებლობა არ არის დაშვებული.

18.4.4. ბანკის ციფრული ბანკის საშუალებით, ბანკის ბარათ(ებ)ის გარდა, მოხმარებელს შესაძლებლობა აქვს თანხა გადარიცხოს სხვა საკუთარი საბანკო ბარათიდანაც, რომელიც ემიტირებულია საქართველოში არსებული ნებისმიერი ბანკის მიერ.

18.4.5. საბარათე გადარიცხვები დაშვებულია ეროვნულ ვალუტაში.

18.4.6. საბარათე გადარიცხვებისთვის დადგენილი ლიმიტები და საკომისიო განისაზღვრება შესაბამისი დანართის მიხედვით.

19. ელექტრონული საფულით მომსახურება

19.1. ელექტრონული საფულით სარგებლობის ზოგადი პირობები

19.1.1. კლიენტი უფლებამოსილია მოწყობილობის გამოყენებით ტრანზაქციების შესრულების მიზნით ბარათი დაამატოს Google Pay ან/და Apple Pay ელექტრონულ საფულეში;

19.1.2. მოწყობილობაში ბარათის დამატების შემდეგ, კლიენტს შესაძლებლობა ექნება ტრანზაქციის განხორციელებაზე თანხმობა გამოხატოს მოწყობილობის მეშვეობით, ფიზიკური ბარათის გამოყენების გარეშე.

19.1.3. მოწყობილობაში ბარათის ჩართვამდე/დამატებამდე და ელექტრონული საფულით სარგებლობამდე კლიენტი ვალდებულია დაწვრილებით გაეცნოს წინამდებარე პირობებს და ელექტრონული საფულით სარგებლობის მთელი პერიოდის განმავლობაში უზრუნველყოს მისი შესრულება სრულად და ჯეროვნად.

19.1.4. ნებისმიერ შემთხვევაში მოწყობილობაში ან/და ელექტრონულ საფულეში ბარათის ან/და დამატებითი ბარათის ჩართვით/დამატებით კლიენტი და დამატებითი ბარათის მფლობელი აცხადებენ თანხმობას წინამდებარე პირობებზე.

19.1.5. ბარათის ან/და დამატებითი ბარათის მოწყობილობაში დამატებით კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ეთანხმება შესაბამისად Google Pay-ს ან/და Apple Pay-ს გამოყენების პირობებს.

19.1.6. Visa Electron, Maestro და Business ტიპის ბარათებისთვის ელექტრონული საფულის სერვისი არ არის ხელმისაწვდომი.

19.1.7. ელექტრონული საფულის გამართულ ფუნქციონირებას უზრუნველყოფს შესაბამისად Google ან/და Apple. ბანკის ჩართულობა შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამისი ელექტრონული საფულის მიმწოდებლისთვის ინფორმაციის მიწოდებით, იმისათვის, რათა ბანკის ბარათების მფლობელებმა სრულად ისარგებლონ ელექტრონული საფულის სერვისებით.

19.1.8. ბანკი არაა პასუხისმგებელი ელექტრონული საფულის ფუნქციონირებაზე ან/და ხელმისაწვდომობაზე ან/და მოწყობილობის მუშაობაზე თუ ეს არ არის დაკავშირებული ბანკის სისტემის გაუმართაობასთან.

19.1.9. თუ პირობების რომელიმე პუნქტით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, მოწყობილობაში დამატებული ბარათ(ებ)ის მიმართ ვრცელდება წინამდებარე პირობებით ფიზიკური ბარათისთვის დადგენილი ყველა მოთხოვნა/წესი.

19.2. **მონაცემთა შეგროვება ელექტრონული საფულით სარგებლობისას**

19.2.1. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს მოწყობილობასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეგროვება (მათ შორის გამოყენებული აპლიკაციის, მოწყობილობის, მოდელის, ოპერაციული სისტემის და ა.შ შესახებ) იმისათვის, რომ:

19.2.1.1. უზრუნველყოფილი იქნას ბარათის/დამატებითი ბარათის სათანადო გამოყენება;

19.2.1.2. თავიდან იქნას აცილებული პერსონალური ინფორმაციის მოპარვა/თაღლითობა;

19.2.1.3. უზრუნველყოფილ იქნას კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

19.2.1.4. უზრუნველყოფილ იქნას კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის ინფორმაციის მიწოდება სერვისებზე, რომელიც შეიძლება საინტერესო იყოს მათთვის;

19.2.2. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს ინფორმაციის (მათ შორის კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის პერსონალური/საკონტაქტო მონაცემების) გაცვლა Google-თან/Apple-თან იმისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნას:

19.2.2.1. ბანკის ბარათის/დამატებითი ბარათის ელექტრონულ საფულეში ჩართვა/დამატება;

19.2.2.2. კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება;

19.2.2.3. Google-ს ან/და Apple-ის მიერ ბანკის ბარათების/დამატებითი ბარათების გამოყენების სერვისის და ზოგადად ელექტრონული საფულის სერვისის გაუმჯობესება;

19.2.2.4. თაღლითობაში ან/და უსაფრთხოების დარღვევაში შემჩნეული პირების გამოვლენა;

19.2.3. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტისათვის/დამატებითი ბარათის მფლობელისათვის მიუღებელია მისი მონაცემების გამოყენება ზემოაღნიშნული წესით მან უარი უნდა განაცხადოს ელექტრონულ საფულეში ჩართვაზე/დამატებაზე.

19.2.4. წინამდებარე პირობები და ბანკის უსაფრთხოების და მონაცემთა დაცვის პოლიტიკები, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე www.silkbank.ge ასევე მოიცავს ბანკის მიერ კლიენტთან/დამატებითი ბარათის მფლობელთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების პირობებს. თავის მხრივ Google/Apple დამოუკიდებლად ადგენს ბარათის მფლობელის მონაცემების გამოყენების წესებს.

19.3. **მოწყობილობაში ბარათის დამატების პირობები**

19.3.1. კლიენტი უფლებამოსილია განახორციელოს მისი ბარათის, ხოლო თავის მხრივ დამატებითი ბარათის მფლობელი უფლებამოსილია განახორციელოს დამატებითი ბარათის ჩართვა/დამატება მის კუთვნილ მოწყობილობაში იმ პირობით, რომ:

19.3.1.1. კლიენტი ან/და დამატებითი ბარათის მფლობელი იდენტიფიცირებული იქნება ბანკის ან/და შესაბამისი ელექტრონული საფულის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული წესით;

19.3.1.2. შესაბამის ბარათზე ან საბარათე ანგარიშზე ბანკის მიერ არ იქნება განსაზღვრული პირობები, რომელიც ზღუდავს ბარათის მოწყობილობაში დამატების შესაძლებლობას.

19.3.2. ელექტრონულ საფულეში ბარათის/დამატებითი ბარათის ჩართვა ან/და ჩართული ბარათის/დამატებითი ბარათის ელექტრონული საფულიდან წაშლა შესაძლებელია განხორციელდეს კლიენტის ან შესაბამისი დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ შესაბამისი ელექტრონული საფულის მიმწოდებლის მიერ განსაზღვრული წესებით, წინამდებარე პირობების გათვალისწინებით.

19.3.3. ელექტრონული საფულის სერვისით სარგებლობისთვის მოწყობილობაში ბარათის დამატებისას კლიენტს შესაძლოა მოეთხოვოს ვერიფიკაციის პროცესის გავლა. ვერიფიკაცია შესაძლებელია მოხდეს ერთჯერადი კოდით, რომელიც იგზავნება კლიენტის მიერ ბანკში დაფიქსირებულ საკონტაქტო ნომერზე ან სატელეფონო ცენტრის საშუალებით ბანკის მიერ დადგენილი იდენტიფიკაციის პროცესის შესაბამისად. ამასთანავე, კლიენტი ნებას რთავს ბანკს განახორციელოს კლიენტთან სატელეფონო ან/და სხვა სახის კომუნიკაცია კლიენტის ვერიფიკაციის მიზნით ან/და დაუსრულებელი ვერიფიკაციის შეხსენების თაობაზე.

19.3.4. მას შემდეგ რაც კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი განახორციელებს ელექტრონულ საფულეში ბარათის/დამატებითი ბარათის დამატებას/ჩართვას იგი უფლებამოსილი იქნება ელექტრონული საფულის საშუალებით განახორციელოს ავტორიზებული ტრანზაქციები მისი ბარათის გამოყენებით. ელექტრონულ საფულეში ჩართული ბარათით/დამატებითი ბარათით გადახდების განხორციელება შესაძლებელია: ა) მოწყობილობის საშუალებით უკონტაქტო გადახდის ტერმინალებზე განთავსებით ან აპლიკაციების და ვებგვერდების საშუალებით სადაც გამოსახულია შესაბამისად, Google Pay-ს ან/და Apple Pay-ს ნიშანი. შესაბამისი ელექტრონული საფულის მიმწოდებლისა და ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, კლიენტს შესაძლოა მოეთხოვოს ელექტრონული საფულის საშუალებით ბარათით ანგარიშსწორების პროცესის შესრულებამდე მოახდინოს აუთენტიფიკაცია შესაბამისი ელექტრონული საფულის მიმწოდებლის წესების შესაბამისად.

19.3.5. ელექტრონულ საფულეში შესაძლებელია რამდენიმე ბარათის დამატება, ასევე ერთი ბარათის რამდენიმე მოწყობილობაში დამატება, ამასთან ბარათების რაოდენობაზე შესაძლოა მოქმედებდეს შეზღუდვა, რომლის შესახებაც ინფორმაცია ხელმისაწვდომია სატელეფონო სერვის ცენტრში ნომერზე: +995 32 2 242 242 დარეკვით ან ბანკის ნებისმიერ ფილიალში ვიზიტით.

19.3.6. ელექტრონული საფულის სერვისის სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელების მიზნით ბანკი უფლებამოსილია კლიენტს შესთავაზოს აქცია(ები)/ბენეფიტ(ებ)ი, საკუთარი შეხედულებისამებრ.

19.3.7. ელექტრონული საფულის სერვისით სარგებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია და სარგებლობის ინსტრუქცია მოცემულია ბანკის ვებ გვერდზე www.silkbank.ge.

19.4. **უსაფრთხოება და პასუხისმგებლობა**

19.4.1. კლიენტისათვის ცნობილია რომ ნებისმიერი პირი, რომელსაც აქვს მოწყობილობაზე წვდომა ასევე შეძლებს განახორციელოს ელექტრონულ საფულეში დამატებული/ჩართული ბარათის/დამატებითი ბარათის გამოყენება.

19.4.2. ბარათის/დამატებითი ბარათის ელექტრონულ საფულეში ჩართვის/დამატების შემდგომ კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ:

19.4.2.1. მოწყობილობის გამოყენება შესაძლებელი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელის მიერ;

19.4.2.2. მოწყობილობაზე წვდომისთვის გამოიყენოს აუთენტიფიკაციის მეთოდები;

19.4.2.3. ელექტორნული საფულე ხელმისაწვდომი იყოს მხოლოდ ბარათის მფლობელისთვის;

19.4.2.4. მოწყობილობის პასკოდი შენახული იყოს იმავე უსაფრთოხების სტანდარტებით და წესებით, როგორც წვდომის კოდები, მათ შორის:

19.4.2.5. არ გაუზიაროს ის მესამე პირს;

19.4.2.6. არ განახორციელოს მისი იმგვარი შენახვა, რომ რაიმე ფორმით ხელმისაწვდომი იყოს მესამე პირისათვის;

19.4.2.7. არ გამოიყენოს ადვილად მიხვედრადი ან გამოთვლადი პასკოდი მაგ. კლიენიტს სახელი, დაბადების თარიღი და ა.შ

19.4.2.8. პასკოდის შენახვისას არ იმოქმედოს გაუფრთხილებლად/დაუდევრად.

19.4.2.9. დაცული იქნას მოწყობილობის უსაფრთხოება, მათ შორის არ დატოვოს მოწყობილობა უყურადღებოდ მესამე პირებისთვის ხელმისაწვდომ ადგილას/მდგომარეობაში;

19.4.2.10. არ დატოვოს მოწყობილობა დაუბლოკავ მდგომარეობაში;

19.4.2.11. განათავსოს მოწყობილობაზე ანტივირუსის ბოლო ვერსია;

19.4.2.12. არ გადასცეს მოწყობილობა მესამე პირებს ან/და არ გახადოს მათთვის სხვა ფორმით ხელმისაწვდომი;

19.4.2.13. მოწყობილობის მესამე პირის მუდმივ ან დროებით სარგებლობაში გადაცემამდე უზრუნველყოს ბარათის/დამატებითი ბარათის სისტემიდან წაშლა;

19.4.3. თუ კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი მოწყობილობის განსაბლოკად იყენებს მესამე პირის თითის ანაბეჭდს, სახის ამოცნობის სისტემას ან უზიარებს მესამე პირს მოწყობილობის პასკოდს, ან გადასცემს მოწყობილობას მესამე პირს აღნიშნული გულისხმობს შესაბამისი მესამე პირისათვის

ელექტრონულ საფულეში ჩართული ბარათის/დამატებითი ბარათის განკარგვის უფლებამოსილების მინიჭებას. აღნიშნული ასევე გულისხმობს რომ შესაბამისი მესამე პირის მიერ ინიცირებული ტრანზაქცია ჩაითვლება ავტორიზებულად და მის მიმართ არ იქნება გამოყენებული არაავტორიზებული ტრანზაქციისათვის განკუთვნილი წესები და პირობები. კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის ზემოაღნიშნულმა ქმედებამ შეიძლება მნიშვნელოვნად დააზარალოს საბარათე ანგარიშის მფლობელი.

19.4.4. თუ მესამე პირის თითის ანაბეჭდი და/ან სახის ამოცნობის სისტემა დარეგისტრირებულია კლიენტის/დამატებითი ბარათის მფლობელის მოწყობილობაზე დაუყოვნებლივ უნდა განხორციელდეს მისი წაშლა. თუ კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი თვლის რომ მესამე პირისათვის ცნობილია მოწყობილობის პასკოდი კლიენტმა/დამატებითი ბარათის მფლობელმა დაუყოვნებლივ უნდა უზრუნველყოს აღნიშნული პასკოდის შეცვლა. ნებისმიერ დროს კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი უფლებამოსილი არიან წაშალონ ბარათი ელექტრონული საფულიდან ან შეაჩერონ მისი მოქმედება. გასათვალისწინებელია რომ კლიენტი ვერ შეძლებს დამატებითი ბარათის ელექტრონული საფულიდან წაშლას/ელექტრონულ საფულეში მისი მოქმედების შეჩერებას, მაგრამ უფლებამოსილია მიმართოს ბანკს და მოითხოვოს დამატებითი ბარათის დაბლოკვა;

19.4.5. კლიენტი/დამატებითი ბარათის მფლობელი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ბანკს თუ:

19.4.5.1. მისი მოწყობილობა დაიკარგა ან მოპარეს;

19.4.5.2. მოწყობილობის მომსახურებაში განხორციელდა მოულოდნელი წყვეტა, რაც შეიძლება იყოს იმის მანიშნებელი რომ ადგილი აქვს მონაცემების პორტირებას;

19.4.5.3. ეჭვი აქვს რომ მოხდა მისი მოწყობილობის უკანონო გამოყენება ან ადგილი აქვს არაუფლებამოსილი პირის წვდომას ბარათის წვდომის კოდებზე;

19.4.6. მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ბანკი უზრუნველყოფს ბარათის/დამატებითი ბარათის გამოყენების შეჩერებას და თავის მხრივ აღნიშნული დაეხმარება კლიენტს/დამატებითი ბარათის მფლობელს დაიცვას თავი ანგარიშების არაავტორიზებული გამოყენებისაგან.

19.4.7. ანგარიშით მომსახურების პირობებში თითოეული მითითება ბარათის/დამატებითი ბარათის უსაფრთხოების დაცვაზე მოიცავს მითითებას ელექტრონული საფულის და მოწყობილობის უსაფრთხოების დაცვაზეც.

19.4.8. ანგარიშით მომსახურების პირობებში თითოეული მითითება წვდომის კოდებზე ასევე გულისხმობს მითითებას ელექტრონული საფულის აუთენტიფიკაციის მეთოდებზე.

19.4.9. ანგარიშით მომსახურების პირობებში თითეული მითითება დაკარგულ/მოპარულ ბარათებთან დაკავშირებით მოიცავს მითითებას მოწყობილობის დაკარგვაზე/მოპარვაზე.

19.5. ხარჯები და საფასური

19.5.1. ანგარიშიდან განხორციელებული ტრანზაქციების საფასურს და ხარჯებს განსაზღვრავს ანგარიშის მომსახურების პირობები. ბანკი არ აწესებს დამატებით საფასურს ბარათის ელექტრონულ საფულეში დამატებისა და ელექტრონული საფულის გამოყენებისათვის. ელექტრონული საფულის სერვისით სარგებლობისას კლიენტს შეიძლება დაეკისროს დამატებითი ხარჯები მობილური ოპერატორის ან სხვა მესამე მხარის მიერ რაზეც ბანკი არ არის პასუხისმგებელი.

19.6. ელექტრონული საფულით სარგებლობის შეჩერება ან შეწყვეტა

19.6.1. ბანკი უფლებამოსილია დაბლოკოს ელექტრონულ საფულეში ჩართული ბარათი/დამატებითი ბარათი, შეაჩეროს ელექტრონულ საფულეში ჩართული ბანკის მიერ ემიტირებული ბარათის/დამატებითი ბარათის მოქმედება ან/და შეწყვეტოს ელექტრონულ საფულეში ბარათის დამატების შესაძლებლობა თუ:

19.6.1.1. ბანკს აქვს გონივრული ეჭვი თაღლითობასთან დაკავშირებით;

19.6.1.2. შესაბამისი ბარათი/დამატებითი ბარათი დაიბლოკა, შეჩერდა ან/და გაუქმდა მისი მოქმედება;

19.6.1.3. დაირღვა შესაბამის ბარათთან დაკავშირებული ანგარიშით მომსახურების პირობები;
19.6.1.4. Google-ის, Apple-ის ან/და საერთაშორისო საგადახდო სქემის მოთხოვნის შემთხვევაში;
19.6.1.5. ბანკსა და Google-ს/Apple-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში;
19.6.1.6. კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

20. მუდმივი საგადახდო დავალება

20.1. კლიენტის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკს შესაძლებლობა ეძლევა, კლიენტის ანგარიშიდან უაქცეპტო წესით ჩამოჭრას და გადარიცხოს წინასწარ განსაზღვრული თანხები შესაბამის განაცხადში მითითებულ ანგარიშ(ებ)ზე წინასწარ განსაზღვრულ თარიღებში.
20.2. მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების ჩართვა კლიენტისათვის მოხდება მის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.
20.3. კლიენტის ამგვარი მუდმივი საგადახდო დავალების მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული მუდმივი საგადახდო დავალების განაცხადის ფორმაში;
20.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მუდმივი საგადახდო დავალების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო დოკუმენტებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის დოკუმენტის თანაბარი იურიდიული ძალა.
20.5. კლიენტი უფლებამოსილია:
20.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;
20.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.
20.6. ბანკი უფლებამოსილია:
20.6.1. არ შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;
20.6.2. არ შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;
20.6.3. კლიენტის ანგარიშზე თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას შეასრულოს მუდმივი საგადახდო დავალება კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, მუდმივი საგადახდო დავალების ოპერაცია შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მუდმივი საგადახდო დავალება გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებე
20.6.4. ია დასჭირდეს მიმღებ საფინანსო დაწესებულებას გადარიცხული თანხის მიმღების/ბენეფიციარის ანგარიშზე ასახვისათვის;
20.6.5. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები;
20.6.6. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;
20.7. კლიენტი ვალდებულია:
20.7.1. ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს მუდმივი საგადახდო დავალების შესასრულებლად საკმარისი ნაშთი;
20.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად

21. ავტომატური გადახდები

21.1. ახალი ავტომატური გადახდებით მომსახურება გულისხმობს კლიენტის ანგარიშიდან მომსახურების საფასურის გადარიცხვას კლიენტის შემდგომი თანხმობის გარეშე, ავტომატური გადახდების შესახებ კლიენტის განაცხადში მითითებული ინფორმაციისა და კლიენტის დავალიანების შემოწმების საფუძველზე.

21.2. ავტომატური გადახდების მომსახურების ჩართვა კლიენტისათვის მოხდება მის მიერ განაცხადის შევსების შემდეგ, ამავე განაცხადში მითითებული პარამეტრების შესაბამისად.

21.3. კლიენტის ამგვარი ავტომატური გადახდებით მომსახურების განხორციელება დამოკიდებულია იმაზე, არსებობს თუ არა საკმარისი თანხები კლიენტის ანგარიშ(ებ)ზე, რომლებიც მითითებულია შევსებული ავტომატური გადახდების განაცხადის ფორმაში;

21.4. მხარეები თანხმდებიან, რომ ავტომატური გადახდების შესასრულებლად ბანკის მიერ შექმნილ ელექტრონულ საგადახდო საბუთებს აქვთ ქაღალდზე დაბეჭდილი და ანგარიშის განკარგვის უფლებამოსილების მქონე პირის მიერ ხელმოწერით დადასტურებული ქაღალდის საბუთის თანაბარი იურიდიული ძალა.

21.5. კლიენტი უფლებამოსილია:

21.5.1. შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები სერვისზე რეგისტრაციის თავდაპირველ განაცხადში დაფიქსირებულ მონაცემებში;

21.5.2. უარი განაცხადოს სერვისით სარგებლობაზე.

21.5.3. განსაზღვროს ავტომატური გადახდის პერიოდულობა და სურვილის შემთხვევაში დააწესოს გადასახდელი თანხის მაქსიმალური ლიმიტი.

21.6. ბანკი უფლებამოსილია:

21.6.1. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა კლიენტის ანგარიშზე არასაკმარისი თანხის არსებობისას;

21.6.2. კლიენტის ანგარიშზე თანხის არსებობისას/ხელმისაწვდომობისას განახორციელოს ავტომატური გადახდა კლიენტის მიერ განაცხადში მითითებულ კალენდარულ თარიღში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თარიღი ემთხვევა კანონმდებლობით დადგენილ არასამუშაო დღეს - ასეთ შემთხვევაში, ავტომატური გადახდის ოპერაცია შესრულდება მომდევნო სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ავტომატური გადახდა გულისხმობს თანხის გადარიცხვას სხვა საფინანსო დაწესებულებაში, ბანკი არ არის პასუხისმგებელი იმ ვადაზე, რომელიც შესაძლებელია დასჭირდეს მიმღებ

21.6.3. საფინანსო დაწესებულებას გადარიცხული თანხის მიმღების/ბენეფიციარის ანგარიშზე ასახვისათვის.

21.6.4. არ განახორციელოს ავტომატური გადახდა კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, ასევე ბანკის წინაშე კლიენტის დავალიანების არსებობისას;

21.6.5. განსაზღვროს გადარიცხვის პრიორიტეტები.

21.7. კლიენტი ვალდებულია:

21.7.1. ანგარიშზე ყოველთვის იქონიოს ავტომატური გადახდისათვის საკმარისი ნაშთი;

21.7.2. გადაიხადოს მომსახურების საფასური გადარიცხვის მომენტისათვის ბანკში მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

22. წამახალისებელი პროგრამები ან/და აქციები

22.1. ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, შესთავაზოს კლიენტს ბანკის წამახალისებელ პროგრამებში, ან/და აქციებში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მონაწილეობის მიღება, რომლის ფარგლებშიც კლიენტს მიეცემა საშუალება საბანკო მომსახურებით სარგებლობის პროცესში, მიიღოს ბანკის მიერ განსაზღვრული სხვადასხვა სახის შეღავათი.

22.2. კლიენტი თანახმაა და ადასტურებს ბანკის უფლებამოსილებას, რომ წამახალისებელ პროგრამაში ან/და აქციაში კლიენტის გამარჯვების შემთხვევაში, ბანკის შეხედულებისამებრ, მოხდეს ამ ინფორმაციის და

კლიენტის პერსონალური მონაცემების (მაგალითად ფოტოსურათი, ვიდეოჩანაწერი) გასაჯაროება სხვადასხვა არხის, მათ შორის სოციალური მედიის საშუალებით, თუ კლიენტი წინასწარ წერილობით არ განაცხადებს აღნიშნულზე უარს.

23. ლოიალობის/წამახალისებელი პროგრამა

23.1. ***ლოიალობის პროგრამაში ჩართვა***

23.1.1. კლიენტი უფლებამოსილია წინამდებარე პირობებით და ბანკის მიერ დადგენილი წესების შესაბამისად, ჩაერთოს ბანკის ლოიალობის პროგრამაში და ისარგებლოს შესაბამისი ლოიალობის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული წახალისებით/შეღავათ(ებ)ით.

23.1.2. ლოიალობის პროგრამით სარგებლობისას კლიენტი ვალდებულია დაიცვას წინამდებარე პირობებით დადგენილი ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული წესები. წინამდებარე პირობებს და ლოიალობის პროგრამით სარგებლობის სხვა წესებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

23.1.3. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული წახალისების/შეღავათების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ვებ-გვერდზე - www.silkbank.ge, ბანკის აპლიკაციაში ან/და ბანკის მიერ ამ მიზნით შექმნილ სხვა პროგრამულ უზრუნველყოფაში/დოკუმენტში/სოციალურ მედიაში (შემდგომში ერთობლივად მოხსენიებულია, როგორც ლოიალობის პლატფორმა).

23.1.4. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში ხელმისაწვდომი ნებისმიერი შეთავაზების სარგებლობამდე კლიენტი ვალდებულია დეტალურად გაეცნოს შესაბამისი შეთავაზების პირობებს და სარგებლობის წესებს.

23.1.5. ლოიალობის პროგრამის ფარგლებში შეთავაზებული წახალისებით/შეღავათით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ მერჩანტ(ებ)ის სავაჭრომომსახურების ობიექტში (მათ შორის, ბანკის მიერ განსაზღვრულ შემთხვევებში, მერჩანტ(ებ)ის ვებ-გვერდზე) ბანკის ბარათით საბარათე ოპერაციის შესრულებისას.

23.1.6. ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ, განსაზღვროს ლოიალობის პროგრამაში კლიენტის ჩართვის სხვა პირობებიც, რომლის შესახებაც კლიენტს ეცნობება ბანკის მიერ განსაზღვრული ფორმით;

23.1.7. ბანკს არ დაეკისრება რაიმე სახის პასუხისმგებლობა კლიენტის მიერ მიღებულ ნებისმიერ ზიანზე (მათ შორის, მიუღებელ შემოსავალზე/სარგებელზე/შეღავათზე), იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ზედმიწევნით არ დაიცავს ბანკის მიერ ლოიალობის პროგრამით სარგებლობისთვის დადგენილ წესებს.

23.2. ***ქულების დაგროვების პროგრამა:***

23.2.1. ქულების დაგროვების პროგრამა წარმოადგენს ბანკის ლოიალობის პროგრამის ერთ-ერთ სახეს, რომლის ფარგლებშიც კლიენტი შეაგროვებს ლოიალობის ქულებს, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელია ბანკის მიერ შეთავაზებული სხვადასხვა სერვისების ან/და შეღავათების მისაღებად.

23.2.2. ქულების დაგროვების პროგრამაში ავტომატურად წევრიანდება ბანკის კლიენტი რომელიც ბანკში ფლობს აქტიურ საბანკო ანგარიშსა და ბარათს, რომლითაც შესაძლებელია გადახდების შესრულება და აღნიშნულ კლიენტს არ გააჩნია ბანკის წინაშე არსებული დავალიანება. (ქულების დაგროვების პროგრამა არ ვრცელდება Play Card ბარათზე. აღნიშნული (Play Card) ბარათის ლოიალობის პირობები და დაგროვების სქემები განისაზღვრება 27-ე მუხლის შესაბამისად);

23.2.3. კლიენტს ქულები ერიცხება მომენტალურად, შესაბამისი ოპერაციის დასრულებისთანავე.

23.2.4. კლიენტს ქულები ერიცხება მხოლოდ ლარში, დოლარში, ევროსა და გირვანქა სტერლინგში შესრულებულ გადახდებზე.

23.2.5. ***ქულების დაგროვება შესაძლებელია:***

23.2.5.1. საბარათე გადახდის ოპერაციების შესრულებით (არ იგულისხმება P2P ტრანზაქციები, თანხის გატანა ან/და სხვა სახის საბარათე ოპერაცია რაც შინაარსობრივად არ წარმოადგენს ნასყიდობის/მომსახურების საფასურის გადახდას საბანკო ბარათის მეშვეობით).

23.2.5.2. რეფერალური სისტემით, რაც გულისხმობს კლიენტის მიერ ბანკის მობაილ ბანკში (SilkApp-ში) ახალი კლიენტის მოწვევას (SilkApp-ის მეშვეობით მოწვეული კლიენტის მიერ ბანკში მიმდინარე ანგარიშის გახსნას);

23.2.6. ***ქულების დაგროვებისა და გამოყენების კალკულაცია:***

23.2.6.1. მომხმარებელს ქულების დაგროვების პროგრამის ფარლებში. 28.2.4 ქვეპუნქტით განსაზღვრული ოპერაციების შესრულებისას ქულების სახით ერიცხება გადახდილი თანხის 1% - 1 დახარჯულ ლარზე 1 ქულა, თუ გადახდა სრულდება Apple wallet ან/და Google wallet-ის მეშვეობით, ხოლო გადახდილი თანხის 0.5%- 1 დახარჯულ ლარზე 0.5 ქულა თუ გადახდა სრულდება პლასტიკური ბარათის მეშვეობით.

23.2.7. ***ქულებით სარგებლობა:***

23.2.7.1. კლიენტს აქვს შესაძლებლობა დაგროვილი ქულები გადაცვალოს თანხაში.

23.2.7.2. ქულების დახარჯვისას გაითვალისწინება, რომ 1 ქულა უდრის 0.01 ლარს (100 ქულა = 1 ლარს);

23.2.8. ***ქულების გაუქმება ან/და ქულების ჩამოჭრის ცალმხრივი უფლება***

23.2.8.1. ბანკს უფლება აქვს ცალმხრივად, კლიენტის წინასწარი თუ დამატებითი აქცეპტისა ან/და თანხმობის გარეშე ჩამოჭრას ქულები კლიენტის ქულების ანგარიშიდან ან/და ქულების ექვივალენტი ანგარიშზე არსებულ ვალუტაში ან/და გააუქმოს კლიენტის ანგარიშზე რიცხული ქულები ან/და არ განახორციელოს კლიენტისათვის ქულების დარიცხვა თუ:

23.2.8.1.1. ბანკმა შეცდომით ჩარიცხა ქულები კლიენტის ანგარიშზე;

23.2.8.1.2. კლიენტმა გაასაჩივრა ძირითადი ან/და დამატებითი ბარათით ჩატარებული გადახდის ოპერაცია, რომელის საფუძველზე მას დაერიცხა ქულები;

23.2.8.1.3. გადახდის ოპერაცია შესრულებულია დარღვევით, ეწინააღმდეგება ბანკის პოლიტიკებს, პროცედურებს ან/და გადახდის ოპერაციაში იკვეთება კლიენტის არაკეთილსინდისიერება, რაც მათ შორის გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც კლიენტი ლოიალობის პროგრამას იყენებს მისი არასტანდარტული დანისნულებთ, მათ შორის დამატებითი შემოსავლების მისაღებად ან/და ბანკის არაკლიენტი პირებისათვის დამატებითი სარგებლის მიღების მიზნებისათვის.

23.2.8.1.4. პროგრამის მონაწილემ ან/და დამატებითი ბარათის მფლობელმა დააბრუნა (უარი განაცხადა მიღებაზე) სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ბარათით შეძენილი ნივთი/მომსახურება;

23.2.8.1.5. გაუქმდა ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაცია, რისთვისაც პროგრამის მონაწილეს დაერიცხა ქულები;

23.2.8.1.6. კლიენტის ან/და დამატებითი ბარათის მფლობელის მიერ ბარათით შესრულებული გადახდის ოპერაცია, რისთვისაც კლიენტს დაერიცხა ქულები, არ ემსახურებოდა სავაჭრო/მომსახურების ობიექტ(ებ)ში ნივთის/მომსახურების შეძენას ან/და მიმართული იყო ნაღდი სახით მიღებული თანხის საბანკო ანგარიშზე შეტანის მიზნით ან/და შესრულებული იყო არაკეთილსინდისიერი ქმედებით ქულების მიღების/დაგროვების მიზნით;

23.2.8.1.7. კლიენტმა ქულები მიიღო არაკეთილსინდისიერი ქმედების, მათ შორის და არამარტო თაღლითური ქმედების შედეგად.

23.2.8.1.8. კლიენტმა ქულები მიიღო ბანკის ლოიალობის პროგრამის კანონმდებლობის ან/და წინამდებარე პირობებით განსაზღვრული მომსახურების ნებისმიერი პირობის დარღვევის შედეგად.

23.2.8.2. თუ კლიენტის ანგარიშზე არ აღმოჩნდება შესაბამისი რაოდენობის ქულები, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს ქვემოთ მითითებული ღონისძიებები, როგორც ერთდროულად, ასევე დამოუკიდებლად თითოეული, ან/და ბანკის მიერ განსაზღვრული რიგითობით:

23.2.8.2.1. კლიენტის ანგარიშზე დაუშვას უარყოფითი ბალანსი ქულების იმ ოდენობით, რა ოდენობითაც ვერ შესრულდა ქულების ჩამოჭრა. აღნიშნულ შემთხვევაში კლიენტის მიერ შემდგომი ქულების დაგროვებისას, დაგროვილი ქულები არ დაირიცხება კლიენტის ანგარიშზე უარყოფითი ბალანსის სრულად აღმოფხვრამდე/შევსებამდე.

23.2.8.2.2. საკუთარი შეხედულებისამებრ უაქცეპტოდ ჩამოწეროს კლიენტის ნებისმიერი ანგარიშიდან შესაბამისი ექვივალენტი ლარში, ხოლო ანგარიშ(ებ)ზე შესაბამისი თანხის არარსებობის შემთხვევაში პროგრამის მონაწილის ანგარიშზე დაუშვას ოვერდრაფტი შესაბამისი დავალიანების დასაფარად ბანკში დადგენილი პირობების შესაბამისად.

23.3. **ქეშბექი ტრანსპორტში გადახდისას**

23.3.1. ბანკის სადებეტო ბარათით ან/და „მერე“ ბარათით თბილისის, ქუთაისის, ბათუმისა და რუსთავის მუნიციპალუტ ტრანსპორტში, კერძოდ, ავტობუსის, მიკრო ავტობუსის, მეტროსა და ბაგები-უნივერსიტეტის საბაგიროთი მგზავრობის საფასურის გადახდის შემთხვევაში, მომხმარებელს გადახდილი თანხა სრულად ან ნაწილობრივ დაუბრუნდება ნაღდი ფულის სახით, შემდეგი პირობების გათვალისწინებით (შემდგომში - ტრანსპორტის ქეშებქი):

23.3.1.1. ტრანსპორტის ქეშბექი ვრცელდება ბანკის იმ კლიენტებზე, რომლებმაც 2026 წლის 01 ნოემბრიდან შეუკვეთეს მერე ბარათი, აღნიშნული მერე ბარათით გადახდების შესრულებისას. ასევე სადებეტო ბარათებით შესრულებულ გადახდებზე. თუ კლიენტი სარგებლობს PROMAX სატარიფო პაკეტით ან/და წარმოადგენს ბანკის payroll კლიენტს, რომელიც სარგებლობს SilkID სტატუსით.

23.3.1.2. „მერე“ ბარათით ან/და SilkID სტატუსის მქონე კლიენტების მიერ სადებეტო ბარათებით შესრულებული გადახდები სრულად დაბრუნდება ქეშბექის სახით, კლიენტის მიერ „მერე“ ბარათის შეკვეთიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, ხოლო მომდევნო კალენდარული თვიდან ქეშბექის დაბრუნება განხორციელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის მიერ წინა კალენდარული თვის განმავლობაში შესრულებული გადახდების ჯამური მოცულობა შეადგენს არანაკლებ 500 (ხუთასი) ლარს.

23.3.1.3. თუ მომხმარებელი სარგებლობს Promax სატარიფო პაკეტით, ქეშბექის დაბრუნება განხორციელდება სადებეტო ბარათებით შესრულებულ გადახდებზე მიუხედავად იმისა თუ რა ოდენობის ჯამური გადახდები შეასრულა მომხმარებელმა წინა თვის განმავლობაში. პაკეტის გაუქმების შემთხვევაში მომხმარებელს აღარ ექნება სესაძლებლობაისარგებლოს სატრანსპორტო ქეშბექით.

23.3.1.4. ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის წინა თვის ჯამურ გადახდებში გაითვალისწინება შემდეგი გადახდები - ა) მერე ბარათის შემთხვევაში - „მერე“ ბარათით შესრულებული გადახდები პარტნიორ ან/და არაპარტნიორ ობიექტებში ბ) მერჩანტებთან საქონლის/მომსახურების საფასურის გადახდები ონლაინ ან/და ფიზიკურად. წინა თვის ჯამურ გადახდებში არ გაითვალისწინება გადახდები როგორც „მერე“ ბარათით, ისე სადებეტო ბარათით სატრანსპორტო საშუალებებში, ბანკომატით განაღდება, P2P გადარიცხვები, გადახდები კომერციულ ბანკებთან ან/და საგადახდო მომსახურების პროვაიდერებთან, ონლაინ საფულეების ან/და საგადახო მომსახურების პროვაიდერების ანგარიშების შევსება.

23.3.1.5. თუ მომხმარებელი წარმოადგენს SilkID სტატუსის მქონე მომხმარებელს და წინა თვის განმავლობაში შესრულებული გადახდები არ შეადგენს 500 (ხუთასი) ლარს, აღნიშნულ მომხმარებლებს დაერიცხებათ 0.50 თეთი.

23.3.1.6. ქეშბექის დარიცხვა ხორციელდება იმავე ანგარიშზე რა ანგარიშიდანაც განხორციელდა გადახდა.

23.3.2. კეთილსინდისიერი გამოყენება (Fair Use).

2.3.2.1. სატრანსპორტო ქეშბექი განკუთვნილია ბარათის მფლობელის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტით პირადი სარგებლობისთვის. ბანკს უფლება აქვს, საკუთარი შეხედულებისამებრ და წინასწარი შეტყობინების გარეშე, უარი თქვას კონკრეტულ ტრანზაქციაზე ქეშბექის დარიცხვაზე, შეაჩეროს ან გამორიცხოს კლიენტი კამპანიიდან და დაიბრუნოს უკვე გაცემული ქეშბექი, თუ გონივრულად მიიჩნევს, რომ ხდება შეთავაზების ბოროტად გამოყენება.

2.3.2.2. შეთავაზების ბოროტად გამოყენება მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგი შემთხვევებით:
- სხვა მგზავრების საფასურის გადახდა;

- ერთი და იმავე ბარათით მოკლე დროის ინტერვალში განმეორებითი გადახდების განხორციელება;
- ბარათის ან ციფრული საფულის სხვა პირებისთვის გაზიარება;
- ისეთი ტრანზაქციების განხორციელება, რომლებიც არ გამოიყურება როგორც რეალური, პირადი მგზავრობის საფასურის გადახდა;
- შესყიდვების, თანხის დაბრუნების ან სხვა ტრანზაქციების განხორციელება ხარჯვის პირობის ხელოვნურად დასაკმაყოფილებლად;
- რამდენიმე ანგარიშის ან ბარათის ფლობა სარგებლის ერთზე მეტჯერ მიღების მიზნით.

2.3.2.3. ლიმიტები. ყოველ 15-წუთიან პერიოდში თითო ბარათზე მხოლოდ ერთი ქეშბექი გაიცემა. ბანკს უფლება აქვს, შეამოწმოს ანგარიშები, რომლებზეც მგზავრობების უჩვეულოდ მაღალი რაოდენობა ფიქსირდება.

2.3.2.4. ცვლილებები. ბანკს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს შეცვალოს კამპანიის პირობები ან შეწყვიტოს კამპანია საკუთარ ვებგვერდზე ან კომუნიკაციის მისთვის ჩვეულ არხებში შესაბამისი შეტყობინების განთავსების გზით. ცვლილებამდე გამომუშავებულ ქეშბექზე აღნიშნული ცვლილებები გავლენას არ მოახდენს, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამოვლინდება შეთავაზების ბოროტად გამოყენება.

3. ვალუტის გაცვლა

3.3. ბანკი კლიენტს გაუწევს ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული საინფორმაციო და საბროკერო, ასევე, ვალუტის გაცვლითი ოპერაციებით მომსახურებას. ვალუტის გაცვლით ოპერაციაში იგულისხმება კლიენტის ერთ-ერთ სავალუტო ანგარიშზე არსებული თანხების გაყიდვა მეორის სანაცვლოდ. ვალუტის გაცვლით ოპერაციას ბანკი შეასრულებს კლიენტის განაცხადის შესაბამისად, ბანკში დადგენილი კომერციული ან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე დაფიქსირებული კურსით.

3.4. ბანკი იღებს ვალდებულებას ჩაატაროს ვალუტის გაცვლითი ოპერაცია კლიენტის ანგარიშზე, ამგვარი ოპერაციის საწარმოებლად საჭირო თანხის არსებობის შემთხვევაში და ვალუტის გაცვლითი ოპერაციის შესრულებისთანავე ჩარიცხოს კლიენტის ანგარიშზე კლიენტის მიერ ნაყიდი თანხა განაცხადში მითითებულ ვალუტირების (კლიენტის ანგარიშებზე თანხების ჩამოწერისა და ჩარიცხვის) თარიღში.

3.5. ბანკი უფლებამოსილია კლიენტის მიერ ვალუტის გაცვლითი ოპერაციის წარმოების შესახებ განაცხადის მიღების მომენტიდან, ბლოკირება გაუკეთოს კლიენტის ანგარიშზე თანხებს, განაცხადში არსებული კლიენტის მიერ გასაყიდი თანხის ფარგლებში (ოპერაციის საზღაურის გათვალისწინებით) ოპერაციის დასრულებამდე (ანგარიშებზე შესაბამისი თანხების ჩამოჭრა/ჩარიცხვამდე ან ბანკის მიერ ოპერაციის შეუსრულებლობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე).

3.6. კლიენტი ვალდებულია ვალუტის გაცვლითი ოპერაციების ჩატარებისათვის დააკმაყოფილოს ბანკში დადგენილი ზოგადი წესები (განაცხადის წარდგენის ვადები, შევსების წესები და ა.შ.) და გადაიხადოს აღნიშნული ოპერაციებისათვის დადგენილი საკომისიო გადასახადი ასეთის არსებობის შემთხვევაში.

4. ფულადი გზავნილი

4.3. ახალი ფულადი გზავნილების მომსახურება კლიენტს საშუალებას აძლევს გააგზავნოს ან მიიღოს თანხა საქართველოში ან სხვა ნებისმიერ ქვეყანაში ბანკის ან ბანკის პარტნიორი საერთაშორისო ფულადი გზავნილების ოპერატორი-პარტნიორების კუთვნილი სისტემების მეშვეობით;

4.4. ფულადი გზავნილების მომსახურების გამოყენებით თანხის მიღება/გაგზავნა შესაძლებელია მათ შორის ისეთი პირისაგან/პირისათვის, ვისაც არ გააჩნია ბანკში გახსნილი ანგარიში;

4.5. ფულადი გზავნილების მომსახურების გამოყენებით თანხის გადარიცხვა და მიღება შესაძლებელია ლარში, აშშ დოლარში, ევროში, გირვანქა სტერლინგში ან რუსულ რუბლში;

4.6. კლიენტი თავად ირჩევს ფულადი გზავნილების სისტემას რომლის გამოყენებითაც მას სურს თანხის მიღება ან გაგზავნა/გადარიცხვა.

4.7. ფულადი გზავნილის მიღება ანგარიშზე არის უფასო. მიღებული ფულადი გზავნილის ანგარიშიდან განაღდება ექვემდებარება სტანდარტული საკომისიოს გადახდას;

4.8. ფულადი გზავნილის გადარიცხვა ანგარიშიდან ექვემდებარება გადარიცხვის საკომისიოს გადახდას, რომელიც დამოკიდებულია ქვეყანაზე სადაც ხორციელდება ფულადი გზავნილის გადარიცხვა, გადარიცხული თანხის ოდენობაზე და ვალუტაზე და ასევე სისტემაზე, რომლის მეშვეობით ხორციელდება ფულადი გზავნილი;

4.9. ფულადი გზავნილის მოცულობა და საკომისიო განისაზღვრება კლიენტის მიერ გზავნილის შესრულების მომენტში ბანკში არსებული წესების შესაბამისად.

4.10. კლიენტი იღებს ინფორმაციას ფულადი გზავნილის გადარიცხვის შესრულების ვადის და საკომისიოს მოცულობის შესახებ ოპერაციის შესრულებამდე ან/და ოპერაციის შესრულების პროცესში. კლიენტის მიერ ფულადი გზავნილის ოპერაციის ავტორიზაცია/დასრულება აღნიშნავს მის (კლიენტის) უპირობო თანხმობას ბანკის მიერ მისთვის წინასწარ მიწოდებულ/გაცხადებულ პირობებთან;

4.11. კლიენტის მიერ ფულადი გზავნილის მიღების მიზნით აუცილებელია როგორც მინიმუმ ფულადი გზავნილის კოდის, თანხის და ვალუტის შესახებ ზუსტი ინფორმაციის მიწოდება ბანკისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ბანკი მოკლებულია შესაძლებლობას მოიძიოს კლიენტის ფულადი გზავნილი კლიენტისთვის მიწოდების მიზნით;

4.12. კლიენტის მიერ ფულადი გზავნილის გაგზავნის მიზნით აუცილებელია, შეზღუდვის გარეშე, ფულადი გზავნილის მიმღების/ბენეფიციარის საიდენტიფიკაციო მონაცემების და ადგილსამყოფელის (ქვეყანა, ქალაქი, ზოგიერთ შემთხვევაში დაწესებულება, რომელსაც მიმართავს მიმღები ფულადი გზავნილის მიღების მიზნით) ბანკისათვის მიწოდება. ბანკი ფულადი გზავნილის გაგზავნის შესრულების შემდეგ გამგზავნს აწვდის გზავნილის კოდს, რომელიც გამგზავნმა უნდა მიაწოდოს მიმღებს. ბანკი არ არის პასუხისმგებელი რაიმე შეფერხებაზე, რომელიც არის ფულადი გზავნილის გამგზავნის მიერ ფულადი გზავნილის მიმღების შესახებ ბანკისათვის მიწოდებული არასწორი ინფორმაციის შედეგი;

4.13. თუ გაგზავნილი ფულადი გზავნილი არის ისეთ ვალუტაში, რა ვალუტაშიც კლიენტს არ გააჩნია ქვე-ანგარიში ან გააჩნია ქვე-ანგარიში, მაგრამ აღნიშნულ ქვე-ანგარიშზე არ ირიცხება ფულადი გზავნილის შესრულებისათვის საკმარისი ხელმისაწვდომი ნაშთი - ფულადი გზავნილის შესრულების მიზნით ბანკი მოახდენს კლიენტის ანგარიშ(ებ)იდან თანხის კონვერტაციას ფულადი გზავნილის შესრულების მომენტში არსებული ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსით;

4.14. თუ მიღებული ფულადი გზავნილი არის ისეთ ვალუტაში, რა ვალუტაშიც კლიენტს არ გააჩნია ქვე-ანგარიში - ბანკი მოახდენს ფულადი გზავნილის კლიენტის იმ ქვე-ანგარიშზე ჩარიცხვას, რომელსაც აირჩევს თავად კლიენტი. ასეთ შემთხვევაში ბანკი მოახდენს კლიენტის მიერ მიღებული ფულადი გზავნილის თანხის კონვერტაციას ქვე-ანგარიშის ვალუტაში ბანკის კომერციული სავალუტო გაცვლითი კურსის გამოყენებით.

4.15. კლიენტისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ფულადი გზავნილით სარგებლობის წესები განისაზღვრება საერთაშორისო ფულადი გზავნილების შესაბამისი სისტემის ოპერატორის მიერ. ბანკი არ არის პასუხისმგებელი კლიენტის წინაშე საერთაშორისო ფულადი გზავნილების სისტემის ოპერატორის მიერ დადგენილი წესების/შეზღუდვების გამო, მათ შორის იმ შემთხვევაშიც თუ აღნიშნული წესების/შეზღუდვების გათვალისწინებით კლიენტი ვერ შეძლებს ფულადი გზავნილით სარგებლობას.

4.16. კლიენტისთვის ცნობილია, რომ ბანკი შეაგროვებს/დაამუშავებს კლიენტის (უცხო ქვეყნიდან განხორციელებული) ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაციას, რომელიც მიეწოდება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესითა და პირობებით. ფულადი გზავნილებიდან მიღებული შემოსავლის შესახებ ინფორმაცია მუშავდება მომხმარებლის გადახდისუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული სესხის გამცემი ორგანიზაციებისთვის კანონმდებლობით დადგენილი წესით. მონაცემთა სუბიექტის/მომხმარებლის მოთხოვნის შემთხვევაში, მონაცემთა

დამმუშავებელი ვალდებულია გაასწოროს, განაახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. კლიენტისთვის ცნობილია, რომ (უცხო ქვეყნიდან განხორციელებული) ფულადი გზავნილიდან მიღებული შემოსავლის შესახებ მონაცემების მიწოდება ბიუროსთვის არ მოხდება თუ კლიენტი ინფორმირების მომენტში არ იქნება თანახმა ზემოაღნიშნულზე და განაცხადებს უარს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. სმს ხელმოწერით ოპერაციების წარმოება

5.3. ახალი ბანკში დადგენილი პროცედურების შესაბამისად, ბანკი უფლებამოსილია შესთავაზოს კლიენტს, კლიენტის ხელმოწერის ნაცვლად ოპერაციის, დავალების ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) ვერიფიცირებულ ნომერზე გაგზავნილი SMS კოდის, ბანკისათვის მიწოდების საშუალებით დადასტურება.

5.4. კლიენტი უფლებამოსილია განსაზღვრული ლიმიტების ფარგლებში, საბუთის მატერიალური სახით ბეჭდვისა და მასზე ფიზიკური ხელმოწერის დაფიქსირების გარეშე, სმს ხელმოწერის საფუძველზე საბანკო ოპერაცია ან/და მიიღოს მომსახურება.

5.5. სმს ხელმოწერის სერვისით სარგებლობა კლიენტს შეუძლია იმ შემთვევაში, თუ იგი ბანკში ფლობს ვერიფიცირებული ნომერს. თუ კლიენტის ბანკში დაფიქსირებულ ნომერს არ აქვს ვერიფიცირებული ნომრის სტატუსი, სმს ხელმოწერის სერვისით სარგებლობისთვის აუცილებელია განხორციელდეს კლიენტის ნომრის ვერიფიცირება ბანკში არსებული პროცედურის შესაბამისად;

5.6. კლიენტის მიერ SMS კოდის ბანკისათვის მიწოდებით კლიენტის მიერ დასტურდება, რომ იგი სრულად გაეცნო შესაბამის ოპერაციას, დავალებას ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტს (მათ შორის გარიგებას) ეთანხმება მასში მოცემული პირობების/ინფორმაციის სისწორეს და სურს აღნიშნული ოპერაციის, დავალების შესრულება ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმება/შედგენა;

5.7. გაგზავნილი შეტყობინების/SMS კოდის კლიენტის მიერ დასახელების შემთხვევაში, ბანკი განახორციელებს SMS კოდის ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას და ოპერაციის, დავალების ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) გაფორმებასთან დაკავშირებული პროცესის დადასტურებას და კლიენტისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნას. ყოველგვარი ეჭვის გამოსარიცხად, ოპერაცია ბანკის მხრიდან დადასტურებულად ითვლება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ბანკის შესაბამისი თანამშრომელი უზრუნველყოფს კლიენტის მიერ მიწოდებული შესაბამისი SMS კოდის ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფაში შეყვანას.

5.8. ოპერაციის, დავალების ან/და მომსახურების ფარგლებში ბანკის მხრიდან შეთავაზებული დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) SMS კოდით დადასტურება მხარეთა შორის ურთიერთობებში უთანაბრდება კლიენტის მიერ მატერიალურ დოკუმენტზე ხელმოწერას და ადასტურებს კლიენტის ნების ნამდვილობას;

5.9. SMS კოდის საშუალებით დასადასტურებელი ოპერაციის, დავალების ან/და დოკუმენტის (მათ შორის გარიგების) ჩამონათვალს/სახეებს განსაზღვრავს ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ;

6. მომსახურება დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით

6.3. ახალი ბანკი უფლებამოსილია, კლიენტის მიმართვის შემთხვევაში, პირობებში მოცემული ზოგიერთი მომსახურება, ბანკის მიერ განსაზღვრული მოცულობით, განახორციელოს დისტანციური მომსახურების ცენტრის ჩართულობით, მათ შორის, გასცეს ინფორმაცია, მიიღოს დავალება და ა.შ.

6.4. კლიენტისთვის დისტანციური მომსახურების ცენტრის მეშვეობით მომსახურების გაწევა შესაძლებელია მხოლოდ ბანკის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად კლიენტის ვერიფიკაციის პროცედურის წარმატებით გავლის შემდეგ.

6.5. ბანკი უფლებამოსილია არ მოემსახუროს კლიენტს, თუ კლიენტი წარმატებით ვერ გაივლის ვერიფიკაციის პროცედურას.

7. Me2me სერვისი (სერვისი - „შეავსე ევროპული ბანკიდან“)

7.3. სარგებლობის ზოგადი პირობები

7.3.2. Me2Me სერვისი გამოიყენება მხოლოდ მომხმარებლის სახელზე ბანკში გახსნილ ანგარიშსა და Thunes-ის ქსელში ჩართულ გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერთან მომხმარებლის სახელზე გახსნილ ანგარიშებს შორის ფულადი თანხის გადასარიცხად, წინამდებარე ხელშეკრულებით დადგენილი წესებისა და პირობების შესაბამისად.

7.3.3. Me2Me სერვისზე წვდომა შესაძლებელია ბანკის მობილური მობაილ ბანკინგის აპლიკაციის – SilkApp-ის მეშვეობით.

7.3.4. ბანკის ინტერფეისში

Me2Me სერვისის არჩევისთანავე კლიენტი ავტომატურად გადამისამართდება Thunes-ის პროგრამულ გარემოში, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, კლიენტი უნდა გაეცნოს და დაეთანხმოს Thunes-ის სერვისით სარგებლობისთვის მოქმედ პირობებს (მათ შორის Thunes-ის პროვაიდერების მოქმედ პირობებს). ასევე, კლიენტს შესაძლოა მოეთხოვოს გარკვეული ტექნიკური ან პროცედურული ნაბიჯების შესრულება Me2Me სერვისით თანხის მისაღებად (მაგალითად, გამგზავნი ანგარიშის მონაცემების სწორად მითითება, გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერის ავტორიზაცის/ვერიფიკაციის პროცედურების გავლა, მფლობელობის დადასტურება და. ა.შ.). აღნიშნული ნაბიჯების შესრულება წარმოადგენს გადახდის ინიცირების დავალების მიღების წინაპირობას.

7.3.5. გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერთან ავტორიზაციისა და ძლიერი ავთენტიფიკაციის წარმატებით დასრულების შემდეგ, გადახდის ინსტრუქცია (დავალება) დადასტურდება შესაბამის სისტემაში და ოპერაცია გადადის დამუშავების ეტაპზე. გადახდის ინსტრუქციის შემდგომი გადაცემა, დამუშავება და ანგარიშსწორება ხორციელდება Thunes-ის ლობალური გადახდის ქსელის ფარგლებში, მოქმედი საკანონმდებლო მოთხოვნების, საერთაშორისო სტანდარტებისა და შეთანხმებული ტექნიკური არხების გამოყენებით.

7.3.6. Thunes-ის მეშვეობით გადახდის ოპერაციის შესასრულებლად, მომხმარებელმა უნდა აირჩიოს ანგარიშის მომსახურე პროვაიდერი საიდანაც უნდა განხორციელდეს თანხის გადარიცხვა მომხმარებლის ბანკში გახსნილ ანგარიშზე. შესაბამისი პროვაიდერის არჩევისთანავე, კლიენტი გადამისამართდება აღნიშნული პროვაიდერის ავთენტიფიკაციის გარემოში და გაივლის მის (პროვაიდერის) მიერ დადგენილი წესების შესაბამისძლიერი ავთენტიფიკაციის (SCA) პროცესს. ტრანზაქცია გაგრძელდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი წარმატებით დაასრულებს ძლიერი ავთენტიფიკაციისთვის მოთხოვნილ ყველა ეტაპს.

7.3.7. მომხმარებლისთვის ცნობილია და ეთანხმება, რომ ბანკი არ აკონტროლებს და ვერ ახდენს გავლენას სხვა პროვაიდერ(ებ)ის ძლიერი ავთენტიფიკაციის პროცესებსა და პროცედურებზე და არ აგებს პასუხს მათი ოპერირების ხარვეზებით ან მიუწვდომლობით გამოწვეულ გარემოებებზე.

7.3.8. გადახდის ოპერაციის შესრულების შემდეგ, ამის შესახებ ბანკი მომხმარებელს აცნობებს მხარეებს შორის შეთანხმებული საკომუნიკაციო არხების საშუალებით (მათ შორის, თუმცა არ შემოიფარგლება, SMS, მობილური აპლიკაციით შეტყობინება ან ანგარიშის ამონაწერი). მომხმარებელს

ასევე შეუძლია თანხის მიღების დადასტურება დანიშნულების ანგარიშის ბალანსის ან ტრანზაქციებისისტორიის გადამოწმებით.

7.4. me2me სერვისით სარგებლობისას მომხმარებელი ვალდებულია:

7.4.2. Me2Me იპერაციის შესრულებისას, მათ შორის გადახდის ინსტრუქციის (დავალების) ფარგლებში ვალდებულია ბანკს მიაწოდოს სრული, ზუსტი და სათანადო ინფორმაცია. მომხმარებელი სრულად პასუხისმგებელია გამგზავნი ანგარიშის მონაცემების, გადასარიცხი თანხისა, ვალუტის სწორად მითითებაზე ან შერჩევაზე.

7.4.3. მომხმარებელი ვალდებულია უზრუნველყოს, რომ გადახდის ინსტრუქციის (დავალების) დამუშავების მომენტისთვის გამგზავნი ანგარიშზე ხელმისაწვდომი იყოს საკმარისი ნაშთი როგორც თახის გადარიცხვის, ასევე გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერის, Thunes-ის ან ბანკის მიერ დაწესებული ყველა შესაბამისი საკომისიოების დასაფარად.

7.4.4. მომხმარებელმა უნდა მიაწოდოს ბანკს ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია, დოკიმენტაცია და/ან განმარტებები, რომელსაც ბანკი, გონივრულად მოითხოვს Me2Me ტრანზაქციასთან დაკავშირებით.

7.4.5. ბანკი უფლებამოსილია უარი განაცხადოს, შეაჩეროს, დაბლოკოს ან გააუქმოს ნებისმიერი Me2Me ოპერაცია ან/და მომხმარებელს შეუზღუდოს წვდომა სერვისზე თუ არსებობს ეჭვი, რომ ოპერაცია შეიძლება არღვევდეს მოქმედ ადგილობრივ ან/და საერთაშორისო კანონმდებლობასა/რეგულაციებს, ბანკის შიდა პოლიტიკებსა და პროცედურებს ან/და მარეგულირებელი ორგანოს მითითებებს; მათ შორის, იმ შემთხვევებში, როდესაც: (i) იდენტიფიცირდება AML/CFT რისკები; (ii) არსებობს სანქციების ორგანოს მიერ განსაზღვრული ან/და შესაბამისი სანქციით გათვალისწინებული ან/და მოთხოვნილი ნებისმიერი შეზღუდვის, მოთხოვნის ან/და აკრძალვის დარღვევის ან/და თავიდან არიდების/გვერდის ავლის რისკი (iii) იკვეთება თაღლითობის ან უნებართვო გამოყენების ნიშნები; ან (iv) კანონით მოთხოვნილია დამატებითი შემოწმებები. ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს დამატებითი ინფორმაცია/დოკუმენტაცია (მათ შორის გამგზავნი ანგარიშის მფლობელობის, თანხის წარმომავლობისა და გადარიცხვის მიზნის შესახებ) და ოპერაციის დამუშავება შეაჩეროს დამატებით მოთხოვნილი ინფორმაციის/დოკუმენტაციია წარდგენამდე და შესაბამისი შემოწმებების სრულად და წარმატებით დასრულებამდე. აღნიშნულ შემთხვევებში ბანკი არ აგებს პასუხისმგებლობას ოპერაციაზე უარის, მისი შეჩერების, დაყოვნების ან გაუქმების შედეგად წარმოშობილ ნებისმიერ ზარალზე.

7.4.6. მომხმარებელი პასუხისმგებელია ბანკის წინაშე სრულად და უპირობოდ ყველა იმ ზიანზე, დანაკარგზე, ვალდებულებაზე, ჯარიმასა და ხარჯზე (მათ შორის, სასამართლო და სამართლებრივი ხარჯების ჩათვლით), რომელიც წარმოშობილია ან რაიმე ფორმით დაკავშირებულია მომხმარებლის მხრიდან Me2Me სერვისის გამოყენებასთან, წინამდებარე პირობების დარღვევასთან, მათ არაჯეროვან შესრულებასთან ან/და შეუსრულებასთან, თაღლითურ ქმედებასთან, ასევე მოქმედი საკანონმდებლო, რეგულატორული, სახელშეკრულებო და საოპერაციო მოთხოვნების შეუსრულებასთან.

7.4.7. მომხმარებელი ვალდებულია ბანკს აუნაზღაუროს და დაიცვას ბანკი ნებისმიერი ზარალისა და მოთხოვნისაგან, მათ შორის შედეგობრივი ზარალისა და გონივრული ხარჯებისაგან (იურიდიული ხარჯები, ექსპერტიზის/გამოძიების ხარჯები, ბანკის შიდა რესურსების ხარჯები), რომლებიც, მათ შორის და არა მხოლოდ, შეიძლება დაეკისროს ბანკს ან წარმოეშვას მომხმარებლის მიერ: (i) სერვისის არამიზნობრივი ან აკრძალული გამოყენების გამო (მესამე პირის სახელით, კომერციული ოპერაციებისთვის, უკანონო მიზნებისთვის და სხვა); (ii) მომხმარებლის განცხადებების/გარანტიების/ვალდებულებების დარღვევის გამო (მათ შორის გამგზავნი ან დანიშნულების ანგარიშის მფლობელობაზე/კონტროლზე, თანხის კანონიერებასა და წარმომავლობაზე); (iii) არასწორი/არასრული/შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების გამო; (iv) თაღლითური ქცევისა, უსაფრთხოების წესების დარღვევისა ან უნებართვო ოპერაციის შესრულების გამო; (v) მოქმედ კანონმდებლობის/რეგულაციების/სანქციბის რეჟიმების (AML/CFT, საგადასახადო, სავალუტო

კონტროლი, რეპორტინგი და სხვ.) დარღვევის გამო; (vi) Me2Me ოპერაციის დაბრუნებასთან/გაუქმებასთან/აღდგენასთან დაკავშირებული ხარჯების გამო; (vii) წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი მოთხოვნის დარღვევის/შეუსრულებლობის გამო;

7.4.8. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ Thunes-ი, გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერი, შუალედური საბანკო ინსტიტუტები და სადახდის სისტემების პროვაიდერები და საბარათე სქემის ოპერატორები (საგადახდო სქემა) ბანკის პირდაპირ კონტროლს არ ექვემდებარებიან. ბანკი არ აგებს პასუხს აღნიშნული მესამე პირების მიზეზით გამოწვეული შედეგებზე, როგორიცაა, მათ შორის და არა მხოლოდ: (i) გადახდის ოპერაციების დაყოვნება, დაბლოკვა, შეჩერება, შეუსრულებლობა ან ნაწილობრივი შესრულება; (ii) ტექნიკური სისტემების დროებითი მიუწვდომლობა, ხარვეზები ან მუშაობის შეფერხება; (iii) ოპერაციების დამუშავების ვადების შეცვლა;

7.4.9. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ Me2Me სერვისით გადახდის დავალების შესრულება (მათ შორის შესრულების ვადები) დამოკიდებულია რიგ ფაქტორებზე, მათ შორის: გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერის ქვეყნის მოქმედ კანონმდებლობაზე, შესაბამისი პროვაიდერის, Thune-ის და/ან შუალედური ინსტიტუტების შიდა პროცედურებსა და პოლიტიკებზე, შესაბამისობის შემოწმების მოთხოვნებზე (მათ შორის, AML/CFT და სხვა), სასაათო სარტყელთა სხვაობაზე, ოპერაციების დასამუშავებლად დადგენილ დროით ზღვრებზე (cut-off time), არასამუშაო დღეებსა და ოფიციალურ დღესასწაულებზე, ვალუტის კონვერტაციის აუცილებლობაზე, ასევე სხვა ოპერაციულ გარემოებებზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბანკი არ იღებს ვალდებულებას Me2Me დავალების კონკრეტულ ვადაში შესრულებაზე და არ აგებს პასუხს დავალების დაყოვნების, დაგვიანების ანგაუქმების გამო გამოწვეული შედეგებისთვის.

7.5. საკომისიოები

7.5.2. თუ სხვაგვარად არ არის დადგენილი, Me2Me სერვისის საკომისიო ბანკის მიერ ჩამოიჭრება მიღებული თანხიდან მისი მიღების მომენტში, ხოლო დანიშნულების ანგარიშზე ჩარიცხვა განხორციელდება საკომისიოს გამოკლებული ოდენობით. ბანკს უფლება აქვს, ცალკეულ შემთხვევებში, სერვისის საკომისიო უაქცეპტოდ ჩამოჭრას დანიშნულების ანგარიშიდან ცალკე ოპერაციით, ბანკის მოქმედი ტარიფების შესაბამისად.

7.5.3. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ Me2Me ოპერაციის დამუშავებაში ჩართული მესამე პირების (მათ შორის გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერის და ნებისმიერი შუალედური ფინანსური ინსტიტუტის და ასევე, საჭიროების შემთხვევაში Thunes-ის) მიერ შესაძლოა დარიცხულ იქნას დამატებითი საკომისიოები/მოსაკრებლები. აღნიშნული მოსაკრებლები და ჩამოჭრები ბანკის კონტროლის ფარგლებს სცილდება. შესაბამისად, ბანკი არ არის პასუხისმგებელი ასეთი მესამე პირების მიერ დარიცხულ მოსაკრებლებზე, სავალუტო კურსთა სხვაობით ან კონვერტაციით გამოწვეულ დანაკარგებზე და სხვა ჩამოჭრებზე, რომლებიც ხორციელდება დანიშნულების ანგარიშზე თანხის ჩარიცხვამდე.

7.5.4. Me2Meს სერვისის საკომისიო მოცემულია ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე: https://www.silkbank.ge/individual/accounts/angarishebis-momsakhureba/

7.6. მომხმარრებელი აცნობიერებს და ეთანხმება:

7.6.2. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთახნმება, რომ Me2Me სერვისით სარგელბლობისას, გადახდის დავალების შესრულების პროცესში, მოხდება მომხმარებლის ავტომარუტი გადამისამართება ბანკის ინტერფეისიდან მესამე მხარის - Thunes-ის პლატრფორმაზე/ინტერფეისზე. აღნიშნული გადამისამართება წარმოადგენს სერვისის ტექნიკური ფუნქციორიებისთვის აუცილებელ შემადგენელ ეტაპს, რომლის გარეშე სერვისის მიწოდება ვერ განხორციელდება. ამრიგად, მომხმდარებელი აცნობიერებს და ეთანხმება

7.6.3. Thunes-ის პლატფორმაზე/ინფრასტრუქტურაზე წვდომა და მისი გამოყენება ექვემდებარება Thunes-ის მიერ განსაზღვრულ პირობებსა და წესებს. მომხმარებელი ვალდებულია წინასწარ გაეცნოს და,

საჭიროების შემთხვევაში, დაეთანხმოს აღნიშნულ პირობებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში). აღნიშნული პირობების და წესების უარყოფის შემთხვევაში სერვისით სარგებლობა შეუძლებელი იქნება და შესაბამისი ოპერაცია ვერ შესრულება.

7.6.4. გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერის სისტემაში შესაძლოა მოთხოვნილი იყოს მომხმარებლის ძლიერი ავთენტიფიკაცია (Strong Customer Authentication – SCA) ან/და სხვა უსაფრთხოების პროცედურების გავლა. თუ მომხმარებელმა არ/ვერ გაიარა აღნიშნული პროცედურების Me2Me ტრანზაქციის გადახდის ოპერაცია ვერ შესრულდება.

7.6.5. Thunes-ის პლატფორმაზე/ინტერფეისში გამოტანილი ნებისმიერი შეტყობინება, დადასტურება, ინსტრუქცია ან სხვა ტექნიკური კომუნიკაცია წარმოიშობა უშუალოდ Thunes-ის სისტემიდან და ბანკი არ ახორციელებს მათ შინაარსზე კონტროლს, რედაქტირებას ან/და რაიმე ფორმით გავლენას. მომხმარებელი ასევე თანხმდება, რომ ვერ დაეყრდნობა აღნიშნულ შეტყობინებას, დადასტურებას, ინსტრუქციას ან სხვა ტექნიკურ კომუნიკაციას ბანკის მიმართ რაიმე მოთხოვნის ან პრეტენზიის წარდგენის მიზნით.

7.6.6. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ Thunes წარმოადგენს დამოუკიდებელ მესამე მხარეს და არ მოქმედებს ბანკის სახელით ან ბანკის დავალებით. შესაბამისად, ბანკი არ აგებს პასუხს Thunes-ის მიერ მის პლატფორმაზე განხორციელებულ რომელიმე ქმედებაზე, გადაწყვეტილებაზე ან პროცესზე, მათ შორის ოპერაციის შესრულების, გაუქმების, გადავადების ან უარყოფის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებებზე.

7.6.7. მომხმარებელი აცნობიერებს და ეთანხმება, რომ Thunes-ის პლატფორმის, მასთან დაკავშირებული ქსელებისა და/ან Me2Me ოპერაციის ინიცირებიდან მის შესრულებამდე პროცესში ჩართული სხვა მხარეების (მათ შორის, გამგზავნი ანგარიშის პროვაიდერის, საერთაშორისო საგადახდო სისტემის პროვაიდერებისა და შუალედური ინსტიტუტების) ტექნიკური გაუმართაობა, შეფერხება, დროებითი მიუწვდომლობა ან სისტემური ხარვეზი შეიძლება გახდეს ოპერაციის შეჩერების, გაუქმების ან დაგვიანების მიზეზი. მომხმარებელი ადასტურებს, რომ ბანკი არ აგებს პასუხს აღნიშნული ტიპის ტექნიკური ხარვეზებით გამოწვეულ შედეგებზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი შედეგი გამოწვეულია უშუალოდ ბანკის დაუდევრობით ან არაკეთილსინდისიერი მოქმედებით.

7.6.8. Me2Me სერვისის ფარგლებში კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული საკითხები, ასევე, დამუშავებული პერსონალური მონაცემების კატეგორიები/სახეები, ამ მონაცემების დამუშავების მიზნები და საფუძვლები და მონაცემების დამუშავების სხვა საკითხები, განისაზღვრება ბანკის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული კონფიდენციალურობის პოლიტიკით https://www.silkbank.ge/privacy-policy/

ნაწილი III

8. დასკვნითი დებულებები

8.3. კლიენტი ვალდებულია ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, ბანკის მიერ განსაზღვრულ ვადაში, მიაწოდოს ბანკის მიერვე მოთხოვნილი ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია ან/და დოკუმენტაცია.

8.4. ხელშეკრულების რომელიმე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის კანონმდებლობის საფუძველზე ბათილად ცნობის/ძალადაკარგულად გამოცხადების შემთხვევაში დანარჩენი მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი, ქვეპუნქტ(ებ)ი ინარჩუნებენ იურიდიულ ძალას.

8.5. კლიენტი არარის უფლებამოსილი ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე მესამე პირ(ებ)ს სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებები ან/და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. ამასთან, ბანკი მიუხედავად აღნიშნული პირობისა უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ მესამე პირებისაგან მიიღოს ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების შესრულება.

8.6. ბანკი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მესამე პირებს დაუთმოს/გადასცეს პირობებით განსაზღვრული უფლებები ან/და მოვალეობები. ამასთან თუ ბანკი ისარგებლებს ან დააპირებს წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული უფლებით სარგებლობას, ბანკი უფლებამოსილი იქნება ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე გადასცეს კლიენტის ან/და კლიენტის საბანკო ანგარიშის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაცია მესამე პირებს.

8.7. ხელშეკრულების პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება მხარეებზე, მათ თანამშრომლებზე, წარმომადგენლებზე, სამართალმემკვიდრეებსა და უფლებამონაცვლეებზე.

8.8. ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევებში, რომელიც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებით მხარეები იხელმძღვანელებენ კანონმდებლობით დადგენილი შესაბამისი ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით ან/და დამატებით შეთახმებული პირობებით. ამასთან, მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიიჩნევა ბანკის იურიდიული მისამართი.

8.9. კლიენტის მიერ ხელშეკრულებიდან ან/და კანონმდებლობიდან გამომდინარე ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში, ბანკის მიერ უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს, ამასთან ბანკის მიერ ამგვარი უფლებ(ებ)ის გამოუყენებლობა არ წარმოადგენს შემდგომში ხელშეკრულების ან/და კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წარმოშობილ მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმის საფუძველს.

8.10. წინამდებარე პირობებს ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის აქამდე იგივე საგანზე გაფორმებულ ნებისმიერ შეთანხმებასა და ხელშეკრულებასთან შედარებით.

8.11. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. ფიზიკური პირის საბანკო მომსახურების პირობები განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: http://silkbank.ge. ბანკის სურვილის შემთხვევაში ხელშეკრულება დამატებით შესაძლოა დაიდოს სხვა ენაზეც. ამ შემთხვევაში ქართულ ენაზე შედგენილ ხელშეკრულებას და მის პირობებს უპირატესობა მიენიჭება სხვა ენაზე შედგენილ ხელშეკრულებასთან და მის პირობებთან მიმართებაში.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, 2026 წლის პირველი აპრილიდან ყველა დეპოზიტორის დეპოზიტზე/ანგარიშზე არსებული თანხა, დეპოზიტების/ანგარიშების რაოდენობის მიუხედავად, თითოეულ კომერციულ ბანკში და მიკრობანკში დაზღვეულია და დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს მიერ ანაზღაურდება 50 000 ლარის ფარგლებში. კომერციულ ბანკში და მიკრობანკში ყველა დეპოზიტორის ყველა ანგარიშზე არსებული თანხა ავტომატურად დაზღვეულია დამატებითი საზღაურის გარეშე. დამატებითი ინფორმაცია იხილეთ დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ვებგვერდზე: www.diagency.ge

სს „სილქ ბანკი“ წარმოადგენს ლიცენზირებულ ფინანსურ ინსტიტუტს და მოქმედებს 2001 წლის 13 მარტს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გაცემული N238 ლიცენზიის საფუძველზე;

სს „სილქ ბანკის“ სათავო ოფისი მდებარეობს ქ. თბილისში, ზაარბრუკენის მოედანი, #2-ში, 0102. დეტალური ინფორმაცია სს „სილქ ბანკის“ მომსახურების პირობების და მომსახურების ობიექტების შესახებ ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე www.silkbank.ge;

სს „სილქ ბანკის“ საზედამხედველო ორგანოს წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ბანკი, რომლის შესახებაც დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ ვებ-გვერდზე - www.nbg.gov.ge;

საქართველოს ეროვნული ბანკი არც ერთ შემთხვევაში არ არის პასუხისმგებელი სს „სილქ ბანკის“ მიერ ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებაზე.

დანართი N1. - დავალების მიღების/შესრულების ვადები

- ქვემოთმოცემულ ცხრილში ასახულია დროის მონაკვეთები, როდესაც შესაძლებელია ბანკში საგადახდო დავალების მიღება, როგორც უშუალოდ დავალების ბანკში წარდგენით, ასევე დისტანციური საბანკო მომსახურების არხების მეშვეობით, აგრეთვე წარდგენილი საგადახდო დავალების ბანკის მიერ შესრულებისთვის განსაზღვრული მაქსიმალური დრო:
- წინამდებარე დანართის მიზნებისთვის, სამუშაო დღედ ითვლება კვირის დღეები, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით, გარდა კანონმდებლობით დადგენილი უქმე დღეებისა.
- არასამუშაო დღეებში ან/და წინამდებარე ცხრილით განსაზღვრული საათებისგან განსხვავებულ დროის შუალედში ბანკისთვის წარდგენილი დავალება, ბანკის მიერ მიღებულად ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღეს

საგადახდო დავალების ბანკისათვის მიწოდების ფორმა	საოპერაციო საათები, როდესაც ბანკის მომსახურების წერტილები ან/და დისტანციური არხები ფუნქციონირებს და ხელმისაწვდომია კლიენტისთვის	დროის შუალედი, როდესაც ბანკისთვის წარდგენილი საგადახდო დავალება ჩაითვლება ბანკის მიერ მიღებულად	ბანკის მიერ დავალების მიღებიდან მის შესრულებამდე საჭირო მაქსიმალური დრო საქართველოს ტერიტორიაზე
ბანკის ფიზიკური მომსახურების წერტილებში	- ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ-დან 17.30 სთ მდე; - შაბათ დღეს - 10.00 სთ-დან 14.30 სთ-მდე; მომსახურების ცალკეულ წერტილებში შესაძლოა დადგენილი იყოს განსხვავებული სამუშაო დღეები და საათები, რის შესახებაც კლიენტი ინფორმირებული იქნება ინფორმაციის საჯაროდ გამოკვრის საშუალებით.	ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით - 10.00 სთ - დან 17.00 სთ-მდე;	თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, დავალება სრულდება დავალების მიღების დღეს. - თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, დავალება სრულდება დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა; - თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, ბანკი ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს დავალება შესასრულებლად დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.
ბანკის 24 საათიან სერვის ცენტრ(ებ)ში (ასეთის არსებობის შემთხვევაში) კლიენტის მიერ დავალების უშუალოდ წარდგენა:	ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში	ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე	თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, დავალება სრულდება დავალების მიღების დღეს. - თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, დავალება სრულდება დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა; - თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, ბანკი

			ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს დავალება შესასრულებლად დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა
დისტანციური საბანკო მომსახურების არხების (ციფრული ბანკი, სწრაფი ჩარიცხვის აპარატი, ბანკომატით განხორციელებული დავალებები)	ყოველდღე, უწყვეტად 24 საათიანი რეჟიმში	ყოველდღე - 10.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე;	თუ გადამხდელისთვის და მიმღებისთვის საგადახდო მომსახურების პროვაიდერი ბანკია, დავალება სრულდება დავალების მიღების დღეს. - თუ გადამხდელს და მიმღებს სხვადასხვა პროვაიდერი ემსახურება, დავალება სრულდება დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა; - თუ გადახდის ოპერაციის განხორციელებაში მონაწილეობს უცხოური საგადახდო ან შეტყობინებების გაცვლის სისტემა, ბანკი ვალდებულია გადასცეს აღნიშნულ სისტემებს დავალება შესასრულებლად დავალების მიღებიდან არაუგვიანეს მომდევნო სამუშაო დღისა.